

აქაქის

თ ვ ი უ რ ი

ქრეშეში

წელიწადი მესამე

№ III—IV

მარტი და აპრილი

1900

9575



ქუთაისი

ლამბაშიძის სტამბა * ТИПОГ. ГАМБАШИДЗЕ.

1900



657

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 19 Мая 1900 г.

პირველი განყოფილება.

		83.
I	ჩემს მშხალობელს, (ლექსი) აკაკის	1 — 2
II	„საცა არა სჯობს, ბატლა სჯობსო“. მისივე	3 — 8
III	ქართველი გლეხის უვილი. ხომ- ლეღისა	9 — 37
IV	უ. მ. ე. ლ—ქმს, (ლექსი) რუს-იმერ- ლისა	38 — 40
V	ანუელინა (მოთბრობა). ს. ქვარციანის	41 — 108
VI	* * (ლექსი) სისონა მეჩანგურესი.	109 — 112
VII	ბ-ნ მოსე ჯანაუვილს. ს. გორგაძის	113 — 130
VIII	ისტორია ქართულ გაზეთების და უურნალების გამომცემისა (გაგრძელებ- ა) ზ. ჭ.—სა.	131 — 146
IX	ორ-კითხობა. აკაკის	147 — 152

მეორე განყოფილება.

I	ალია და ალიმირჯა (ზღაპარი) ჩაწ. „ქართველი ოსებში“-ს მიერ	1 — 18
II	ფაშური ლექსები, შეკრებ. გრ. აფ- შინაშვილის მიერ	19 — 31
	ბანცხადება,	32

ჩემს მწყალობელს.

ბატონო! თქვენი წყალობა
სულ სხვა ეოფილა განაო?
ზილატემ თავი იზართლა
და ხელიც დაიბანაო!..

რაც მინდა, იმას ნუ ვიტყვი?
რაც გინდა, ის ვსთქვა განაო?..
აჰ, არა! „ფონს ვერ გამიფანს“
უფლება მაგისტანაო!..

გიჩუქებია მახვილი,
მაგრამ ზირობით განაო:
რომ ჩემი ხელით გაფლესო
ჩემიუ დამკვლელი დანაო?

აბა რას ბრძანებ, ბატონო,
გიჟი გკონივარ განაო,
რომ ვერ გამოვსტნო ეგ თქვენი
კრიმანჭულ-გამოტანაო?

ვინც გულ-საფხანი სიტყვების
შენ ენა მოგიტანაო,

ზატოხსნებით შეშველად
ის მიგაჩნია განაო?

—

ჩემს „ამოსაღებს“ რომ სწუნობს
ეკ შენი „ანა-ბანაო“,
სასწორ-საზომის სიმრუდე
სამართალია განაო?...

—

მაგრამ ერთხელვე თქმულია:
„ძალა აღმართს ჭხნავს“ — განაო?
ვინც წაღმა სიტუვა შეგკადრა,
უკუღმა გაექანაო!...

—

ჩემნაირ მოპირდაპირეს
აკაოვრად აგდებ განაო?
ხმელეთი საბურთაოდ გაქვს
და ზღვაა შენი სანაო!...

—

მაგრამ ერთი დრო ყოველთვის
ვის შერჩენია განაო!..
მძლავრებსაც წაუჩოქნიათ
სუსტის წინ ხანდისხანაო!...

აკაკია



„საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო“

ხილს რომ გარს მწერ-ბუხები შემოეხვევიან, გუნდათაც რომ დააჯდენ გარედან, მაინც იმდენს ვერას ავენებენ, რამდენსაც ერთი უჩინარ, მაგრამ შიგნით, მის გულშივე-კი, გაჩენილი მატლი!.. გარედან მოსეულებისაგან ხშირად, ბევრჯელ მოულოდნელადაც-კი, რომელიმე სტიქიონის ძალა გადაარჩენს ხოლმე: ხან ქარი გაჰფანტავს, ხანაც წვიმა გადარეცხავს, ხან მზე დააცხუნებს და ძირს ჩამოჰყრის, ხან კიდევ სხვა რამ და ამ გვარად. მაგრამ მის გულშივე გაჩენილ მატლისაგან-კი ველარა იხსნის-რა!.. ეს არის მსოფლიო კანონი და არა მარტო ხილისა და ნაყოფის შესახებ!.. ამავე კანონს ექვემდებარება კერძოდ ყოველივე კაცად-კაცადი და საერთოდ მთელი ერიც. ეს არ გამოჰპარვია ჩვენ წინაპრების ყურადღებას და აუნიშნავს ანდაზებით: „მტერი იმას ვერ უზამს კაცს, რასაც თავისი თავიო“, და „ციხე შიგნიდან გატყდებაო“. მარტო ეს ანდაზებიც რომ აღარ უკმარებია, კიდევ სუფრო ნათლად და უფრო საგულისხმოდ სახალხო სიმღერით გამოუცია. ამ შესანიშნავ—ხალხურს ჰქვიან: „მუმლი მუხასაო“ და სხვანი. აქ ძლიერ მუხად საქართველოა დასახული, რომელსაც მტრები მუმლივით გარს ეხვევიან. მაგრამ შტოებ-გაშლილსა და ფესვებ-გამდგარს

ვერას აკლებენ!.. ის სდგას ამაყად.. შეუზოვრად, სანამ
შიგნივ წყალი არ ჩაუდგება და ჭია არ გაუჩნდება!..
მაშინ-კი... და მხოლოდ მაშინ ეღება ბოლო!... არ ვი-
ცი როგორ უნდა გავიგოთ ეს წინაპრების ანდერძი:
წინასწარ-მეტყველებად, თუ წინდახედულ გაბრთხილე-
ბად? მაგრამ ის კი ცხადია, რომ მათი გადმონაცემი,
დღეს, თუ არ სრულად, ნახევრად მაინც გამართლებუ-
ლია. როდესაც მრავალ საუკუნოების განმავლობაში
აღმოსავლეთის ერი, მართლა-და მუშლივით, გარს გვე-
ხვეოდა, ჩვენს ქვეყანას ფესვებიც მაგრად ჰქონდა გა-
დგმული და შტოებსაც აქეთ-იქით შლიდა. დღეს-კი,
როდესაც გარეშე მტრები ველარ გვესევრიან... დაკნინ-
დით, დავიოჩნეთ და მაკვინტალა-ჯორივით უკან-უკან
მივდივართ!.. ცხოვრების წარხი, რომელიც წაღმა ტრია-
ლებდა, უკუღმა მობრუნდა და აღმა ხნული, დაღმა
იფარცხება!.. და ეს ჩვენთა საკუთარი შინაური მატლის
ბრალია, რომელიც უჩინრად გულს გვიღრღნის!.. რა
მატლია ეს მატლი?—უმეცრული კუდაბზიკობა, ბავშუ-
რი ფაფ-მოყვარეობა და მოჩურ-მოახლური ლაქლაქ-
შილაობა, რომელიც დღეს ძვალსა და რბილში გამჯ-
დარი აქვს დღევანდელ ქართველს...

სადღაა სასწორ-საზომი? ვინღა გაარჩევს მტყუანს
და მართალს? ან ფასს ვინღა დასდებს ავსა და კარგს?
რაც ოდესმე წუნსადები ყოფილა, დღეს თავ-მოსაწონ
და საქებურ რამედ ითვლება!.. „ვაი-ვაის“ ადგილი
„ვაშა-ვაშამ“ დაიჭირა...

„ვაშა-ვაშა!.. მამულის შეილებსო!“ შებლავიან საკენ-
კით თვალ-ახვეული კაცუნები, მხოლოდ პირად-ანგა-
რიშისათვის მოჩხირ-კედელე მოღვაწეებს!... და მათთან
ერთად გაიძახის ეს უკუღმართი დროც: „ჩამოდექი

ქეშმარიტებაჲ!.. ცბიერება მოპრძანდებაო!“ ეჰ, მო-
დი და ნუ იტყვი: „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო“,
მაშინ როდესაც ადამიანის ყოველგვარი ღირსება და
ღვაწლი, თუ განზე მებუკე-მეგანგაშეები არ გაუჩენია,
ჩვენში წაყრუებული და მივიწყებულია!.. თვით მისთა-
ნა, ვეღარ დასაფარავ-გადასაფუჩივებელი ქეშმარიტე-
ბაც-კი, რომელიც ძალა-უნებურად თვალში ეჩხირება
ქვეყანას, ცარიელ სიტყვის მასალად გადაქცეულია და
საქმით-კი ხნარცვი ეთხრება და საიდუმლოდ ემზა-
დება ყველასაგან... ეგებო როგორმე ჩავარდეს და გუ-
ლი ვიჯეროთო!.. ნუ თუ მართლა საერთოდ არის ღღეს
ეს სენი მოდებული და სანუგეშ-საიმედო აღარა და-
გვრჩენია-რა?!.. არა!.. ჩვენ ვამბობთ მხოლოდ იმ წრე-
ზე და იმ მათ მეთაურებზე, რომელთაც ჩვენი ცხოვრე-
ბის სადავე ხელში ჩაუგდიათ და დანარჩენი მცირეოდე-
ნნი, მართლა და რიგიანები დაუჩრდილავთ, რომ თავი
ვეღარ იჩინონო.. ამ საზიზღარ ძალ-მომრეობას ხელს
უწყობს ყველაზე უფრო ღღევანდელი „ჩემიან-შენიან-
ნობაზე“ მოქარგული „არჩევნები“.. აბა გადაავლეთ თვა-
ლი რომელიმე ერთს მათგანს. თუ არ შეძრწუნდეთ!..
ყოველთვის და ყოველგან ხმოსნები ორ დასად არიან
გაყოფილი. და წინდაწინვე მომზადებულებს, თვითქო
საქიდაო მოედანი იყოს, კიყინითა და ბუკ-ნალარით
გამოჰყავთ თავიანთი კანდიდატები, რომ ამა თუ იმ სა-
ზოგადო საქმეს მეთაურად დაუსვან. რა ვჰქნა?!.. ჰფიქ-
რობ შენ გუნებაში და თანაც ეკითხები ორივე მხარეს:
„საზოგადო საქმეში მეთაურობა იმას შეჰფერის ვინც
ღირსია მისი!.. ვისაც ან წარსულში რამ მიუძღვის და
ან მომავლისათვის მაინც იძლევა იმედს, და ეს კანდი-

დატები-კი ვერც ერთი ვერ აკმაყოფილებენ ამ პირობებს!“

— დიახ! დიახ!—გააწყვეტიებენ სიტყვას ორივე მხრიდან—ეგ მართალია, ჩვენ ვიცით, მაგრამ მაგაზე მსჯელობა აღარ შეიძლება! საქმე იმ მდგომარეობაშია ჩაყენებული, რომ ამ ორში ერთი და ერთი, რომელიც უკეთესია, ის უნდა ავირჩიოთ!

— რომელიც უკეთესიაო?!.. ჰმ!.. ესე იგი, რომელიც უფრო ნაკლებ ცუდია? კი, მაგრამ რას ჰგავს ეს? არჩევანი მითი არის მოსაწონი და სასურველი, რომ ორ ღირსეულთაგან უმჯობესი ავირჩიოთ და ჩვენ-კი უკუღმა ვმოქმედებთ... მაშინ როდესაც ჯერ ასე არ დავცემულვართ, რომ ამა თუ იმ საქმეს შესაფერი მეთაურები, მაგათზე უფრო ღირსეულები არ მოიძებნებოდნენ ჩვენში?..

— მართალია, გეთანხმებით, მაგრამ ახლა მაგის დრო აღარ არის! ვინც გამოსულან იმათ უნდა დავჯერდეთ და ამ ორში, გინდა თუ არა, ერთი და ერთი უნდა იქმნეს არჩეული და აბა, ჰეო!.. ამას გაიძახის ორივე მხარე და მოჰყვებიან კანდიდატების აწონ-გაზომას. საჯაროდ ჩამოთვლიან ერთი-მეორის ნაკლს და ნამდვილს რომ აღარ სჯერდებიან, ზედ-მეტად ტყუილებსაც ბევრს უმატებენ!.. აღარაფერს ადამიანურს აღარ ჰხედავს მოპირდაპირე მოპირდაპირეში და იმავე დროს-კი თავისი კანდიდატები და მათი მომხრეები-კი ცამდე აჰყავთ და გინდ ქვეყნის ორგულიც იყოს, რაღაი კი იმ დროს, იმ ერთ საქმეში იმასთან არის და გვერდში უდგას, ყოველივეს ივიწყებს და ფიცით და მტკიცით აღიარებს, რომ ის წმინდა მოწამე და მოციქულიაო!.. საქმე თანდათან გამწვავდება და იმართება

ერთი „ვაი-უშველებელი“. აღარც ლოდიკა, აღარც სიმართლე, აღარც ზრდილობა, აღარც დარბაისლობა და აღარც სხვა კარგი რამე!.. მამა შვილს იმეტებს, შვილი მამას ეწინააღმდეგება, ძმა ძმას აღარ ჰზოგავს, მეგობარი მეგობარს და ცოლი ქმარს ეწინააღმდეგება!.. ყველა მოვრალია ენებათა ღელვისაგან და იმ ვიწრო ფარგალს გარედ, აღარც არა ესმის-რა და ველარც რამეს ხედავს!.. სტიქიონური ბრბოს ძალა დიდსაც და პატარასაც თავის ნებაზე აქანებს! ვაი მას, ვინც ამ „ბრუტ-საბძელას“ ფერხულში არ არის ჩარეულ-ჩაბმული და სამართლიანის თვალით შეჰყურებს ორივე მხარეს!.. ორივე მხარე მის მოსისხრად აილესება და მიაყრიან ქვა-და-გუნდასა!!

ამ საერო მატოს, ქვეყნის გულის გამაფუჭებელს, ოდესმე ბოლო მოეღებოდა და ასე ხანგრძლივი არ იქნებოდა, რომ მწერლობა ფრთებს არ ასხამდეს... ჩვენი მწერლები, მის ნაცვლად რომ უტყუარ მსაჯულებად გავიდნენ ხოლმე და თანასწორად დამოძღვრონ ორივე მხარე: დასაგმობი ორივეს დაუგმონ და მოსაწონი ორივეს მოუწონონ, თვითონაც პარტიობაში ერევიან, მიეკედლებიან ერთ რომელიმე მხარეს, რომელიც მათთვის უფრო სარფაა და სწორ-მხედველობის ისარს ხან იქით ჰხრიან და ხან აქეთ.- მათის უგულწრფელობით ის რედაქციები, რომელნიც ტაძრებივით უბიწო და წმინდა უნდა იყონ, საკერპო ბომონებად გადაქცეულან, სადაც ცოდვილ-ცდომილნი საფარს იკეთებენ და ქურუმები დაფარფაშობენ!... და მაშ ამისთანა დროს პრესის შესახებაც რომ სთქვას კაცმა: „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო“ განა გაიმტყუნება?!.. მართალია, ზოგიერთ თეორიის მიმყოფს შეუძლია სთქვას;

„კიდევ ამისთანა დროს არის ნამდვილი მოღვაწე საქი-
რო და გულგატეხა დიდი შეცდომა და ცოდვა არისო,
რადგანაც ანდაზაც-კი გვეუბნება, რომ „თუ გული გუ-
ლობს, ქადა ორივე ხელით იჭმებაო!“ მაგრამ ეს პრაქ-
ტიკაში ასე არ არის. თუ ორივე ხელი ისე მაგრად
მეჭნება შეკრული, რომ განძრევაც აღარ შემეძლება
ხელის, მაშინ რაღა ვქნათ? რასაკვირველია, ჯერ რომ-
გორმე ხელის გახსნაზე ვიფიქროთ და მერე ქადასაც
მოეკიდება ხელი. და მანამდე-კი, „სადაც არა სჯობს,
გაცლა სჯობს“-მეთქი, მეც ვამბობ. შეიძლება, სთქვან
ზოგიერთმა სიტყვით მოთამაშებმა, რომ გულადობამ
შიში არ უნდა იცოდესო და „სამსონ ძლიერმა ერთი
ვირის ყბით ათი-ათასი ფილისტიმელი დაამარცხაო“,
მაგრამ ეს დღეს მოუხერხებელია!.. მართალია, დღეს
ჩვენში ბევრი ვირის ყბები მოიპოება, მაგრამ სამსო-
ნები აღარ არიან და იქ, სადაც თანაგრძნობა და და-
ხმარება არ არის, ჩემისთანა მომაკვდავმა რომ სთქვას:
„საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო“ —სრული სიმართლე
ეჭნება და სინიღისიც დასტურს მისცემს.

აკაკი.



ქართული

ქართული გლეხის შვილი. *)

მელანიას ნიჭებულობის ძლიერება და ცხოვრების დიდი ცოდნა გაშლილია ნამეტურ იმ ადგილს, სადაც ავტორი უკანასკნელად ერთი მეორეს დაუპირდაპირებს ჩვენი სოფლის საზოგადოების უმსგავსოებას, გაუტანლობას და უბედურს, ობოლს და ალაღ-მართალს სოფლისავე მუშაკს—ილიას. არც ერთი უბრალო სიტყვა მძულვარების, ცხვირში სისხლის წამხეთქი და ძვალზე ხორცის ამგლეჯი გამწარებული კილო მოთქმისა, არც ერთი ხმა ნაღვლიანი დიდი მდურვისა და ჩივილის არ წასცდენია აქ მელანიას. გასაშტერებელია ესეთი ობიექტივობა ბელეტრისტიკა! ესეთი ტრაგიკული მომენტი გმირის ცხოვრებაში ზოგიერთს, მაგალითად, განსვენებულს ნინოშვილს, რომელმაც დაგვანახვა ნიშნე-

*) ამ სათაურით ხუთი წლის წინად გაზ. „კვალში“ ისტამბუბოდა ჩემი სტატია. მე ისეთ სამსახურში ვიყავი, რომ მოცლა არა მქონდა და გარემოება ნებას არ მაძლევდა სულდათქმულ მუშაობისთვის და, ამიტომაც, ეს სტატია მას აქედ დაუსრულებელი დამრჩა. ამ ჟამად იგი უკვე დავამთავრე და ესტამბუვ აკაკის „კრებულში“. ჩემს მკითხველს ვსთხოვ, გადაათვალიეროს „კვალის“ 1894 წლის ნომრები (№ № 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 38 და 39, სადაც დასტამბულია სტატია: „ქართველი გლეხის შვილი“.

ბი ნიჰისა, ცეცხლს წაუკიდებდა და მის აღგზნებულს გულში ასტეხდა ტრიბუნის ან მქადაგებელის მწარე გრძნობის ქარ-ტეხილს. და ეს იმიტომ მოხდებოდა ასე, რომ ნინოშვილს ძლიერ აკლდა შორს გამქვრეტი ნიჰის მართებულობა, დავაშკაცებულის მწერალის სულ-დათქმულობა, ხანგრძლივად, დიდის თავ-დაჭერილობით აესხა და განემართა თვის ნაწარმოებთა მართლაც საინტერესო ეპიზოდები, და უკეთესის დამუშავებით, ასე ვსთქვათ, უმეტესი ობიექტივობით მხატვრულად და შეგნებით გამოეხატა ჩვენთვის სოფლელთა საყურადღებო მოვლინებანი. სულით და ტემპერამენტით, მთელი ბუნებით ნინოშვილი ნამდვილი გფურული გლენხის შვილი იყო, რომელსაც თუ უსამართლობა უნახავს, მაშინვე პირში მოგახლის და დიპლომატურს „ტკბილს ენას“, ან მხატვრულს დამუშავებას... შორს გაუბრბის. მოაზრე ესთეტიკოსი, რომელიც მხატვრულს დაუშუშავებლობას არასოდეს არ აპატივებს მწერალს, იძულებულია ეს უკანასკნელი გარემოება მიიღოს მხედველობაში და ისე განსაჯოს ნინოშვილის ნაწერები...

ნინოშვილი, აგრე წოდებულ, „ტეტიათა მოტრფიალე“ ბელეტრისტების გუნდს ეკუთვნის, რომელმაც თავის დროზე მიიქცია ყურადღება. იგი სრულიად ახალი კაცი (НОВИЧЕКЪ) იყო ქართულს ლიტერატურაში, რომელსაც ყოველს ნაწერში ეტყობოდა, რომ თუმცა მხატვარი არ იყო, მაგრამ შემდეგში გაიმართებოდა და მართო ფოტოგრაფიულად ამბების წერას შესცვლიდა მხატვრობაზე. მართალია, მხატვრობას შესანიშნავ გმირებისას და ტიპებისას კი არა, მაგრამ დავიხატავდა მაინც ცხოვრების მძიმე გარემოებას და პირობებს, გაშლიდა ჩვენი თვალის წინ სოფლელთა ტრაგედიას, რო-

მელიც შესძრავდა მკითხველის გულსა და სულს. ამიტომაც, ვამბობ, ნინოშვილმა ლიტერატურაში გამოვლისათანავე მიიქცია ყურადღება-მეთქი. ახლა-კი უდროოდ დაღუპული მწერალი ჩვენში აღარავის ახსოვს. იმათაც-კი აღარ ახსოვთ, რომელნიც ბაქი-ბუქობდენ და საზოგადოებას ჰპირდებოდენ, რომ ნინოშვილის ყველა ნაწერებს ერთ ტომად გამოვსცემთ. სურათით და ვრცელის ბიოგრაფიითო. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. თუმცა არ შეიძლება ჩვენს საზოგადოებას კაცმა არ უსაყვედუროს მწერალის ასე უცებ შექება-განდიდებისათვის და, მეგრე, სრულიად მივიწყებისათვის.. მაგრამ ჩვენ ხომ სამხრეთის ცის შვილები ვართ და... მოგვეტყვება.

„ტეტიათა მოტრფიალე“, მწერალი-თქო, რომ ვამბობ, ნინოშვილის შესახებ ცოტა უნდა შევსცვალო ეს. გურიაში ტეტიება არ არიან, მაშასადამე, იმათი ყოველ-დღიური ცხოვრების ამწერიც ვერ ვახდებოდა ეგნატე ნინოშვილი. გურიაში, როგორც იმერეთში, საზოგადოდ, გლესს „კაძახს“ ეძახიან და, აი, ნინოშვილი თავის ნაწერებში უმთავრესად ამ „კაძახების“ ყოფა-ცხოვრებას, მათ უბედურს მდგომარეობას, ტანჯვას და ჭირ-ვარამს გაგვაცნობს. და ყოველ ამ ნაწერებში ამ „კაძახების“ უკიდურესს სიღარიბეს და გამწარებას უტრიალებს და ხაზს უსვამს.

ნინოშვილი იყო პირველი ჩვენს ლიტერატურაში, რომელიც შეეხო გურულ გაჭირვებულ გლეხების ცხოვრებას და, ამიტომაც, მიიქცია მან ყურადღება. ამ მხრით ქართლ-კახეთის გლეხ-კაცობას ჰყავდა ბელეტრისტები.

ნინოშვილს, როგორც სრულიად გამოუცდელს და უვიცს მწერალს, ყოველს თვის ნაწერში აშკარად ეტყობა ერთხელვე აკვიატებულ-აჩემებული ცალ-მხრივობა, ტენდენცია. ჯერ მარტო იმისი ნაწერების სახელ-წოდებაც ნახეთ: უიშვილი, ვაიშვილი, ტარიელ მკლავაძე, მოსყ მწერალი (რუსეთში „ნაროდნიკ“-ების მიერ ყბად-აღებული „ვოლოსტნოი პისარ“), დროიძე, მცირიშვილი, ავი სენი, პარტახი, ჩვენი დროის რაინდი, არშიყნი და სხვა, თუ მახვილი მკითხველი სათაურების სახელ-წოდებითაც, ავტორის ნაწერების წაუკითხველადაც არ მიხვდეს, რა სუნიც უდის ეგ. ნინოშვილის მოთხრობებს. ჩვენი ავტორი ცრუ-კლასიკებსავეთ სკდილობს მარტო სახელ-წოდებით დახატოს ცხოვრების ვითარება, ადამიანის გულის-ტკივილი და არა მოვლინებათა ნამდვილი ხელოვნურად დამუშავებით, მოქმედების არსებით მიზეზთა ჩვენებით, რომელიც სიმართლესთან არის დაკავშირებული.

კრიტიკოსმა(?)“, მომდგომია და თვის საკუთარს საკლუფოვანებას მე მახვევს თავსე და სრულიად უმიზეზოდ და უსახულოდ მახრავებს, რომ „მეტა და უკვლას ჩემკან საქები მწერლები განსრახს აითვალწუნე და ცუდად იმიტომ იხსენიებ იმათა. აბა, მეტი ბავშური ტიტინი კიდევ-ღა შეიძლება?!

მე განსრახავა მქონდა, ივ. გამართელის შემცდარ და ბუნდოვან ასრებზე სალიტერატურო კრიტიკის შესახებ პრინციპიალური სჯა-ბახსი დამეწეო, მაგრამ ბატონმა კრიტიკოსმა ისეთი უპართებულე კილოთი და მედიდურობით დაგვიწეო ღახარაკი, რომ ამიერიდან ამ განსრახსულობაზედ ხელი ამაღლებია.

ავტორი.

დიდად მავნებელია ასეთი მწერლობა ნამეტურ ჩვენში, სადაც ცხოვრების მოვლინებათა და სურათთა აღმოხატვა სანთლით საძებარია ლიტერატურაში, და ყველანი, პუბლიცისტებიდან მოყოლებული ლექსთა და მოთხრობათა მწერლებამდე, მარტო იმას ეტანებიან, რაც არ არსებობს, რაც მათის აზრით მხოლოდ სასურველია და გულისთვის დიდად სასიამოო და დამატკბობელი, რამ იყოს ჩვენში, რომ განხორციელდეს საქართველოში. ცხოვრების სინამდვილეს, მის პირობებს და ისტორიულ მიზეზებს-კი არ დაგიღვევენ. ასეთს სიზმრებს და ზღაპრებს მხოლოდ ისეთი უბირი, უნიჟო და სასაცილოდ მოყიალე ქარაფშუტა „ლიტერატორები“ ეტანებიან, როგორც სწორედ ჩვენა გვყავს ამ ეჟმად და, რომელთა რიცხვი, ნამეტურ ამ ბოლო დროს, სამწუხაროდ, სოკოსავით მრავლდება ჩვენს „ბედნიერს საქართველოში“. ასეთს მავნებელს მიმართულებას ლიტერატურაში საზოგადოდ უწოდებენ ტენდენციურს მიმართულებას, რომელიც ან უეჭველად გალამაზებულს, ფარჩის ძვირფას ბალდადებში შებურვილს, იდეალურს სურათებზე არის გადამკვდარი, ან წარმოუდგენელს სოსაძაგლეს, გასაცვიფრებელს სიბინძურესა და უკიდურესობაზე დახურდავებულს. ზომიერება, თავდაჭერილობა და სიმართლე არ არსებობს მისთვის მხატვრობა-ხელოვნებაში და ჩვენც სწორედ ამიტომაც ასე მედგრად ვებრძვით ლიტერატურაში მოქორებულს ტენდენციას, რომელიც ჩვენ მიგვაჩნია დიდად მავნებელად და ქართული ნორი ლიტერატურის არა თუ შემაჩერებლად, პირ-და-პირ დამღუპველადაც. ხელოვნება — ლიტერატურაში მარტო სასარგებლო, გაზვიადებულ უტილიტარულ ცნებათა ქადაგება, რომელსაც რუსეთში ასეთის

გატაცებით ემსახურებოდნენ დიმიტრი პისარევი და სექტანტი ზაიცევი და მწერალთათვის ტემების წინდაწინვე მზა-მზარეულად წერა და არა-მკითხვე მოამბესავით თავზე იმათი ძალად მოხვევა, რომელსაც ასე სასაცილოდ ქადაგებენ ჩვენში ორი ობოლი ჭკუის კოლოფი ბ-ნნი ანტონ ფურცელაძე (იხ. „ივერია“ № 192—1899 წ.) და ივ. გომართელი (იხ. „კვალი“ № 7—1900 წ.), უნდა ჩაითვალოს ხელოვნების ერთ უდიდეს დამამცირებელ და გამათახსირებელ მიმართულებად.

მხატვრობა-ხელოვნებისათვის სულ ერთია, რა აზრის და რწმენისაც უნდა იყვეს მსოფლიოზე მგოსანი, ან ბელეტრისტი. მხატვრისთვის მხოლოდ ერთად-ერთი პირობაა საჭირო და ეს უდიდესი პირობაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ცხოვრების სინამდვილეს არ უმტყუნოს მან და მართალი სურათი გამხსატოს. ქემშარიტი ხელოვნური ნაწარმოები ყოველთვის, უეჭველად, რამე იღეას ხატავს, მაგრამ ეს იმიტომ კი არა, რომ ავტორი თვისი ნაშრომის შექმნის და წერის დროს შეუდგა მხოლოდ ამ იღეის ნაწარმოებში გატარებას და ქადაგებას. სრულებითაც არა. პირ-იქით, მხატვარი ამ დროს შეპყრობილია ცხოვრების ცოცხალი სინამდვილით და ისეთი მომხდარი ამბებით, რომლებიდანაც სწორედ ეს იღეა თავის-თავად, ბუნებრივად და ძალდაუტანებლად გამომდინარეობს და იბადება...

ივენა ვსთქვით, რომ ე. ნინოშვილის ნაწერები უტრიალებენ გარშემო გურიის სოფლელთა გლეხების ცხოვრებას-თქო და ამათ შორის უფრო და გარდამეტებით უულარიბეს ნაწილს მესაკუთრეთა ვითარებას ეხებიან და ახლად გამოჩეკილს ვაჟარ-ჩარჩებს და მევახშეებს, ექსპლოატატორებს, გაიძვერა, გაქნილ სოფ-

ლის მწერლებსა და მოხელებს, — ქვეულებრივი საგანი რუსების „ნაროდნიკების“ და ჩვენი, „ტეტიათა მოტრფი-ალეთა“ ბელეტრისტებისა, — აი, ესენი არიან აგრეთვე მუდმივი გმირნი ნინოშვილისაჲ. ზოგიერთს მოთხრო-ბაში ნინოშვილი, როდესაც იგი ეხება გლახთა ეკო-ნომიურად დაცემას და განადგურებას, თითქმის ცოცხ-ლადაც ხატავს ამ განადგურების სურათს. ალაგ-ალაგ, თუმცა იშვიათად, მისს ნაწერს ამ დროს საკმაოდ რა-მატიზმიც ეტყობა (მაგალითად, „სიმონა“ და „პარ-ტახი“). ამ მოთხრობებში და „უიშვილშიაც“ არის მკრთალად დხატული სოციალური მხარეც ცხოვრე-ბისა, მაგრამ ამ აღწერილობას აშკარად ეტყობა გა-მოუცდელის, უვიცის და თითქმის ბავშვის ხელიც. მა-გალითად, სიმონა და გ. უიშვილიც თუმცა საშინელ სი-ღარიბეში არიან შთაცვინულნი, მაგრამ მაინც-და-მაინც საკუთრების პატრონები არიან, რომელნიც წვრილ ბურჟუაზულ ინტერესებს მაინც ვერ გასცილებიან, რად-გან, ვიტყვით ერთი მარქსისტის სიტყვით — „пока они не превратились в чистого пролетария, их идеальные интересы совпадают с реальными интересами влад-иц самостоятельного мелкого хозяйства“. ასე რომ „სიმო-ნაში“ და „უიშვილში“ შეერთებულია წმინდა შრომის ინტერესების წარმომადგენელიც და წვრილ-ფეხა „ბურ-ჟუის“ ინტერესებიც. ამათ დასტრიალებს ნინოშვილი გულის მხურვალეზით, სიყვარულით და თანაგრძნობით და მათი ინტერესების გულისთვის ბრძოლა მიიწინა მას თვისის ცხოვრების მოწოდებად. არსად, არცერთს მო-თხრობაში ნინოშვილი არა თუ ცდილა, არც-კი წასც-დენია მას გამოეხატა წმინდა შრომის, უსახლ-კარო, ბო-განო სოფლელი, რომელიც, მგონია, გურიის სოფლებ-

შიაც უნდა გაენილიყო მას შემდეგ, რაც საქართველოში ახალი აღებ-მიცემობა, საქონელთა ტრიალი და ახალი ეკონომიური ვითარება დაიწყო.

მას შემდეგ, რაც ახალი დრო დაიწყო, რაც ფულში ჩაითრია სოფელი, მიუცილებლად, ახალს ვითარებას სოფელშიაც უნდა წარმოეშობა და გაედლიერებინა ექსპლოატაცია და ეს ექსპლოატაცია გაჩნდა თვით გლეხთა შორისაც და ამას შემთხვევითი, რამე უცაბედი ხასიათი კი არა აქვს, არამედ მუდმივ და ჩვეულებრივ მოვლინებად გადაიქცა. ამ საგანს თუმცა ეხება ნინოშვილიც, მაგალითად, იმავე „სიმონაში“, მაგრამ რაღაც ბუნდი და შემთხვევითი ხასიათი აქვს ამას მისს მოთხრობაში. ძალადის ოჯახობის—სიმონას ექსპლოატატორად და დამლუპველადაც ნინოშვილს გამოჰყავს გლეხივე დავით დროიძე. მაგრამ ამ დროიძის გაჩენა და გამდიდრება გურიის არე-მარეზე რაღაც შემთხვევითია, უცაბედი და მას ზღაპრული ხასიათი აქვს მოთხრობაში. ამბობენო, სწერს ავტორი, დროიძეს ვიღაც მდიდარი-ბერძნის ფულები შერჩენოდეს და ამიტომ გამდიდრდაო. ეს გამდიდრებული გლეხი ვაჭრობას იწყებს და რაღაც უმიზეზოდ (ქვრივ ქეთოსთან და მის „ბალანეი“ სიმონასთან დროიძეს გასაყოფი ხომ არაფერი ჰქონდა, და სიმონას დროიძე ყურძნის მოპარვას (ჰმ!) აბრალებს!!) ძალადის ოჯახს მოულოდნელად გადაამტერებს და სრულიად გაუგებრად, ბუნდად და უშინოდ ვაჭარ-ჩარჩად და ექსპლოატატორად გამოჰყავს. „სიმონა და საზოგადოდ ძალადის ოჯახი თაობიდანვე ათვალწუნებული ჰყავდა დავითსო“. რა საბუთია?! რათა, რისთვის? ამას ხომ დამტკიცება, გამოხატვა უნდა. და ამის თავი-კი ავტორს არ ჰქონდა. ვისაც უნდა მან

დაუჯეროს ავტორს ცალიერი ლიტონის სიტყვების რახუნდი, რომ დროიძეს, რადგან იგი კაცის მჭამელი იყო, ძალადის ოჯახობა ყოვლად უმიზეზოდ ჰყოლია ათვალწუნებული. მე მაგალითისათვის მარტო ამ უფრო თვალსაჩინო მოთხრობას ვეხები აქ და ისიც გაკვირით, სხვა დანარჩენი ნინოშვილის ნაწერები უფრო სუსტნი არიან.

ავტორმა ვერ შესძლო ცხოვრებაში ღრმად ჩახედვა, რადგან ამისთვის მას არც თვალთა-ხედვის ისარი ჰქონია გავარჯიშებული, არც გონებრივი მომზადება გააჩნდა. უამისოდ-კი შორს კაცი ვერსად ვერ წავა-აიღეთ ამავე კატეგორიის გლეხი, მაგალითად, გიორგი წერეთლის რომანში: «პირველი ნაბიჯი» და გასინჯეთ. ბახვა ფულავა შესანიშნავი ტიპია გამდიდრებულ გლეხის შვილისა, რომელიც ბავშობიდანვე ცხოვრების ქარცეცხლში გამონახა ავტორმა და შესანიშნავის მხატვრობით, თან-და-თანობით, ლოღიკით და სინამდვილის დახატვით ბოლომდე დაიყვანა. ახლანდელი ჩვენი ცხოვრების დიდი და ღრმა ცოდნა უკეთესი და ურთულესი არ გვეგულება არსად ჩვენს ბელეტრისტთა ნაწერებში და „პირველ ნაბიჯში“ ცხადად და სავსებით არის გარკვეული ინტერესების სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. მართალია, ერთიანად რომ ავიღოთ ეს ნაწარმოები და ვაგსინჯოთ ესთეტიურის შეხედულობით, მასში ბევრია უადგილო ალაგები, ზოგან გაქიანურებაც ეტყობა და ამ მხრით იგი ჩამოუვარდება „კუდაბიკას“ და „მამიდა ასმათს“, მაგრამ რაც შეეხება თვით ბახვასა და ერემია წარბას დახატვას და მათ ურთი-ერთობის გათვალისწინებას—ეს შეუდარებელია. აქ ცოცხლად არის დახატული კაპიტალის წარმომადგენელთა ინტერესების

(ბახვა ფულავა) ბრძოლა გ ღარიბებულ და დიდ გულა ფეოდალების (იერემია წარბა) ინტერესებთან. ბახვა ფულავას ინტერესებს ებრძვიან დღეს ჩვენში მცირე კარმიდამოს პატრონთა ინტერესების, უკიდურესი სიღარიბის სოფლის წარმომადგენელნიც (უიშვილები, სიმონები). მთელი ჩვენი თანამედროვე ცხოვრება ამ ბრძოლაში სდულს. მაგრამ ყველანი ესენი მაინც კერძო საკუთრების წარმომადგენელნი არიან, სისხლსა და ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი საკუთრების იდეა და იმის გულისთვის იღვწიან და იბრძვიან საზოგადო სარბიელზედ. ამ ზემოდ დასახელებულ ინტერესების წინააღმდეგია მხოლოდ და მარტო წმინდა შრომის („ჩისტიტრუდ“) წარმომადგენელნი, საკუთარი სამუშაო ძალის ბაზარზე გამყიდველნი, ეგრედ წოდებული, პროლეტარები, რომელთა ქაჩანება ჩვენს ბელეტრისტიკაში ჯერ კიდევ არსად არ არის. მაგრამ რას ვამბობ?! ბელეტრისტიკაში კი არა, აბა, ერთი მაინც დამისახელებთ, საზოგადოდ ჩვენს ლიტერატურაში ვინმე ისეთი, რომელიც შეჭხებოდეს სისტემატიურად, მეცნიერულად და სერიოზულად დაქირავებულ პროლეტარების ხელ-ფასის გამოკვლევას, იმათ მოძრაობას ბაზრებზე და საზოგადო პირობების შესწავლას, სამუშაო საათების რაოდენობას, მუშათა ჰიგიენურს პირობათა გათვალისწინებას, მათში წერა-კითხვის გავრცელების და ცნობიერების გაფართოვების საქმეს? ან თუნდ სოფლად უმიწაწყლო, ბოგანო ხალხის მდგომარეობის გამორკვევას, იმათ რაოდენობის აღნუსხვას, ან იმათი მოძრაობა და ტრიალი სოფლად და ბაზრებისკენ ვინ გაგვითვალისწინა? ან ვის შეუსწავლია და დაუინტერესებია ჩვენში ვინმე მრეწველობის ვითარების საქმეს, რომელსაც უნ-

და მოჰყვეს მთელ ქართლოსიანთა ერის წელში გამაგრება, აღმატება და სამერმისო წარმატება? არა თუ მთელი თაობა, ერთი ჯგუფიც, ერთი კაციც არ მოიძებნება ჩვენი ლიტერატურის არე-მარეზე ამნაირი. ისე-კი, მოგეცათ სიცოცხლე, არის ისეთი ვაი-უშველებელი გასაცვიფრებელი წინასწარმეტყველობა, პითიასებური რომეა ათასნაირი სისულელისა, ბაქი-ბუქი და შაბლონური სიტყვების რახა-რუხი დიდ-დიდ მყვირალა საგნებზე, და ამ უბადრუკთ ჰგონიათ კიდევ, რომ საქმეს ვაკეთებთო...

ზოგიერთი, მაგალითად, პატივცემული ა. ხახანაშვილი (იხ. მდგომარე წლის „რუსკ. ვედომ.“, სადაც გ. წერეთელზე ნეკროლოგი აქვს დასტამბული) ნინოშვილს „მარქსისტს“ უწოდებს... და უწოდებს სრულიად უსაფუძვლოდ. მაინც ვის დამისახელებთ დღეს ჩვენში, რომ ბრალიანსა და უბრალოს ეს ყბად-აღებული სიტყვა არ ეკეროს ენაზე! ესეც, ალბად, ერთგვარი მოდაა. მალე და ადრე რომის უცოდველს პაპსაც მარქსისტობის სახელ წოდებით მონათვლენ, რადგან ისიც ხომ მუშებზე ლაპარაკობს და იმათთვის ზრუნავს!..

იმ საბუთების გარდა, რომელნიც ზევით მოვიყვანეთ (რომ ნინოშვილი არ, შეჰხებია რუბაკინივით, მაქ. გორკივით, გარინივით და სხვებსავით წმინდა შრომის წარმომადგენლებს, სამუშაო ძალის პროფესიონალურად გამყიდველთ), ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ ნინოშვილის სულ უკანასკნელი დროის ნაწერიდგან ადგილი, რომელიც ჩვენ მიერ წარმოთქმულს აზრს შუქს მოჰყენს.

„—მართლა, დესპინე, გახსოვს, იმ დღეს რომ დაგპირდი—იმ მოღვაწეების ცხოვრებას გიამბობ, რომ-

ლებმაც ისე მამაცურად შესწირეს სიცოცხლე უსამართლოებასთან ბრძოლას ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისთვის-მეთქი, უთხრა სპირიდონმა თავის მეუღლეს.

დესპინე მიხვდა, რომელ მოღვაწეებზედაც ელაპარაკებოდა ქმარი და სთხოვა—დაწვრილებით მიამბე, არა გამოტოვო რაო...

...დესპინე გაიტაცა სოფიამ (გმირი ქალი იმ ამბის, რომელიც ქმარმა გააცნო). «ქალი ვარო იმას ეთქმოდა!... ქალი იმისთანა უნდა!»... იმეორებდა ის თავის გულში¹⁾.

იმედი მაქვს, რომ ჩემი მკითხველიც მიმხვდარია, თუ რომელ „მოღვაწეებზედაც“ ლაპარაკობს ავტორი. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ავტორის სიყვარული და თანაგრძნობა სპირიდონ მცირეშვილისკენ არის მიქცეული და სურს იგი გამოიყვანოს ჩვენს თვალში იდეალურ პირად, ადვილად მივხვდებით, რომ სპირიდონის აზრი თვით ავტორისავე აზრია და ამ „გრძნობა-ქარზ“ კაცებს ცხოვრებაში იდეალად დაუსახავთ მოთხრობაში დასახელებული იმ „მოღვაწეებისთანა“ საქციელის და მოქმედების მიბაძვა და ტრფიალი. „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ დაისტამბა 1894 წელს, იანვრის და თებერვლის «კვალში». თვითონ-კი საწყალობელი ნინოშვილი გარდაიცვალა იმავე წელს, 29 აპრილს. მაშასადამე, ახლა ჩვენ კარგად ვიცით, ნინოშვილი თუ რომელ მიმართულებასაც თანაუგრძნობდა და ეტრფოდა, რაგვარ „მოღვაწეთა“ მოძღვრება მიაჩნდა მას დაწინაურებულ მოძღვრებად, რომელიც რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილმა დიდი ხანია

1) იხ. „ჩვენა ქვეყნის რაინდი“, ე. ნინოშვილისა.

დაკგმო, და აგრეთვე დიდი ხანი დაგმობილი იყო იგი ევროპაშიაც ნამდვილ მარქსისტების მიერ. იმ დასახელებული „მოღვაწეების“ მამათ-მთავარი იყო ცნობილი ავანტიურისტი ბაკუნინი, რომლის დაუძინებელი მტერი იყო ჯერ კიდევ თვით კარლო მარქსიც. შემდეგ კიდევ უფრო ვადაჭრით უარჰყევს მარქსისტებმა ასეთი უგნურება... მე შემიძლია აქ მხოლოდ მოვაგონო მკითხველს ამ საგანზე დადგენილი გარდაწყვეტილება სოციალ-დემოკრატთა შტუდგარტის კრებაზე და საფრანგეთის კოლექტივისტის ზევეასის სიტყვა, რომელიც წარმოსთქვა მან დებუტატთა პალატაში.

ბოლოს უნდა ვსთქვა, რომ ე. ნინოშვილი, როგორც მწერალი, ღირსია წაკითხვისა. მაინც, რაც უნდა იყოს, საგულისხმოა იმ ვიწრო წრის ცხოვრებაც, რომელსაც სწერს მისი კალამი. და ამ მხრით ნინოშვილიც იძლევა ზოგიერთს ცნობებს. ვისაც უყვარს და ეინტერესება ამ წრის გაცნობა, მე მგონია ნინოშვილის ნაწერებიც დაეხმარებიან და ზოგიერთს სურათებზე ცნობის-მოყვარეობასაც აღუძრავენ. ნინოშვილზე ლაპარაკი კმარა. რაცა ვსთქვით, ბევრიც არის და მივმართობ ისევ მელანიას, რომელიც საგსებით და შესანიშნავად ხატავს ქართველ გლეხის შვილის ცხოვრებას.

მელანია კეშმარიტი რეალისტი. იგი ჩვენს გატყალებულს ცხოვრებას შორს როდი გაჰქცევია, რომ მოსვენების დროს, დასიამებულს გულზე, ვით რომანტიკი, გულით გაერთოს და დასტკბეს მარტო და მარტოდ ბუნების სურათთა „ხელოვნურად“ დახატვით. არა. ამ რეალისტს—მწერალს თვისი სალიტერატურო მოღვაწეობის საგნად აუღია უფრო სოციალური ვითარება

სოფლელთა ცხოვრებისა და უნდა ნათლად და გარკვე-
ვით დაგვანახოს დღეინდელი გაუკუღმართებული ცხოვ-
რების საშინელი ბალდამი, ჩვენი წუთი-სოფლის მო-
მაკვდინებელი ღრმა ქრილობანი, რომ ამ ჩვენი დროის
ქართველი კაცის სულის ფსკერსა და გულის ფიცარ-
ზედ აღძრას და წამოაყენოს მუდმივი, ყოველთვის სა-
ხსენებელი „დაწყველილი კითხვანი“ ჩვენს ბედსა და
უბედობაზე, სიმართლესა და სამართლიანობაზე, პატი-
ოსან შრომასა და კაცთა ურთი-ერთობაზე. და, აი, მე-
ლანიაც დღეს საქვეყნოდ აღძრავს ერთს უშველებელს
და საშინელს საკითხს ჩვენი „ყოფისა, თუ არ ყოფი-
სას“. მის ნაწარმოებში, მოთხრობა „ბნელოში“ ამ „ყო-
ფის, თუ არა ყოფის“ ჭირ-ვარამის გამოსახატავად გან-
კითხვისა და განსჯის თავ-ზარ-დამცემი ხმები კი არ ის-
მის. პირ-იქით, მთელი ნაშრომი არის ერთი-მეორეზე
თან-მიყოლილი მოთხრობა და აღსარება იმისა, რაც ყო-
ველ დღე მოხდება ჩვენში და მოსალოდნელია კიდევ,
რომ მოხდეს. ეს ჭეშმარიტი, მართალი გულის აღსა-
რება აღძრავს ჩვენში მწარე კაეშნით სავსე ფიქრთა და
ზრახვათა, რომელთაც ვერასოდეს ვერ განფანტავს მარ-
ტო თავ-ადერილ ოპტიმისტთა უსუსური აღთქმანი და
მათი უმნიშვნელო, უკაცური საქციელი ამ წუთი-სოფ-
ლისანი. „ბნელოს“ ავტორმა ჩვენ დაგვანახვა ავი და
კარგი ქართველთა ცხოვრებისა, თვალ-წინ გადაგვიშა-
ლა ნამდვილი სურათი სოფლის ცხოვრებისა, სადაც
უმიზეზოდ, უდანაშაულოდ ამოხდა სული (გვ. 138—
142) მშვიდსა და ალაღ-მართალს გლეხის შვილს.
ტყუილად სცდილობს ეს პატიოსანი მუშაკი წინააღუ-
დგეს თავზე ხელ-ადებულ უსამართლობას, სიმართლის
აღდგენით თავზედ დამტყდარს განსაცდელს თავი და-

აღწიოს... თავი და თავი მიზეზი—უსამართლობა, ძალ-
მომრეობა და უნამუსობა, მჭიდროდ შეერთებული
უმეცრებასთან, წარმოშობავს უბედურების მორევს,
რომლის წუმბეშიაც ჩაიდრება სულიან-ხორციანად
მოთხრობის გმირი და მთელი იმისი ოჯახობაცა... ილია
თვალთშევილი დაიჭირეს და სატუსალოში დაამწყვდიეს.
იმის დამღუპველებმაც სურვილი შეისრულეს... სატუ-
სალოს გაცნობილი და ტუსალებს დამეგობრებული (გვ.
155—157) ილია, განთავისუფლდება თუ არა, ჯავრის
ამოსაყრელად გამწარებული იბრძვის. იგი ხანჯალს მუ-
ცელში ჩასცემს მამასახლისს გიგიას, ამგვარსავე საქმეს
უპირებს „კნიაზ“ შაქროს, ცოლს გალახავს და გააგ-
დებს. ბოლოს, თათარს დაუმეგობრდება და ბნელად
ქცეული იძულებულია განშორდეს საუკუნოდ სოფელ-
სა და შეიქმნეს საშიშარი და თავ-ზარ-დამცემი ყაჩაღი.
აი სახეც გაყაჩაღებულის, დღეს სრულიად გადასხვა-
ფერებულის ვაშკაცის ბნელოსი: „საღამოზედ იმ სახ-
ლის წინ, საცა ბოქაული უმაწვილებთან დროებას ატა-
რებდა, იდგნენ ბნელო და კეკელა, ხალხ-შემო-
ხვეულნი.

ბნელო ძალიან მოხდენილის სახისა და ტანისა
იყო,—მაღალი და მსხვილ მხარ ბეჭიანი, სახე ჰქონდა
ხორბლის ფერი, შავი თვალ-წარბი, ზომიერი ცხვირი,
მოკლედ გაკეთებული შავი წვერი და შავი უღვაშები,
თავზედ ეჭურა მაღალი, წითელი ქუდი, ტანზედ ეცვა
შავი ბოგოჩის შალის ჩოხა შალვარი და შავი პრუნე-

ლის ახალუხი, მაშინით შეკერილი; ფეხთ ეცვა მაღალ-
ყელა, უქუსლო ჩუსტები, წელწედ ერთყა შევერცხ-
ლილი ქამარ-ხანჯალი, ერთი ფეხი წინ წაედგა, ხანჯ-
ლის ბოლო ლაჯებს შუა ჩაეტარებინა და ორივე ხე-
ლით ხანჯლის ტარს დაჰბჯენოდა. სახე დამშვიდებუ-
ლი ჰქონდა ისე, რომ ერთი ბეწვა მდელვარებაც არ
ემნეოდა.

ბოქაული გავიდა აივანზედ, რომელიც გადაჰყურებ-
და შეგროვილს ხალხს; თან გაჰყენენ ყმაწვილებიც ბარ-
ბაცითა და უწმაწურის ლაპარაკით“...

და, როდესაც სოფლის ბედის გამგე ბოქაული
ბნელოს მიერ ჩადენილ უბედურებათა და მძიმე საქმე-
თა „განკითხვაშია“ და ძალმომრეობასაც ხმარობს მას-
ზედ, ბნელო ზიზლით სავსე სიტყვებით შეუტევს მას:
— „მე ჩაფრებისა-კი არა, ღმერთისაც არ მეშინია! ჩე-
მი ხანჯალი აბაზს იღებს. საცა ესა მაქვს, იქ ვის შე-
უძლიან თითი დამაწოს!..“

ჩვენ საკმაოდ ვრცლად გავარკვეით ის საზოგადო
მიზეზები, რომელთაც აიძულებს ილია თვალთშევილი
ხელი აედო ოჯახსა და პატიოსანს შრომაზე, თავის
კოლ-შვილსა და ქონებაზე და ხალხის თვალში დამცი-
რებულს, თავ-მოქრილს მიემართა ისეთი იარაღისა და
საქმისათვის, რომლის საშუალებითაც ჯავრი ეყარა
მტერზედ, მთელს ქვეყნიერებაზედ და მით საჯაროდ
აღედგინა თავისი შეგინებული ღირსება და პირადი უფ-
ლება.

სახელ-განთქმული ჩეხარე ლომბროზოს გენიოსური
თეორია, რომელიც გვიმოძღვრებს, რომ „დამნაშავე
იბადებაო“ და გარეშე პირობანი მხოლოდ ხელის შე-

მწყობ გარემოებად მიაჩნია—ჩვენ უმრავლეს მოვლინებათა განსჯისა და განკითხვის დროს სრულ ჭეშმარიტებად მიგვაჩნია. მაგრამ მხოლოდ და მარტო უმრავლეს მოვლინებათა განსჯის დროს. არის, მიუცილებლად, მთელი კატეგორია ურიცხვ დანაშაულობათა, სადაც ანორმალური ცხოვრების გარემოება არის მხოლოდ თავი და თავი მიზეზი მოვლინებისა. ჩვენი გონება მაინც თავის დღეში ვერ წარმოიდგენს, რომ იმ წრემ მშვიდობიან მიწის მუშათა, რომელთაც ეკუთვნის მოთხრობის გმირი, გლეხი ილია თვალთშეპყრობის ხელი აიღოს საქვეყნოდ თავის საყვარელ გუთანსა და ოჯახზე, თავის მიწა-წყალსა და ცოლ-შვილზე და იყაჩაღოს, თუ იმას ჩვენივე გადალღებული ცხოვრება რაიმე მძიმე განსაცდელს, ანმოულოდნელს მებს თავზე არ დაატებს. და ჩვენც, ამიტომ, ლომბროზოს თეორია ცალმხრივად მიგვაჩნია ერის ამგვარ შვილთა მიერ ჩადენილს საზოგადო მძიმე დანაშაულობათა. ასახსნელად მაინც...

თქვენ ნუ დაიზარებთ და ჩაუფიქრდით იმ გარემოებას, თუ რაოდენად აუტანელია თვით ბნელოსათვის ესეთი „ძალღ-უმადლო“ ცხოვრება“ და ტყის ნადირსავით წანწალი, რაოდენს ნაღველსა და დამფუტქველს ცეცხლის ალს მოუცვავს იმისი არსება, როდესაც მოაგონდება, რომ „ვისმე ჩქარა აატირებს“, სიცოცხლეს გაუმწარებს და დღეს იქნება თუ ხვალ, შამოაკვდება კიდევ კაცი არის მოთხრობაში ადგილი „ნაყოფი პატიმრობისა“, სადაც გამოხატულია ჯოჯოხეთური ტანჯვა გაუბედურებულის სულისა. ამაზედ უკეთესი, უძლიერესი და უღრმესი გრძნობით და, მერე, ასე

მარტივად დახატული ადგილი. ამავე საგნის შესახებ იშვიათია მთელს ქართულს ლიტერატურაში. და თან, ჩემის ფიქრით, ფრიად საყურადღებოც. ამიტომ, საჭიროდ მიმაჩნია სრულიად ამოვიღო იგი მოთხრობიდან და ჩემს მკითხველს წარმოვუდგინო აქ.

„შემოდგომაა. კარგა ხნის შებინდებული იყო პირველი ხარისხი მთვარისა დაშვებულიყო დასავლეთისკენ. ალაზნის ველზედ, ერთს პატარა ტყის კორომში, რომლის შუა-გულშიაც იყო პატარა ყილთალიანი, სძოვდა შეკმაზული ცხენი. ცხენის მოშორებით, ტყის პირში, ეძინა თოფ-იარაღში ჩამჯდარს ცხენის პატრონს. ძოვნის დროს ცხენმა შეჭურუტუნა და ამით გამოაღვიძა კურდღლის ძილისაგან თავისი პატრონი, რომელიც მძინარევე ფეხზე დადგა. მოიფშენიტა თვალები და შაჰხედა ცხენს. ცხენი თავისთვინ სძოვდა არხენად. მაშინ მიჰხედა პატრონი, რომ ცხენმა ჩვეულებისამებრ დაიჭურუტუნა ძოვნაში და არა რაისამე დანახვაზედაო. მაინც ამის შემდეგ აღარ დაუძინა ცხენის პატრონს, რადგანაც მთელი ძილი კიდევ დაისრულა. მხოლოდ წამოწვა მხარ-თედოზედ და თვალი გაუშტერა მთვარეს, რომელიც ხანდისხანიმალეობდა პატარ-პატარა ღრუბლის ნაწყვეტებში. შეერთებული კრიკინი კალიებისა და ცხენის ხრამა-ხრუმში სმენას უტკობდა. ამ გარემოებამ ასიამოვნა, და, ვგონებ, პირველად იგრძნო ასეთი სიამოვნება მას შემდეგ, რაც უწყება მიიღო მომრიგებელის მოსამართლისაგან. ამავე გარემოებამ აუშალა ფიქრი წარსულ ცხოვრებაზედ. თვალ წინ წარმოუდგა ის დრონი, როდესაც ჰყარაულობდა თავის პატარა ვენახს და სტკებობდა ამავე კრიკინა-კალიების კრიკინითა. თვალ წინ წარმოუდ-

გა თავისის ღამის მეხრეობის ის დრონი, როდესაც გუთნის ხარს აძოვებდა კარგს ბალახში და თვითონ, წამოწოლილი განზე, სიამოვნებით უგდებდა ყურს ხარების ფშვინვით ბალახის ძოვნას, რომელიც ბევრით განირჩეოდა ცხენის ხრამა-ხრუმისაგან; მოაგონდა ის მთვარიანი ღამეები, როდესაც მისი „ბუელა“ მარიკოვალერსებოდა აკვანში მწოლიარე პაწაწინა გიგიას; მოაგონდა თავისი ყმაწვილობისა ყოველივე, რასაც კი ესიამოვნებინა იმისათვის... სული შეუგუბდა, გული ყელში მოეხუნა და ცრემლები თვალებში მოაწვა. შემდეგ, თითქოს მაქრის ქვევრმა ამოჰხეთქა სარქველსაო, ისე ერთბაშად გადმოსცვივდა მუშტის ტოლია ცრემლები და მოჰყვა გულ-ამოსკვნილს ქვითინსა. ყოველივე, რასაც-კი ესიამოვნებინა ეს კაცი, წარმოიდგინა და დაიტირა თვითოეულად და უსიტყვოდ, თითქოს პირველად ახლა ეთხოვება ყველა ამაებსაო. ამნაირმა მისმა მდგომარეობამ საათზედ მეტი გასტანა; როცა მოიოხა გული ტირილით, წამოდგა ფეხზედ, ხელის ცერები ქამარში ჩაიწყო და გაიხედ-გამოიხედა. მივიდა ცხენთან, თავი აუხსნა ფეხიდან და დაუწყო თვალებსა, ყურებსა და ფაფარზე ხელის სმა ისე ნებივრად, თითქოს ქვეყანაზედ ამის მეტი აღარაფერი დარჩენოდა საყვარელი და მხოლოდ იმისაგან მოელოდა ნუგეშინის ცემას. მობრუნდა ისევ თავის ადგილას. წამოწვა, ერთი საშინლად ამოიოხრა და წარმოსტქვა:

— ოჰ, ღმერთო, შე დალოცვილო! რა შეგცოდნე იგეთი, რომ ეგრე დამტანჯე? მე ჩემ ყმაწვილობაში არ მახსოვს, რომ უღვთო რამ ჩამედინოს და, თუ ჩემმა დედ-მამამ შეგცოდნეს რამე, შე რად მახდევინებ!.. რა გინდოდა, შე დალოცვილო, იგრევე ის ილია ვყო-

ფილიყავ!.. რაღა ვარ ეხლა, ან რაღა კაცობა მეთქმის? ცოლი მე აღარა მყავს და შვილი; გულ-შამატკივარი და მოკეთე მე აღარ მბადია ქვეყანაზე, გარდა მტრებისა! ჩემი სახლ-კარი სახლ-კარს აღარა ჰგავს და მამული მამულს, — სასაფლაოც-კი დაკარგულია ჩემთვის! გზათა-უკან წანწალში უნდა ამომივიდეს სული და, საცა ამომივა, ძალღივით იქვე უნდა ჩამფლან მიწაში... ოჰ, ღმერთო! განა იქნება-ღა სადმე ჩემზე უბედური ადამიანი? განა ექნება კიდევ ვისმე ეგრე არეული ცხოვრების გზა, როგორც მე? განა ეხლა არა მჯობიან გოგოლანთ კუტო, რომელსაც მჭადის ლუკმა ენატრება, მაგრამ ყველას კი იმისთვის გული შესტკივა?!.. სასაფლაო მაინც არა აქვს დაკარგული ჩემსავით!.. დავანებო ამ ძალღ-უმაღურ ცხოვრებას თავი და მივჭყო იგრევე წინანდელ ცხოვრებას ხელი, რის პატრონმა? ვინ-ღა მბადია რაღა მაქვავია? მუშაობაზე გული აღარა მაქვ; სვინდისი შე აღარა მაქვ და ცოდნა-მადლი... ვინ იცის, რომელ ღამი-მეხრეს ავატირებ ამალამ. რა უნდა მექნა მე, რო ჩემთვის დეეტაცნათ ჭოტა და შვინდა? თავს-ღა ვიცოცხლებდი მაშინ?!.. განა ამისთანა დღეში არ ჩაყარდება, ვისაც ამალამ ჩვენ ხარებს დავტაცებთ?.. სად წავიდა წინანდელი ჩემი გული? იგრე როგორ გაამიქვავდა, რო ამისთანა უღმერთო საქმეებს მაქნევინებს!.. ეჰ, დაილოცოს, ღმერთო, შენი სამართალი! შე დალოცვილო, ამისთანა ბედი და იღბალი რაღა მე მარგუნე მთელ დუნიაზე? რო აღარც გული მაძლევს ნებას, დავანებო ამ ძალღ-უმაღურს ცხოვრებას თავი! წელან მეცოდებოდა ის, ვისაც ამალამ ხარებს დავტაცებთ, ეხლა ვინალაზედ მომდის გული, რომ აგრე და-

იგვიანა. სად არი, ის ოჯახ-დასაქცევი, აქამდინ, რომ ჩქარა არ ავატირებთ ვისმე! ყველანი — მთელი ღუნია ურევია ჩემ გაუბედურებაში და ყველას ჯავჭი უნდა ამოვიყარო!..

არ გასულა ორი წუთი ამ სიტყვების შემდეგ, რომ გაიგონა ცხენის თქარა-თქური და მაშინვე დაიწყო მომზადება. მინამ ცხენს დაჰლაგმავდა, თავს წამოადგა ერთი ცხენოსანი, იაფინჯ-მოსხმული, და შესძახა: „გედახ!“ ბნელოს ხმა არც-კი ამოუღია. შეჯდა ცხენზედ დი ორივემ მოჰკრეს, გაჰქუსლეს ალაზნისაკენ“.

პატიოსნებისა და სამართლიანობის მოყვარე მკითხველი ერთში კი, უეჭველად, დაძრახავს ბნელოს და ჩვენც დიდის საყვედურით მოგვმართავს, რომ ყაჩაღის უსაქციელობისა და უკაცურობის მიზეზებსა და გარემოებას როდესაც ვარკვევთ, თითქმის თანაგრძნობითაც ვეკიდებით ჩვენ მას.—როგორ? წამოიძახებს განცვიფრებით მკითხველი.—ვაშკაცის სახელი გინდათ დაარქვათ ისეთს მხეცს, რომელიც თავის ცოლს, სუსტსა და დაჩაგრულს არსებას, ასე უმოწყალოდ ექცევა და ივრის ხიდის ღუქანში ღუღუკზედ შემაქცევარ სიღნაღელ ბიჭებთან ბნელო დაინახავს თუ არა უბედურს და სუსტს ქალს, მარჯს ვეფხის სისწრაფით მივარდება მას და თავსა და პირში წაუშენს მათრახებსა. ასეთი მხეცი საზიზღარია ყოველთვის და ყოველგან და თქვენ, საკვირველია, სინიდისი ნებას გაძლევთ, რომ თანაგრძნობით ეპყრობით მას?!..

ჩვენ, ჩვენის მხრით, არ ავხირდებით და უმნიშვნელოდ კამათობას არ გავუწევთ ასეთს კეთილშობილს მკითხველს. ხოლო ვიტყვით, რომ ყოველ გვარ აზრის გამოთქმას თვისი პრაქტიკული ღრმა მნიშვნელობა უნ-

და ჰქონდეს და მარტო ისე, ცხოვრების განყენებით უშინაარსო ფრაზად წამოსროლილი მსჯელობის საგნად ვერასოდეს ვერ გახდებო. ამგვარად აზრის გამოთქმა საქმის აბუჩად აგდებას მოასწავებს. ჩემის ფიქრით, ყოველნაირ მოქმედებასა და საქციელს კერძო კაცისა გინა ერისას, უეჭველად, ჩვენ საბუთი, მიზეზი უნდა გამოვუძებნოთ, გავიგოთ და დავინახოთ თვალთა ხედვისგან დაფარული სათავე მის გაჩენისა, და მხოლოდ მაშინ უფრო ნათლად გამოვარკვევთ თვით იმ საქციელისა და მოქმედების ისტორიას და უშინაარსსაც.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ილია თვალთაშვილს უყვარდა მარიკო, უყვარდა იგი ისე, როგორც-კი ძალუძს შეიყვაროს სიცოცხლით სავსე, განუყოფელი ბუნების შვილმა ნაზი, მაისის ვარდივით შვენიერი და ტურფა არსება, თვისი ქირისა და ღვინის შუაზედ გამყოფი ახალგაზდა შეუღლე, რომელსაც

„გული მისცა გულისათვის,

სიყვარული გზად და ხიდად“.

და, აი, რა-კი ქმარი დაინახავს, რომ ამ საყვარელმა არსებამაც, უკანასკნელად ამანაც, ამ მისმა „ბუჟლა“ მარიკომაც-კი სრულიად მოსპო იმისი სახსენებელი, საქვეყნოდ თავი მოსჭრა და თავის ჟინის პირუტყვულად მოკვლას ანაცვალო მთლად ეს თავ-მოყვარე ქართველი ვაშაკაცა, — რაც ვსურთ, ისა სთქვით. ბნელომ ველარ მოათმინა ესეთი თავის მოჭრა, თვისი ღირსების უსირცხვილოდ შეგინება და გაბოროტებულ, ბრაზ-მორეულ ვეფხს დაემსგავსა .. ძლიერი, მეტის-მეტად საშიში ცეცხლის ალი აღენტო იმის საკირესავით გახურებულს გულის ფიცარზედ და ბუნება კაცისა ღრმად შეირყა, შეტოკდა. ამ დროს გულ-დამწვარი და გაშ-

მაგებული ბნელო, ადვილად დამეთანხმებით, პირველ-დასაწყისს მიზეზს დედა-კაცის ესეთი მდგომარეობისას ხომ არ დაეძებდა, ვერ წარმოიდგენდა!.. ბნელო თვალ და თვალ, პირდაპირ ხედავს, რომ მთელმა ქვეყანამ უღალატა, წელში გასტეხა და მოსპო ეს ვაშკაცი. დღეს ეს მარიკოც ურევია იმ მოღალატეთა გუნდში, რომელთა გიჟი განცხრომა და „სიამენი სოფლისანი“ გულს უღადრავს და აბოროტებს ისედაც მთელს ქვეყნიერებას გადამტერებულს კაცსა. და, მერე, ასე საშინლად თუ დაამცირებდა, ასე სასაცილოდ თუ აიგდებდა მარიკო თავის ქმარს-ილიას, — ამას ხომ თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა იმისი გონება?!.. კაცში გაიღვიძა ველურმა შურისძიებისა და მძულვარების, ჯავრის-ყრილობის საშინელმა, სლიერმა გრძნობამ, რომლის ზვირთთა მძიმე დატაკებას ველარ გაუმაგრდა ბნელო და გაუბედურებულს ქალს ცხვირ-პირში მათრახები გააკრა..

ვინ იცის, შესაძლებელია, ასეთმა საქციელმა დააკმაყოფილა კიდევ უბედური ბნელოს თავმოყვარეობა, რადგან ამ წამს გაამაყებულის დედა-კაცის პირადობა შელახა და დაამცირა? ზევით მოხსენებულისადმი ჩვენ ვიცით, რომ ილია ბავშობიდანვე ისეთი ამპარტავანი, ნებივრად გაზრდილი და თავის-ნება გლახია, რომ ყოვლად შეუძლებელია ვინმეს მიერ მასზე მოყენებული შეურაცხება და დამცირება უმნიშვნელოდ, უზღვეველად ჩაატაროს. ყაჩაღობაც ხომ იმიტომ დაიწყო, რომ მთელს ქვეყნიერებას ს:მაგიეროს გადახდას უპირებს: „ყველანი — მთელი დუნია ურევია ჩემ გაუბედურებაში და ყველას ჯავრი უნდა ამოვიყარო!..“ და ცოლისაგან მიყენებული შეურაცხებაც ამ ჟამად ისეთი ძლი-

ერი და უსაზღვრო გახლდათ, რომ ვერავითარცს გზით ვერ მიუტევებდა მას. აქ თავი იჩინა უფსკერო და საზღვარ-დაუდებელმა სურვილმა, რომ მარიკო ამ წამს გალახოს, შეაგინოს იმისი არსება, მოსჭრას მას თავი საუკუნოდ დედა-მიწაზედ.

მე არც აქ ავუხირდები მკითხველს, რომ სხვა წრის კაცი, გინდა რუსის „მუჟიკი“, რომელსაც თავისებური, ქართველ გლეხისგან სრულიად განსხვავებული შეხედულობა აქვს თავის ქონებაზე, „ფეშინის“ ნიადაგზე აღზრდილი საკუთრებასა და ოჯახსაც სხვაგვარად უყურებს და ამ შემთხვევაშიაც ცოლსაც სხვა გვარად მოექცეოდა. ბნელის მსგავსივე მდგომარეობაში მყოფ რუსის გლეხს, კიდევ რომ დაენახა მარიკოს აღგილზე თავისი ცოლი, ადვილად შესაძლებელია, ყურადღებასაც არ მიაქცევდა მისს თავ-მოსაჭრელ ყოფა-ქცევას, ან უფრო მოსალოდნელია, იქ მყოფ მოქეიფეთა ბრბოს გაფანტავდა, ერთს წუთს გაიტაცებდა დედა-კაცს და თავის პირუტყვულს სურვილს აშკარად დაიკმაყოფილებდა... მოგახსენებენ, რუსის „მუჟიკი“ შეურაცხებას და დამცირებასაც ადვილად აიტანსო ხოლმე, რადგანაც სლავიანოფილების თქმის არ იყვეს, რუსის „მუჟიკის“ არსება ღმერთს თურმე „შიროკაია ნატურა“ თი დაუსაჩუქრებია. მაგრამ სამხრეთის შვილს, რომელსაც ზოგჯერ ერთი დაწრუწუნებაც ეყოფა, ქართველს თავ-მომწონე გლეხს, სწორე მოგახსენოთ, ფრანსიელ გლეხივით პრაქტიკულს და თაობიდანვე საკუთრების ნიადაგზე აღზრდილს, თვისი ქონება, ოჯახი, მეუღლეც თავისად მიაჩნია და თვისის უფლების ქვეშე სთვლის, უყურებს. უექველია, ამ წუთს ბნელოშიაც გაიღვიძა ამ კლიერმა გრძნობამ და ჩაიდინა ცოლის დამამცირებე-

ლი, თავ-მოსაქრელი, მაგრამ თვისი, ვითარცა ქმრის უფლების აღმადგენელი საქმე. ამ უცაბედის საქციელით ახალგაზდა ბნელომ ფეხ-ქვეშ გათელილი, შეგინებული თვისი უფლებანი კვლავ აღადგინა ქვეყნის წინაშე, თვისი კაცური ღირსება და განადგურებული ქმრის პირადობა ერთს წუთს კვლავ სანატრელ შუქად წინ დაისახა. მთელი ეს საქციელი ბნელოსი სულ ადვილად აიხსნება, იმ უბრალო მიზეზით, რომლის ძალითაც ერთი წრეს-გადასული მოქმედება ყოველგან და ყოველთვის, პირობის-და-გვარად რასაკვირველია, იქვე გამოიწვევს თანაბარს, მსგავსსავე წრეს-გადასულ მოქმედებას... ბნელომ აიტანა ბევრი, მრავლის უმრავლესი ღრმა მწუხარება და ტანჯვა, ცხოვრებამ იმისი სიქაბუკე აღარ დაინდო, საწამლაფი შეასვა და მოსპო. და, აი, კიდევ ჯოჯოხეთად ქცეული ადგილი და საშინელი მომენტიც, სადაც და როდესაც იმისი ღირსება და ვაშკაცობა უფრო ერთი ათასად ასე დღის სინათლეზედ ილახება, იგინება. აქ ეს „ბუელა“ მარიკაც, ოდესღაც ერთად ერთი იმედი და ნუგეში იმის გატიალებულ ცხოვრებისა, სიცოცხლის მომსპობელს საწამლავს ასმევს და საუკუნოდ ანადგურებს: მძიმე ქრილობის, გულის ჩამწყვეტი საწამლავის შხამი ბნელოს გრძობა-გონებას საშინლად უმწარებს და მრთელი ძალ-ლონე და ნაღველი იქითა და მისკენ მიმართა, საითკენაც და ვისი დასჯითაც მას შეეძლო კვლავ აღედგინა თვისი შეგინებული ღირსება, უფლება და სახელიცა, ვითარცა ქმარისა...

— „ბნელო, ბნელო, შე მზე-დასაბნელებელო! აბა, თუ ბიჭი ხარ და მკლავში ღონე გაქ, აქ ამობძანდი; როგორ გაგისტუმრო! ივრის ხიდზედ დამიბრძყვე

განა? აბა, მობძანდი, თუ ბიჭი ხარ, და აქაც ხელი მახლე!... ოჰ, ნეტავი ეხლა-კი შენი თავი ხელში ჩამიგდო ამ გულ-გაცხარებულზე და თუნდა ჩემი დღე გააქრო! მე ვიცოდი, როგორც უნდა გადახდა“! ამ სიტყვებით ჩამოსძახა აბანოების მახლობლად, ერთი სახლის აივანიდგან ივრის ხიდის დუქანში გალახულმა მარიკომ ბნელოს, მაგრამ პასუხად, მოგვითხრობს ავტორი, ბნელომ ერთი შეაფურთხაო და გაუდგა კვლავ თავის გზას.

ცოლ-ქმარის ამ უკანასკნელ „შეყრის“ დროსაც იგივე გრძნობაა გამოხატული, რომელსაც ძლიერად დამორჩილებინა ბნელოს არსება ივრის ხიდთან. ამგვარი მოვლენა ნამდვილი ფსიხოლოგიური ფაქტია, მარომ გულიდან საუკუნოდ ამოირეცხა ქმრის სიყვარული და ხსენება, რადგანაც ბნელოს აღარასფერი აღარა სწამს იმისი და ბნელოც ხომ უფრო უარესად ამცირებს მას; მიაფურთხებს და... მიდის. საით? თითონაც არ იცის— საით...

პატიოსანი საქციელი, რასაკვირველია, არ არის აქ, არც ქალის მხრით, არც კაცის მხრით. რაკი ესეთს გარემოებაში ჩავარდა ეს ორი უბედური ადამიანი, იმათი ხასიათიცა და ყოფა-ქცევაც სრულიად გაირყვნა და გაბინძურდა. ამიერიდგან ისინი ერთმანერთს აღარ ინდობენ, რადგან მათი პირველი სიყვარულის ყვავილი უღროოდ გააქცნო დაუნდობელმა წუთი-სოფელმა, იმათი კაცური კეთილ-გონიერი ბუნების ნიქთა ძალნი ცხოვრებამ უკუღმართად მომართა და უკანონო, უმართებულო საქციელს მიუჩინა, რა თქმა უნდა, ასეთნაირად გადაგვარება და პატიოსან სოფლელთა გარყვნა, გაუბედურება, სულით და ხორციით წაწყმედა, ჩვენც კარგად ვი-

ცით, რომ სასურველი და მოსაწონი არ გა'ლავთ. მაგრამ ჩვენ მხოლოდ ახლა, როდესაც მთელი მიზეზი და პირობა საქციელისა გავითვალისწინეთ, კარგად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ და გავარჩიოთ, განვსაჯოთ ბნელოს საქციელი. და ამ განსჯის დროს თვით უმართებულო მოქმედებასა და დიდ დანაშაულში დავინახავთ, თუ რა შეუქნია ანორმალური ცხოვრების ვითარებას და რა მოუცია თვით ადამიანის საკუთარს გრძნობა-გონებას და ბუნებას.

ხომლედი.

(დასასრული იქმნება).

თვალთ-ცრემლით, სასო-წარკვეთილებით
ვისმენ რა ხალხის ბჭობა სამართალს,
ვერ გაშიგია, ვის უნდა ვენდო,
ვის დაგუჯერო, ვინ ამბობს მართალს?

ერთი რას ამბობს... და მეორე რას?
დღეს ერთს გვიძღერენ, ხვალ სულ მეორეს,
და ვისაც გუშინ დმერთად ჭხადიდენ,
იმას უშენენ დღეს ქვას და ეორეს!

საზირადა და სათავისკერძო
სასწორ-საზომი უჭირავთ ხელში,
და შხად არიან, რომ სიხარბით ძმა
ჯვარს აცვან, თოკი ჩაბან ეელში!

ძვირია მათში, გზა სიმართლისა
ანგარიშისთვის რომ არ გახაროს,
და უმჯობესი მამულის-შვილი
შურის-ძიებით მან გაახაროს.

ცილის-წამება, კმობა და დეგნა—
აი, რა არის ზოგთა ხელობა,
სამარცხენო და გასაკიცხავი,
დაუხედავი თქმა და მსჯელობა!

ორკულობა და საქმის დალატი,
უწამებიათ უწმინდეს მცნებად;
მათს მოქმედებას ვერ წარმოიდგენ,
თუნდ კარდაიქმნე მარტო ოცნებად.

აღარ სწამთ ძმურად ხელის მიტემა,
ჩაგრულთ აღდგენა და შემწეობა,
„მე ვარო“—ამას კაიძახიან,
ეს არის მათი მოღვაწეობა.

საზოგადო და საერთო საქმე
იქამდის არის ჩვენში წამხდარი,
რომ მრავალთათვის ღრთს მოსაკლავად
გასართობ საცხად არის გამქდარი!

აღარც ერთობა, აღარც დანდობა,
აღარც კატანა, აღარც სიმართლე;
დღეს ამათ ნაცვლად მსკინჯარებს მტრობა
და მან დაჭუარა ქვეყნად სინათლე.

შეირა რწმენა, წაწმდა იმედი,
აღარსაიდგან შეკლას არ ველი,
და მუხლ-მოყრილი ვლაცულობ მარად,
რომ ზეტა იუფს ჩვენი მოვარველი!

რუს-იმერელი.



ანუელინა

(მოთხრობა).

I

იქნებოდა საღამოს რვა საათი. გავათავე შრომა, მოვემზადე და გავეშურე გიოტისკენ სტუდენტთა კრებაზედ, გავირბინე სატონეს ფოლორცი და ორიოდ ქუჩა, გაველ ტეროზე და ოტელ-დე-ვილიდან გავშვი გურულივით ლიონის უუპირველეს რესპუბლიკის ქუჩაზე. უეცრივ გავეხვიე გაზ-ელექტროს ლაპლაპა ნათელში. ეს ვრცელი ქუჩა წააგავდა სინათლის ფერადოვან მდინარეს. 6—7 სატულიანი დიდრონი სახლები, თეატრები, მაღაზიები, სავაქრო სადგურები, ბრასერი, კაფე და რესტორანი საოცნებოდ განათებულან გაზ-ელექტროს კაშკაშა ჩაღებით და ბურთებით. ამას დაუმატეთ მაღაზიის ვიტრინებში ფრანციელ გემოვნებით დაწყობილი ათასფერი საქონელი და ნივთეულობა, ყოველივე ის, რაც-კი შეუქნია ფანტაზიას, მოდას, ესთეტიკას და რაც-კი გაუკეთებიათ ქარხანა-ფაბრიკებში ასიათას

მშრომელ ხელს იმ გარყვნილ, მუქთა-ხორა არსების სანეტაროდ, რომელსაც ეძახიან ბურჟუას; დაუმატეთ მდიდრული მოელვარე ეტლები ბურჟუას სანეტაროდ დამზადებულნი, დაუმატეთ ფართო ქვა-ფენილზე მოსეირნე მხიბლავად მორთულ-მოკაზმული შვენიერი ქალი და კაცი თავიანთ ტკბილ-მოტიტინარე ენით, და ნუ გაიკვირვებთ თუ ყოველივე ეს მეჩვენა საოცნებო ფერიად.

საოცარია ფრანციელი და მისი ქუჩა. თუ ამერიკელის სფერაა მუდმივი შრომა, მოქმედება და ათას რამეების წარმოება, თუ ინგლისელი სუნთქავს მხოლოდ ვაჭრობით, ახალ ბაზრების შეძენით და მგზავრობით, თუ გერმანელის ნეტარებაა ოჯახი, ლუდი, შრომა და მყუდრო ცხოვრება, იტალიელის და მეტადრე ფრანციელის მაცოცხლებელი სტიქიონი ქუჩაა...

ფრანციელი შრომობს კვირიდან კვირამდე (და ეს მისი ტანჯვაა), ითმენს ყოველივეს იმ იმედით, რომ კვირას ისაღილებს კარგად, გამოვა ქუჩაზე სუფთად და მოდაზე ჩაცმული, გაერევა თავის ნაცნობ-მეგობრებში, მოქალაქეთა შორის და მათთან ერთად დასტკბება ნამდვილ ცხოვრებით.

— ქუჩაზე ზღვება ბევრი დიდებული, სამწუხაროდ და სახუმარო ამბები, ქუჩაზე და მეტადრე პარიზის ქუჩაზე ზღვება საფრანგეთის მთელი ისტორია, სწყდება მისი ბედის-წერა. პარიზის ქუჩაზე დაიბადა და დასრულდა დიდი რევოლიუცია თავის საშინელ და საზარელ სურათებით: ტერორით, გილიოტინით და სისხლის ღვრით...

ამ ქუჩაზე განითქვა სახელი და ამაღლდა უბრალო ჯარის კაციდან ევროპის ზარ-დამცემ იმპერატორად უუდიდესი ჯალათი ნაპოლეონ პირველი. ამ ქუჩაზე

დასცეს იმპერია და გამოაცხადეს მეორე რესპუბლიკა. ამ ქუჩის წყალობით იჯდეს ხელთ საფრანგეთის ტახტი შარლ მეათემ, ლუი ფილიპმა და ნაპოლეონ მესამემ, მაგრამ ამავე ქუჩის მეოხებით დაეცენ ისინი. გამბეტას მგრგვინვარე ხმოსნათ შეერთებულმა ქუჩის ხალხმა დაამსხვრია მესამე იმპერია და აღადგინა მესამე რესპუბლიკა. ამ ქუჩაში მოხდა რესპუბლიკელთა და კომუნისტთა შეტაკება და სისხლის ღვრა, ამ ქუჩაში ხდება მუშათა აჯანყება, გრევი, დემონსტრაცია, მანიფესტაცია და სხვა-და-სხვა.

მაგრამ ესევე ქუჩა არის ბურჟუაზ გამამდიდრებელი წყარო. აქ ხიბლავს მუშტარს ათას-ფეროვანი საქონელი. აქ ეჩრება თვალში გამვლელს აურაცხელი რეკლამები: მოძრავი თუ უძრავი; ხმოვანი თუ უხმო, სურათიანი თუ დაწერილი. შენობათა კედლები, თვით შენობანი შინ და გარედ, ტროტუარი, მუში, ტრამი, ვუატური, ცხოველნი და მცენარენი, ყოველივე რეკლამადაა ქცეული, ყოველივე რეკლამითაა სავსე; თვით ფეატრი, თვით რკინის გზის სადგურები, თვით ეკლესიაცკი ემორჩილება რეკლამის ძლიერებას; თვით ადამიანი არა იშვიათად ხდება მისი მონა და გადიქცევა ხოლმე მოძრავ რეკლამად. ამ ქუჩაზე ხდება ათასგვარი რანდევუ; აქ ეცნობიან ერთმანეთს, აქ უცხადებენ სიყვარულს, აქ შლიან გრძნობებს და ვნებათ, აქ აკეთებენ საქმეებს, აქ სტირიან, მღერიან, თამაშობენ, ერთი სიტყვით აქ ცაფხლფებენ... ფრანციელი იშვიათად მიგიწვევს შინ, მისი მოდი-ნახე (რანდევუ) ქუჩაა, ან კაფე-რესტორანი.

ხშირად რომელიმე დღესასწაულზე, მეტადრეკი ყველიერში, მთელი ფრანციის ერი გადიქცევა ხოლმე

ბავშად, იმოსება ათას-ფეროვან ფანტასტიურ სამოს-
ლით, იკეთებს ათასგვარ ნიღაბს და მასკებს, იგონებს
აურაცხელ გასართობს; გამოეჭინება ქუჩაზე და ამ რი-
გად რამდენიმე დღე მღერის, ხუმრობს, ცეკვავს, თა-
მაშობს, ერთის სიტყვით ქეიფობს, ნეტარებს, შორდე-
ბა უამურ პროზას და სტკბება ბავშურ პოეზიის მოცქ-
რიალე, ფერადოვან სფერაში. ამ მხრივ შესანიშნავ
სურათს წარმოადგენს პარიზის კარნავალი.

ერთი სიტყვით ქუჩაა სცენა და ასპარეზი, სადაც
ნამდვილ მსახიობის როლს ასრულებს თვით საფრანგე-
თის ხალხი და სადაც თამაშობს იგი ისტორიის და
ცხოვრების დაუსრულებელ ტრაგედიას, დრამას, კომე-
დიას, ფარსსა და ვოდევილებს.

მაგრამ თვით ქუჩას დაეკარგებოდა მნიშვნელობა და
მომხიბლაობა, რომ აქა-იქ არ ჰქონოდა მას სიცოცხ-
ლის ამფეთქებელი ძვირფასად მორთული ბრასერი, კონ-
ტუარი, ბარი, კაფე და რესტორანი. გავიცნოთ ისინი;
შევადლოთ კარი და ვიხილოთ, თუ რა ხდება მათში. ისი-
ნიც სავსეა ხალხით: ქალი და კაცი, მუშა და ბურჟუა,
მხედარი და მეცნიერი ყველანი მიუზიდავს აქ ანდამა-
ტივით რაღაც ძალას. რას აკეთებს აქ ეს აუარება ხალ-
ხი? აქ სადილობს და ვახშობს იგი, აქ მიირთმევს ყა-
ვას, ლუდს, კირშს და ათას გვარ აპერიტივებს, აქ ის-
ვენებს მუშა, აქ ფუფუნებს ბურჟუა, აქ ხდება წვეუ-
ლება, ქორწილი, კრება, კონფერანსი, ბანკეტი და რან-
დეუ. აქ ირჩევენ პრეზიდენტს და დეპუტატებს, აქ ანგ-
რევენ და აარსებენ სამინისტროს, აქ ქმნიან პოლიტი-
კას, სწყვეტენ რესპუბლიკის ბედ-იღბალს, რომ შემდეგ
ქუჩაში გაახორციელონ იგი. ერთი სიტყვით ბრასერი,
კაფე და რესტორანი ფრანციელის დარბაზია, საბჭო,

სალხინო და სანეტარო, ამიტომ ესენი ამთავრებენ ქუჩას და აძლევენ მას აზრს, სიცხოვლესა და სიტკბობას.

ძლიერ ხშირად ბრასერში თუ კაფე-რესტორანში მსახურის როლს ასრულებენ კეკლუცად დართული ტურფა ქალები. შეხვალ რომელიმე კაფეში და, თითქო ჩამოფრინდა ზეციდანო, უეცრზე შენ წინ გაჩნდება შვენიერი მარსელა ან ჟულიეტა; გაგიღიმებს მოციმციმე სახით, დანამავს ვნებით თვალებს და ნაზის ხმით დაგეკითხებათ:— „რას ინებებთ?“ თქვენს პასუხზედ იგი გასრიალდება შურდულივით და მოგირბენიებს ბოქს, კირშს, აბსენტს ან სხვა რამეს, რაც თქვენ დააბარეთ. გაასუფთავებს მაგიდას, დააწყობს სასმელებს, ამოგიდგებათ ვით მფარველი ანგელოზი, გაგიბამთ ტკბილ საუბარს და, რაც უნდა ცუდ გუნებაზედ იყო, ეცდება გაგაცინოს და გაგამხიარულის; მოგიჯდება; დაგიწყებს არშიყობას და ვინიცობაა თუ ეშმაკმა გაცდუნა და აპყევი, მაშინ მის სიხარულს არა აქვს საზღვარი. თუ კიდევ გაგიწყრა ღმერთი და აკოცე, მაშინ ხომ ნეტარებით ცას აწვდება შვენიერი ჟულიეტა! იგი მაშინვე მოგხვევს ხელს, მოგადებს თავის ლბილს, ფუნთუშა სხეულს, შამოგხედავს იმგვარ მომხიბლავ თვალებით, რომ უეცრივ დაგივლის მთელ სხეულში ტკბილი ჟრუანტელი და ნარნარა ხმით ჩაგიფუჩუნებს: „ღამ-პატიეთ!“

როგორც ტრფიალებით დამთვრალი, თანახმა ხარ და ეუბნები: კი, ჩემო სულიკო, და თანაც აჩნევ ვარდისფერ ლოყაზედ ტკბილს ამბორს. იგი წამოხტება, ვით ქურციკი, გარბის საოცარის გრაციით, მოარბენიებს კიქით ძვირფას სასმელს, მოგირაკუნებს მოხდე-

ნით ბოკალზედ და გადაკრავს შენს სადღეგრძელოს, შენ სრულიად გაეხვიე ნეტარების ბურუსში და სცურავ სიყვარულის ზილფებში, აიღე ჭიქა და დალიე ალტაცებით შენი ღვთაების სადღეგრძელო, მოიწმინდე უღვაშები, გაშალე ხელი, გასურს კვლავ მიიყრდნო გულზე შენი სატრფო და კვლავ დააქლო მის ფუნთუშა ლოყას სიყვარულის ყვავილი, მაგრამ, ოჰ, საოცრებავ! შევნიერ ჟულიეტას ნაცვლად ცარიელი ჰაერი მოგყვა ხელში. შენი „სატრფო“ კი გაფრენილა, ვით გაზაფხულის პეპელა, და ეგერ კუთხეში იმგვარივე მომხიბლაობით ეარშიყება ვილაცას. შენ ბრაზობ, სისხლი გებჯინება ყელში, გასურს მივარდე და შეეურაცხყო შენი რაყიფი! მაგრამ წყნარად... ერთი წამიც და შენმა ჟულიეტამ იმასაც ათამაშა ისეთივე ფარსა-კუკუ, გამოაბა შენსავით რქები და გადვიდა მესამეზედ; ამასაც იგივე ოინი უყო და გადაფრინდა მეოთხეზე, მეხუთეზე და სხვა-და-სხვა. მასთან ასწრებს და ემსახურება აურაცხელ მუშტარს. აგერ ერთი ეძახის: ენ ბოკ, მადმაზელ! ეგერ მეორე: კირშ, მადმაზელ! მესამე თხოვილობს შარტრეზს, მეოთხე აბსენტს და სხ.

ჟულიეტაც დარბის, დაცქრიალებს ვით ჯარა, მარად მხიარული, მარად მომღიმარი და სწრაფად ასრულებს სტუმართა ბრძანებას. ერთს უცინის, მეორეს კოცნის, მესამეს თვალს უშვება, მეოთხეს ეხუმრება, მეხუთეს ესაუბრება, მეექვსეს ეპატიჟება, მეშვიდეს რანდევუს უნიშნავს; ამ რიგად ხიბლავს იგი ყოველივეს და ცქრიალობს მოხდენით მთელ დარბაზში, შენ-კი თითქო დაავიწყდი, არც გიყურებს, არც გამჩნევს... მაგრამ არა, სტყუვდები. აი ადექი კიდევ დაღონებული, დააპირე წასვლა; სწორედ ამ დროს, თითქო სატანამ

გამოგზავნაო, შენ წინ გაჩნდება შვენიერი ქულიეტა იმავ მომხიბლავ თვალებით და მოტიტინე ბაგით, მოვავლებს ხელს სინაზით და მოწყენით შეგეკითხება:

— „Monsieur, vous allez déjà partir! Mais pourquoi donc sitôt! Restez encore un moment, s'il vous plait!..“ *) და იმდენს შეგიჩნდება, რომ თუ სუსტი ხასიათის ხარ, უსათუოდ დაგტოვებს და კვლავ გაგიმეორებს იმ კომედიას, რაც წელან გიყო. მაგრამ თუ ნამდვილად დააპირე წასვლა, იგი გაგისწორდება ანგარიში, გაგიღიმებს, გაკოცებს კიდევ, გთხოვს ხშირად ინახულო, დაგავიწყებს ამრიგად წელანდელ ჯავრს, გაგიშვებს შერიგებულს და მოჯადოებულს.

ერთი სიტყვით აქაური კაფე-ბრასერი აღმოსავლეთის კაცს მოაგონებს მაჰმადის სამოთხეს. მარადის იქნება დაუვიწყარი ის, რაც პირველად ვიხილე აქ ერთ ბრასერში. ჩამოვედით თუ არა ლიონში, ერთმა ჩვენმა მოძმემ დაგვპატიჟა ბრასერში. საღამოა, ვრცელი დარბაზი საესეა ხალხით, რომელთა შორის ცქრილობენ, ვით მხიბლავი ფერიანი, ტურფა ქალები და მსახურებენ სტუმართ. ეგერ გაისმის კოცნა, აქ ჩქმეტა და ხუმრობა, იქ სიმღერა და კისკისი. ჩვენს გაოცებას არ ჰქონდა საზღვარი. ჩვენთანაც მოფრინდენ ტურფანი და მოგვირბენიეს რაც მოვიკითხეთ; მოგვიჯდენ გვერდით, დაგვიწყეს ტკბილი საუბარი და არშიყობა. ისინი კვირობდენ ჩვენს სიხამეს და დაგვცინოდენ. ჩვენი გაოცება-კი თანდ თან მატულობდა. ამ დროს ერთი ცუფრუმელა მიეპარა ყველაზედ უფრო გაშტერე-

*) მიბრძანდებით კიდევ, ბატონო! რათა ასე ჩქარა! დარჩით კიდევ ცოტა-ხანს, თუ ხატრი გაქვთ.

ბულ ჩვენს ამხანაგს აბხაზეთის თავადს, (რომელმაც ერთი სიტყვა ფრანგული არ იცოდა მუსიოს და მადამის მეტი), უჩქმიტა მწვავედ და თანაც ასეთი მაგრად აკოცა შეჩვენებულმა, რომ შეშლილი აბხაზი გაწითლდა მოხარშულ კიბოსავით, წამოვარდა, ჰკრა ხელი არამკითხე მოარშიყეს და სხვა რომ ვერა მოიგონა რა, ათი წუთი სულ „იოხ მადამ“ იძახა... საბრალო აბხაზი! ის იოხ მადამს გაჰყვიროდა გამწარებული, ირგვლივ-კი სულ სიცილ-კიჟინას აყრიდენ. შეგვნიშნეს უცხოელებად, დაგვსახეს რუსებად, მოცვივდენ ქალები, შამოგვევლენ ვარდ-ყვავილის გვირგვინივით და... „ვივ ლა რუსით“ და „ვივ ლე ცარიჲ“...

ჩვენ ვეღარ გავუძელით ამათ ოფაციებს, დავყარეთ ბარგი-ბარხანა, მივეცით ხვედრი ფულები და ვაივით გავექეცით ლამაზ მანიფესტანტებს. მოვრბოდით გამწარებული და სულ უკან ვიმზირებოდით, ხომ არ მოგვდევენ-თქო. მოვედით შინ, მოვიწმინდეთ სიმწრის ოფლი და მოვითქვით სული. სად იყო მოლიერის მადლიანი კალამი, რომ შევნიერი კომედია დაუწერა! ყველაზე უფრო კომიკურ პოზას წარმოადგენდა საბრალო აბხაზი. ფერ-წასული, აღელვებული იგი შინაც იოხ მადამს გაიძახოდა, აქაც თან მახლავს და არ მასვენებს ის საშინელი აღქაჯიო. ისე დავშინდით, რომ იმ კვიმატ დღის შემდეგ ფეხიც არ შეგვიდგამს წყეულ ბრასერში.

ქალის როლი კაფე-ბრასერში ამით არ თავდება. აქ არიან მეორე ჯიშის ქალებიც, რომელთა მოვალეობაა შევნიერის მორაულ-მოკაზმით ისეირნონ დიდ ქუჩაზე, ბულვარზე, ბაღებში და ინადირონ, ე. ი. მოხიპლონ კაცები და მოიწვიონ იმ კაფე-რესტორანში,

სადაც მსახურებენ. აქ იმართება გაუთავებელი ღზინი და ვაკხანალია; აქვეა ორკესტრი, საცეკვაო დარბაზები და საიდუმლო ოთახები... იხარჯება აურაცხელი ფული და ეს უნდა სწორედ კაფე-რესტორანის პატრონს. სამაგიეროდ იგი ამ ქალებს არჩენს, ააღვეს ოთახს და ცოტა ფულსაც. უმეტესად ამ მომხიბლავ ნიმფების მსხვერპლად ხდება სტუდენტობა, რომელიც ორ-მესამედ თავის სიცოცხლეს ატარებს კაფე-რესტორანში...

II

მომიტევით, ბატონებო, მეტად გადავციდი საგანს, მაგრამ რას იზამ! საფრანგეთზედ გესაუბრებით და ნუ გიკვირთ, თუ ჩემი მოთხოვნა ცმუტავს და გადარბის ერთი საგნიდან მეორეზედ ისე, როგორც იცვლიან საყვარლებს ფრანციის კოპწია ქალები.

გაგახსენებთ, რომ ამ უამად ვიმყოფებით რესპუბლიკის ქუჩაზე და მივცურავთ გაზ-ელექტროს სინათლეში. სახლები და მაღაზიები ლაპლაპებენ მილიონ ჩაღებში დღესასწაულია. ფართო ტროტუარები სავსეა ხალხით. საოცარი მოძრაობაა. როგორც ყველგან აქაც სჭარბობენ ქალები, დაცქრიალებენ და ებლანდებიან გამვლელთ, ვით კარნავალის ფრიალა სერპანტინები. თუმც საგრძნო სიცივეა, მაგრამ მდიდარ კაფე-რესტორანების წინ გარედ აწყვია აურაცხელი სკამები, რაზედაც სხედან ბურჟუები, შიირთმევენ სასმელთ და შეცქერიან ლამაზ ქალებს..

მივალ ჩქარის ნაბიჯით. აგერ გამოჩნდა უზარმაზა-

რი შავი შენობა;—ეს გახლავთ ბურსი, სადაც მდიდრ-
დება და კოტრდება ათასი კაპიტალისტი, სადაც მარა-
დის გაცხარებული ბრძოლა ადამიანის ანგართ-მოყვა-
რეობისა და რომელიც ჩაბნელებულა, ვითა საქმენი
ჭურჭუსანი. მის პირდაპირ დარბიან კაცები, ქალები
და ბავშვები, უკავიათ ხელში გახეთები, აჩრიან მათ გამე-
ლელთ და თან გაჰკივიან: „L'Aurore!..“ „Salut Pub-
lic!..“ „Nouvelliste!..“ „Demandez le Salut Public“,
édition du soir!.. „L' Aurore!..“ „Salut Public!..“

გავცილდი ამ მყვირალა წრეს, მივალ გამალებუ-
ლი, მაგრამ აურაცხელი რეკლამები უნებლიეთ იზიდავს
ჩემს გულისყურს. აგერ მოდიან ქუჩის ორივე მხრივ ჩუმაღ,
დინჯაღ და მწკრივად ცოცხალი არსებანი, ეტყობათ
კაცები არიან, მაგრამ ამ ყამად ქცეულან ავტომატად.
მათ მხრებზედ ამართულან ხეები, რაზედაც აუკრავთ
ყვითელი ქაღალდები რადაც წარწერით, სულ ზეით კი
გამოუსახაუთ შავი თვალ-ბრიალა კატა შარავანდელით.
ეს მოვლენა ახდენს არა ჩვეულებრივ შთაბეჭდილებას:
გეძვრის ცნობის მოყვარეობა, კითხულობ, თუ რას წარ-
მოადგენს იგი და გეხულობ, რომ რესპუბლიკის ქუჩა-
ზედ გაუხსნიათ... ჩექმების ახალი მაღაზია... აგერ მრ-
დიან წყნარად რამდენიმე მდიდრული ეტლი, რაშიაც
სხედან სულ მოსირმული ხალხი, უკრავენ ბუკს და გიწ-
ვევენ ელდორადოში. აგერ კიდევ მოჰყავთ გოგორაზე
შემდგარი ხის ვებერთელა ცხენი ათასფეროვან წარწე-
რებით და გეპატიჟება ცირკში. თითქმის ყველა დიდ
მაღაზიის და გრანდ-მეზონის წინ გიხვდებიან ნოქრები
და გაწვდიან სურათებიანს თუ უსურათო რეკლამებს.
მათში ერთი აქებს თავის საქონლის სიმშვენსიერეს და
ახალ მოდას, მეორე გამძლეობას, მესამე სიიაფეს და

სხვა-და-სხვა. გაიარ ცოტას და უეცრივ გაჩრდიან ხელში დიდს ფერად სურათებიან ფურცელს, რომლის მეორე გვერდი დაწერილია, საიდანაც გებულობ, რომ ვილაც რომანისტს დაუწერია „შესანიშნავი“ რომანი, დაწყებო ამ ფურცელშია, რომელიც ტყვილად ურიგდება ყველას, გაგრძელებას-კი წაიკითხავთ ამა და ამ ჟურნალშიო.

ქუჩაზედ ალაგ-ალაგ ბრწყინვენ რეკლამებით აქრელებული პაწია კიოხკები, რომელნიც საესეა გამოფენილ სურათ-უსურათო ჟურნალ-გაზეთებით, შიგ სხედან უმეტესად ქალები და ჰყიდიან მათ. გზა-კზა შეგხვდებათ რომელიმე „გამოჩენილი“ გამომგონე. თავის ყვირილით და ენამქვერობით იწვევს იგი გამვლელთ; ესენიც ხშირად ახვევიან რკალივით. ერთს უკავია ქალაღდის პეპელა, ძაფით და მანქანით აფრენს მას და თან ფიცულობს, რომ ერთად-ერთი გამომგონე ამ „საოცარ“ პეპელასი თითონ იგია, მხოლოდ იგივე ჰყიდის, გაუყიღია რამდენიმე ასი ათასი, ცოტა-და დარჩენია და თუ მალე არ იყიდით, იცოდეთ სხვაგან ვერ იშოვით. ზოგი იჯერებს მართლაც და ყიდულობს, მაგრამ გაივლი პაწია მანძილს და ხედავ მაღაზიის ვიტრანებში იმგვარსავე აურაცხელ პეპლებს ორ-სამჯელ უფრო იათად. მეორეს უწყვია პაწია ტიკინები, რომელთაც ხელში აქვს ჭიანური. პატრონი მომართავს თუ არა ერთს მათგანს და დასვამს მიწაზე, ის ტიკინა მაშინვე აუკადებს ჭიანურს. მესამეს მოუგროვებია დანტვრეული ჭიქათეფშები და რაღაც წამლებით აწებებს მათ, თან ემუდარება გამვლელთ, რომ ამ წამლით ყოველივე დანტვრეულ ჭურჭელს გაიმთელებთო, ორი სუს მეტეკი არ ღირსო.

შუა ქუჩაზე-კი გაცხარებული სირბილია ტრამე-
ბის, ვუატურების, ბისიკლეტების და ოტომობილების.
ხან-და-ხან მათ შორის გამოჩნდება ორ-ბორბალა ურ-
მები, რომლებშიაც შებმულან პირუტყვის ნაცვლად...
თვით ადამიანნი. აგერ. მიათრევს. ბარგით დატვირთულ
ამგვარ ურემს ერთი გამხდარი ქალი; იქ ამგვარ ეტლ-
ში შებმულან ორი საბრალო მოხუცი; აგერ კიდევ ერთ
ურემს მოაგორებენ ყმაწვილი კაცი და ძაღლი; იგი
ერთგულად ჰშველის პატრონს. შენ მხერ ამ ადამიანით
და ძაღლებით შებმულ საცოდავ ურმებს, მდიდრულ
ეტლების და ელექტრონის ტრამების გვერდით ისინი
გეჩვენებათ ანაქრონიზმად და ცივილიზაციის საშინელ
დაცინვად...

გავიარე როგორც იყო ეს რეკლამათა წრე და აურ-
ზაური, გაველ რესპუბლიკის პლასზე და აჰა, ლივლი-
ვებს საოცნებო ნათელში გაზ-ელექტროს მაღაზია თა-
ვის მანქანებით, რომელთაც ახვევია მარად აურაცხელი
ხალხი. მაგრამ ამ წუთას ჩემი ყურადღება მიიზიდა მის
გვერდით კუთხეში დიდმა წრემ, საიდანაც გაისმოდა
საკრავის ხმა და სიმღერა. მეც მივაშურე და აი რა
ვნახე: წრეს შიგნით დგას ღარიბად ჩაცმული მოხუცი
თავის ცოლ-შვილით. ქმარი უკრავს მანდოლინას შე-
ცივულ თითებით, ცოლი ამღერებს საცოდავის ხმით
რალაც სანტიმენტალურ ჰანგს, შვილები-კი დარბიან
მოგროვილ ხალხში და აწვდიან ორ სუთ სიმღერათა
პროგრამას, მაგრამ არავენ ჰკიდებს ხელს.

ვინ არიან ესენი? ესენი გახლავთ მთხოვრები. აქ
პირდაპირ მათხოვრობა დაშლილია, ამიტომ ისინი იძუ-
ლებული არიან მიმართონ სხვა საშუალებას. ხშირად
კი სწავლობენ სიმღერას, დადიან სახლებში და თა-

ვიანთ შესაბრალოს გალობით სძრავენ მაძღარ მოძმის კელენჯერ გრძნობებს და ჰპოულობენ თითო-ოროლა სუს. დიახ, ახლაც აქ გამოსულა სათხოვნელად ერთი ოჯახი, მაგრამ უნაყოფოდ. ბ-ნ ბურჟუას ოქროებით სავსე ქესა ასე ადვილად არ იხსნება საქველ-მოქმედოთ. თითონ იგი ხომ მაძღარი და ბედნიერია, სხვები თუნდ მეწყერსაც ჩაუტანია. ბურჟუას გაყინულ გულზედ არ მოქმედობს არც მოხუცის ქაღარა, არც საბრალო ქალის სიმშლის მწარე სიმღერა, არც უმანკო ბავშთა მუდარა და სიცივიტ კანკალი. ეს ქონად ქცეული არსება ზიზლით შეხედავდა ხოლმე ამ ღარიბ ქმნილებათ და უგრძნოდ ჩაუვლიდა გვერდით. მე შევცქეროდი ამ საბრალოთ და გულში ვწყევლიდი დღევანდელ სოციალურ წყობილებას, რომელიც ამდიდრებს უსინდისოდ ერთ მცირე ჯგუფს, აღარიბებს და უსპობს ლუკმა-პურს ურიცხვ მილიონ მშრომელს და პატოხსან ხალხს...

მაგრამ, ეს ვინაა, ნეტა?! წრეს მოუახლოვდა ყმაწვილი კაცი, გადაავლო თვალი, შევიდა შიგნით, გამოართვა მოხუცს მანდოლინა, დაუკრა მშვენივრად რამდენიმე საგრძნო ხმები და მასთან დამღერა საუცხოვოდ. ამ საოცნებო დაკვრა-სიმღერამ მოიზიდა აურაცხელი ხალხი. ყმაწვილი კაცი თავის არტისტიულ სიმღერით ატკობდა მათ სმენას. ხურვალე ტაში და ვაშა ისმობდა ჯოლდოთ. აჰა, შეწყვიტა სიმღერა, მოიხანდა ქუდი და ჩამოიარა. ახლა-კი მოიხვეს ჯიბეს ხელი. გაჭირვების მიმართ მდიდართა უგრძნო გული მოხიბლა ხელოვნებამ, ორ სუიანებს ხშირად დაერთო ვერცხლის ნახევარ და ერთ ფრანკიანები. ამ რიგად ყმაწვილმა მოკრიფა 28 ფრანკამდე, გადასცა მოხუცს, უთხრა სანუგეშო სიტყვა, გამოესალმა ყველას ღიმი-

ლით და გაჰქრა. მის კვალს გაჰყვა მხოლოდ აღზნებული ტაში, მთხოვართა უენო მადლობა და ფრანციელის აფექტაცია.

ამ მოვლენამ იქონია ჩემზე საოცარი გავლენა: დამიძებრა კაცთა ბოროტებაზე გამწყრალი გული მივხვდი, რომ ქვეყანა სულ არ დაღუპულა, დავრწმუნდი, რომ ყოფილან აქაც ჭეშმარიტი ადამიანნი. ამ რიგად დამშვიდებული გავშორდი წრეს.

გავიზინე კიდევ რამდენიმე ბრწყინვალე მალახია; თუმც აქა-იქიდან მაჩრიდენ რეკლამებს, მაგრამ მათთვის არ მიგდია ყური და უცებ გავჩნდი სალ-დე-პროგრეს წინ. საოცარი შენობაა! ვით სირინოზი ხიბლავს გამვლელ-გამომვლელს, რითაც მუდამ სავსეა იგი. მეც დავემორჩილე მის მიმზიდველ ძალას და გავჩნდი შიგ. რა არის, ნეტა, აქ ამისთანა? აქ მოთავსებულა გაზეთ „ლე პროგრეს“-ს (Le Progrès) რედაქცია. დაბლა დიდი დარბაზი შემკულია აურაცხელ სურათებით როგორც ყველა საყურადღებო ჟურნალ-გაზეთებიდან ეგრეთვე ცნობილ არტისტთა და მსახიობთა; აქვეა გამოკრული ყოველ ქვეყნიდან მოსული ცხელ-ცხელი დეპეშები; აქვეა რამდენიმე ავტომატი. საკმარისია რომელიმე მათგანში ჩააგდო ორი სუ (4 კაპ.), რომ დაიწყონ თავის თავად მოქმედება: ერთი უკრავს, მეორეში ცეკვავენ კეკლუცად დართული ჰაწია ბავშვები, მესამე გწონის და გეუბნება შენ სიმძიმეს, მეოთხე გაჩვენებს პანორამებს, მეხუთეში გალობს ბუღბუღი, მეექვსე და მეშვიდე გაწვდიან ტკბილეულს, სიგარებს და სხვა-და-სხვ. მაგ. სდგას აგერ ერთი ავტომატი, რომელსაც აზის უშველებელი კრუხი (ქათამი), თითქო კვერცხებს ჩეკსო; მიუახლოვდით ამ ყარამანიანის, თი-

ლისმას, იპყარით ხელთ მისნობის წკეპლა, ე. ი. ფუ-
ლი, მხოლოდ ორი სუ, ჩააგდეთ იგი ერთ პაწია ხვრელ-
ში და ოპ, სასწაული! შეინძრა უცებ ქათამი, შეიკაკა-
ნა, შეათართხალა ფრთები, დასდო და მოგართვათ შვე-
ნიერი კვერცხი, ისიც უბრალო-კი არა, ნამდვილი შა-
ქარლამა. ერთი სიტყვით აქ თითქო მართლდება ზღაპ-
რები და ხალხის ფანტაზია; მეტადრე-კი ეს გაგონებს
სულეიმანის ბაღში გარდაქეშანის მოგზაურობას. ყვე-
ლა ესენი ხიბლავს და ახალისებს ფრანციელის ამფეთ-
ქარე გულს.

რა და რა არაა კიდევ ამ საკვირველ დარბაზში!
აქ მოთავსებულან ფონოგრაფი, სინემატოგრაფი, რენტ-
გენის სხივები... საკმარისია მხოლოდ ორიდან ათამდე
სუ, რომ ისმინო და იხილო ყველა ეს საკვირველება-
ნი. ამას დაუმატეთ შვენიერი განათება, სითბო და ნუ
გაიკვირვებთ თუ მზატე, უსაქმური არსება ფრანციელი-
სა მიისწრაფის ამ დარბაზში. გადაცავლე თვალი სურა-
თებს, გადვიკითხე ახალი დებეშები და გაჟნდი ისევ
რესპუბლიკის ქუჩაზე. ვხედავ, რომ აურაცხელი ხალ-
ხი დაძრულა და მიისწრაფის ბელკურისაკენ. აჰა, ბელ-
კურიც, ეს დიდი ფოლორცი (მოედანი), რომელიც
ერთიანად გავსილა ადამიანთა ჯგროთი. ნეტა რას მი-
უზიდავს აქ ეს ხალხი ამ საღამოს, ამ ზამთრის სუსხ-
ში? მუსიკას? მაგრამ მუსიკა უკრავს ოთხ საათამდე.
ვოგს? მაგრამ ვოგი არაა ახლა, მაშ რასა? გაიხედეთ
დასავლეთით მდ. სონას გაღმა, რას ხედავთ? მთაზედ
ამართულა ორი მაღალი შენობა, რომელნიც ამაყად
დაჰყურებენ მთელს ლიონს. ერთი ეიფელის კოშკის
ასლია, მეორე-კი ფურვიერის დიდებული ტაძარი, რა-
ხედაც დახარჯულა რამდენიმე ათი მილიონი.

საოცნებოა ამ საღამოს ეს ფურვიერის ეკლესია. მღვდელთ გაუნათებიათ იგი ელექტრონით და ბენგალის ცეცხლით. ვით ირისენი, ვით ვალპურგის ლამის საოცნებო ნათელი ირევიან ერთმანეთში ათასი ფერები, ისვრიან ძლიერს შუქს და ხიბლავენ ადამიანს. მთის ფერდზე გაშენებული ბალი განათებულა ურიცხვ ფერადოვან ფონესებით და ნათლის ბილიკებით; იქვე სასაფლაოზედ ამართულან აურაცხელი ფერადოვანი და მოელვარე ჯვრები, თითქო ზეციდან მოუტანიათ ანგელოზთ და აღუმართავთ ცხონებულ კათოლიკეთა აკლდამებზე. იქ შორს დასავლეთით-კი ბრწყინავს სპეტაკად და კიაფობს თითქო ჰაერში დიდებული ჯვარი. ეს ოსტატური ფოკუსები სძრავენ ადვილად ფრანციელის და მეტადრე ქალთა ბურბუშალა ფანტაზია-აფექტაციებს და იწვევენ სარწმუნოებრივ ექსტაზს. ეს გახლავთ საეკლესიო დღესასწაული, ეს არის ენუიტთა მანქანება და სატანური შაბაში...

ფრანციელი არამც თუ წასულა წინ რევოლიუციის შემდეგ, არამედ თითქო უკან დახეულა და ჩაფლულა შოვინიზმის ჭაობში... მისი სული დაცემულა, დაღუნებია გონება, მოღუნებია ნება-ენერგია. სად არიან, ნეტა, წინანდელი მაღალი გრძნობანი, მისწრაფებანი და სანატრიონნი! სად არის წინანდელი გატაცება და ფილოსოფ-მეცნიერებისადმი ტრფილება! სად არის კვლავინდული სიფხიზლე, მტკიცე ხასიათი და გმირული სული! ის სული, რომელმაც ამართა ასი წლის წინად ძმობის, ერთობის, თავისუფლების და სიამართლე-ქეშმარიტების დიდებული დროშა!...

მე დამიარა ტანში ციკმა ერუანტელმა და გავ შორდი ბელკურს მწარე ფიქრებით გარემოცული.

III

მივალ ჩაფიქრებით. ათასი შავი აზრები ირევინ ჩემს გონებაში და მიწამლვენ არსებას. გავიარე უგნებლად გრძელი ვიწრო ქუჩა და თითქმის შევეჯახე ერთ ტაგურუსს,— ეს გახლავთ რესპუბლიკის დიდებული ძეგლი. მაღალ კონუსის ირგვლივ გამოუსახავთ აღრიანტები, ე. ი. ძმობის, ერთობის და თავისუფლების სიმბოლონი; სულ ზეით-კი ამართულა შკენიერი ქალი, ერთ ხელში აქვს დაფნის შტო, მეორე-კი უბჯენია ლომზედ და სიამით დასცქერის მიდამოს. ეს გახლავთ თვით რესპუბლიკის სიმბოლო...

ჩემ წინ გაშლილა ვრცელი ჰორიზონტი. აჰა, დიდებული რონა! იგი მოაბიჯებს მდორედ, მამაკურად და მის ანკარა ზვირთებში თინათინებს ურიცხვი სინალონი. მის ლამაზ ქვითკირის ნაპირებზე ორივე კედრით მოჩანს გრძელი ხეივანი, რომელიც ჩაფლოულა რაღაც იდუმლობაში, ჩასწერებია მდინარეს, თითქო სურს აღმოიკითხოს მის სიღრმეში საფრანგეთის ბედი და მომავალი. თვით რონა, ეს კისკისი მთიული, ეს აღბების ნებიერი ბავში, მოხტის, მოსრიალეებს ნარნარად და მოდუდუნებს საიდუმლო ჰანგებს. რას დუდუნებ ფე-მარდო მთიულო? ნეტა რას გვეტყვი შენს სატრფოზე, შენს საფრანგეთზე, რომელსაც ჩაკვრიხარ გულ-მკერდში, როგორც მიჯნური? ოჰ, ბევრს, ბევრს იტყვი, მაგრამ ვინაა გაიგოს შენი საიდუმლო ენა!...

მე გაველ ლიონის უუპირველეს ხიდზე (პონ-დე-მიდი), კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და რაღაც მანქანებით ჩემ თვალ-წინ გაქრენ ოთხ-კუთხა ქვებით მოფენილი

ფართო ქუჩები, გაქრენ ცემენტით მოგებული ტროტუარები, გაქრენ დიდებული მაღაზიები, და 6—7 სართულიანი სახლები, გაჰქრა ლაპლაპა სინათლე. მათ ნაცვლად აღმოცენდნენ ვიწრო ბნელ-ტალახიანი ქუჩები, ვიწრო შუკები და ბნელი სახლები. თან ალაგ-ალაგ მოჩანს ქარხნების მაღალი გარუჯული ბუხრები. თქვენ კვირობთ ამ საოცარ ცვლილებას. თქვენ გგონიათ თავი განათლებულ ევროპაში-კი არა არამედ საღაც შორს აზიის ან აფრიკის ბარბაროსთა შორის და კითხულობთ გაოცებით:— „ნუ თუ ესეც ლიონია! ის ბრწყინვალე, ის დიდებული ფერადოვანი ლიონი! დიახ, ლიონია ესეც; ეს გახლავთ მისი უუდიდესი ნაწილი და დასახლებულია იმ არსებანით, რომელთაც შექმნეს და ქმნიან ლიონის სიმდიდრეს, ლიონის ბედნიერებას. ეს გახლავთ მუშათა უბანი, გიოტიეთ წოდებული. აქ ცხოვრობენ ის ასი ათასი ადამიანი, რომელნიც ქალიანკაციანად შრომობენ დილიდამ საღამომდე ბურჟუას ქარხნებში, ფაბრიკებში და ქმნიან მილიონებს. აქ ყველაფერს გადაფარებია სიღარიბის ზეწარი; ამ უბედურ მხარეს დაპატრონებია გაჭივრების დემონი, აქ დაუჩნევია შიმშილს თავის მწარე ამბორი.

საშინელია ეს კონტრასტი! იქ სინათლე, სიმდიდრე და ბედნიერება, აქ სიბნელე, მუდმივი შრომა და გაჭივრება; იქ ლხინი, სიცილი და ნეტარება. აქ შიმშილი, კენესა-ცრემლები და მწუხარება... ორივე აღიავს კი დასახლებულან მოძმენი, მაგრამ მათ შორის არსებობს საშინელი ხრამი, რომელიც ამოუთხრია ანგართ-მოყვარეობის მანქანით კაპიტალიზმის მარჯვენას.

ცოტაოდენი გზა კიდევ და აქა, ჩემი მეგობრის

სახლი! მე კვლავ გადავავლე თვალი გაქვივრების სამეფოს, ამოვიოხრე მწარედ და დავრეკე ზარი.

— იქნებოდა თიღქმის შუალამე, რომ გათავდა ჩვენი კრება. მე, რამდენიმე მედიკი-სტუდენტი და ერთი ინჟინერი მოვდიოდით გაცხარებულის ბაასით წაკითხულ რეფერატის შესახებ, მაგრამ საშინელ სიცივის გამო იძულებული გავხდით გავშორებოდით მალე ერთმანერთს. ისინი წავიდნენ კურს გამბეტასკენ, მე-კი დავადექ ისევ წყლანდელ გზას. მოვალ მარტო. გადავხედე უკანასკნელად გიოტიეს, მაგრამ იგი კაიხანია ჩაფლულა ღრმა ძილში, ასვენებს დაქანცულ ნერვებს და კუთებს, რომ ხვალ კვალად შეუდგეს ერთს და იმავე განუწყვეტელ მძიმე შრომას. ირგვლივ ბნელა. რონას და სონას მოსდებიან საოცარი ნისლი, — რაშიაც ვახვეულა მთელი ლიონი. ბერავს და ყმუის ცივი ბორიო; ცას მოუბურავს ღრუბელთა შავი ნაბადი. წინწკლავს ოდნავ...

ხშირია და მოსაწყენი ზამთრობით ეს ლიონის ნისლი. ახლა კი მას ჰქონდა მძიმე დამფლობელი თვისება. ადამიანის არსება სწყუხს ამ ნისლში და გრძნობს გამოურკვეველ მწარე სევდას. მივალ გამალეებით; მსურს მალე დავალწიო თავი ამ შავს ბურანს. აი გავჩნდი ისევ ბელკურზე! მაგრამ გამქრალან ყველანი. მხოლოდ შუაში მაღალ კვარცხლ-ბეკზე მოჩანს შავად ვილაც მხედარი, — ესაა ლუი XIV ძეგლი. გავხედე ფურვიერს, მაგრამ, თითქო შთანთქა გველეშაპმაო, გამქრალან

ნისლში ეიფელის კოშკიც და ტაძარიც. კაი ხანია შე-
მწყდარა ეზუიტთა ოინბაზობა.

დავადექი რესპუბლიკის ქუას; აქაც შეუპყრია
ყოველივე მორფეის თილისმას. აღარ ანათებენ გაზ-
ელექტროს ჩაღები. მათ ნაცვლად საბრალოდ ბჟუტგენ
ფონესები; დაბნელებულან სასახლენი, დაბნელებულა
მდიდარი მალაზია—გრანდ-მეზონები, მათში აღარ ბრწყინ-
ნავს ათას-ფეროვანი საქონელი. ყოველივე ჩაფლულა
დუმილის მორყეში, მარად ფზიზელი პოლიციელნიც-
კი განშორებიან ამ ცივს, ნისლიან ღამეს და შემალუ-
ლან სადარაჯოებში. მაგრამ არა, აქ ქუჩაზე სრულია-
დაც არაა სიუმე და უმოძრაობა. მარად მხიარული კა-
ფე-რესტორანები ახლაც ლაპლაპებენ სანეტაროდ და
სავსე არიან ხალხით; ვის არ მოხიბლავს მათი მგზებ-
რე სასმელი და ღამაზი ქალი! მაგრამ, ნეტა ვინაა ეს,
რო მუშაობენ გაცხარებით ქუჩაზე, თხრიან ტროტუა-
რებზედ არხებს და ყრიან მიწას? ესენი გახლავან მუ-
შები. შრომობენ ამ შუალამის საშინელ სუსხში, გა-
ჰყავთ ელექტროს მიღები და ჩქარობენ გააკეთონ ისევ
გათენებამდე, რომ არ შეაწუხონ დღისით ბატონ ბურ-
ჟუას სეირნობა. ეს რა სინათლე მოჰანს შუა ქუჩაზე?
ვის აუხდია რკინის სახურავი და ვინ ჩამძვრალა შიგ,
თითქო ჯოჯოხეთში? ეს გახლავთ ისევ ის საბრალო
მუშა, გიოტიეს მცხოვრები, იგი წმენდს მიწაში ღრმად
გაყვანილ უწმინდურობის არხებს; იგი მუშაობს ამ სა-
შინელ ღამეს, რომ დღისით არ შეაჩეროს ბურჟუას
მდიდრული ეტლები.

კვლავ დაბნელდა უფრო და შეწყდა ხმაურობა,
მაგრამ, აჰა, ამ სქელ ნისლში გადენ შავი ნაკვთები;
რადაც საეკვო არსებანი. მოდიან ზოგი თითო, ზოგი

ორ-ორი... აჰა, გაისმა ფუჩუნნი, გაისმა საუბარი, გაის-
მა კოცნა და ხარხარი... აი გამიარა ერთმა და წამკრა
ხელი, თან გადიკისკისა მადიანად; მას მისცეს ბანი
სხვებმა. მეორე უფრო თამამი მოვიდა პირდაპირ, მღ-
მესალმა და გამიცინა. გავიარე ცოტა და აჰა, მომეარ-
და ვიღაც, წამავლო ხელი და დამიწყო ურცხვი საუ-
ბარი:

— „Monsieur, vous-voulez m'accompagner? je
n'habite pas si loin... tout près... Seulement pour
un moment“... *)

— Filez votre chemin! **) მივაძახე ცივად და გა-
ვშორდი არა მკითხვე მოარშოყეს.

გავიარე ცოტა და კიდევ იმგვარივე სცენა. ერ-
თის შაგიერ ახლა ორმა ჩამავლეს ხელი. ეს იყო ფო-
ნესთან ახლო; გაზის სინათლე აშუქებდა მათ შვენი-
ერს, მაგრამ ურცხვ სახეს. მათი შავი ელვარე თვალები,
ქორთა ტანადობა, კობტა სამოსელი და მოხდენი-
ლი გრაცია უნებლიედ ჩიბლავდენ ადამიანს. იგინი
მომესალმენ ალერსიანად, მიმიპატიყეს თავიანთ ოთახ-
ში და მეფიცებოდენ არ ვართ შორსო. იმათმა სიშვე-
ნიერემ და მუდარამ მომიღბეს გული. ვიგრძენ სიბრა-
ლული ამ ორ არსებათა მიმართ, რომელნიც გამოსუ-
ლან ღამე, ამ საშინელ სიცივეში, რომ იშოვონ უნა-
მუსო ვაჭრობით ორიოდ გროში. მსურდა ნივთიერად
მაინც მცნუგეშა ეს საბრალო არსებანი, მსურდა მიმე-

*) „ბატონო, გნებავთ გამომეყუთ? მე არ ვდგავარ
შორს... სულ ახლოსა ვარ... მხოლოდ ჰაწია ხანს დარჩებით
ჩემთან“...

**) „განავრძეთ თქვენი გზა!“

ცა რამ, გავიკარ ქართველურად ჯიბეს ხელი, სადაც მეგულეობდა უკანასკნელი ჩემი სიმდიდრე ხუთ-ფრანკიანა და ორი სუ, მაგრამ საუბედუროდ ისიც შინ დამრჩენოდა, რაღა უნდა მექნა? მოვიხადე ბოდიში, გამოვესალმე და წამოველ. ამ ორ დაცემულ ანგელოზთ ესიამოვნათ ჩემი თავაზიანობა, მიფეშკაშეს ჰაეროვანი ამბორი და გამშორდენ.

გავიარე კიდევ ცოტა და აჰა, შემხვდენ მთელი ჯგუფი; მოდიან თავიანთ ნანადირევით ხელგაყრილნი და მხიარულნი. ქუჩის მეორე მხრიდან-კი შეჰყურებენ ამათ ხარბის თვალით გულ-დამწვარი მათი ამხანაგნი, რომელთაც ბედმა არ არგუნა ამაღამ კარგი ნადირი და მათ ბადე-ანკესს ამ საღამოს არ მობშია არამც თუ ლოქო და წვერა, უბრალო ღორჯოც-კი. ამისთანა არსებანი ამ დროს არიან ფრიად გაცხარებული და სწყევლიან ბედის-წერას. გამწარება-შიმშილი მათ აძლევს საოცარ სითამამეს; ამ დროს ჩემი მტერიც-კი დაიფაროს ღმერთმა იმათ შეყრისაგან. მეც, რაც შემეძლო, შორს მეკავა მათგან თავი და მოვდიოდე საოცარის სისწრაფით.

ვგონებ არაა საჭირო ახსნა, უსათუოდ მიხვდით, თუ ვინ არიან ეს ღამურანი, ეს ამ დროის დიანანი. კაპიტალიზმმა სხვა მრავალთა შორის შექმნა ეს ტიპიც. უსაქმურობამ, შიმშილმა და გაჭირვებამ მოგლიჯეს აურაცხელი ყვავილნი უმანკოებისა, გადახადეს მრავალ შვენიერ ქალწულს სირცხვილ-ნამუსის ჩადრი და გამოათინეს შუალამისას ქუჩებზე საზიზღარ ვაქრობის ჩასადენად.

გამიტაცეს შავმა ფიქრებმა და ისევ გავიარე ბო-

ლომდე რესპუბლიკის ქუჩა, რომ არ გამიგია. აჰა, გრან-თეატრიც გაჩაღებულა ელექტრონით, — გავს ოპერაჲ. ისმის ტაში და ხმაურობა. იქ შევგროვილან ბედნიერნი, იქ სხედან თბილ ლოყებში მდიდრები თავიანთ ცოლ-შვილით, სტკებებიან მუსიკით, თან მიიღ-თმევენ ტკბილეულს და სასმელებს. გარედ-კი უთვალავი ეტლები უცდიან მათ გამობრძანებას. თეატრის პირდაპირ დაბნელებულა ჰანრი მეოთხის აშენებულად დიდებული სასახლე დღეს ოტელ-დე ვილად წოდებული და თითქო ჩაფლულა წარსულის სიზმრებში. მე შევუხარე გვერდი და მსურდა გავსულიყავ ტეროზე, რომ ამ დროს მომესმა ფრიალ ნაზი და საბრალო ხმა:

— Monsieur... *)

მე შევკრთი, მივიხედე უეცრივ და კრუარუსიდან მომდინარე შუკის თავში გავარჩიე სახლის კუთხეში მიმაღული არსება.

— Monsieur... გამიმეორა მან იმავ სინაზით და ხმის კანკალით.

— Que voulez-vous, Mignonne? **) დავეკითხე წყნარად და თანაგრძნობით.

იგი გასწორდა და წამოიწია ჩემკენ ნელა. უეცრივ გაზის სინათლემ გააშუქა მთელი მისი ნაკვთი და ჩემს თვალს წარმოუდგა საოცნებო შვენება. იქნებოდა 17 - 18 წლის. სადათ, მოხდენით ჩაცმული, რაშიაც ფრანციელი ქალი არტისტია, თავის საოცნებო ყუყუნა თვალებით, პაწია ლალის ტუჩით, ფერმკრთალი სახით, რაზედაც დაციალებდა უმანკოების ელფერი და

*) ბატონო...

**) რა კინდა, ღამაზო?

იღუმალი სევდა, იგი ხიბლავდა ადამიანს, ვით ციური არსება. მე ვიდექ და მღუმარედ შევეტრფოდი ამ ტურფა ქალწულს. ჩემმა საამო განცვიფრებამ გაათამამა ქალი; იგი მომიახლოვდა ნელად, დამაცქერდა დიდხანს და ჩუმად, ძლიერ ჩუმად შემეკითხა კანკალა ხმით:

— Monsieur... est-ce que vous habitez... loin?.. *)

მთელი სხეული უცახცახებდა მეტის მღელვარებით და შევნიერ სახეზედ გადაჰკროდა სირცხილის სიწითლე.

— Pas du tout, ma chérie! tout près d'ici; sur la Place Sathonay. **)

იყო ჩემი პასუხი.

აღმეძრა მეტად ცნობის-მოყვარეობა.

— Ce pourquoi donc, mignonne, vous demandez mon domicile? ***) ვკითხე და თანაც გავუღიმე მეგობრულად.

პასუხის ნაცვლად იგი მომიახლოვდა კიდევ უფრო, გამომიწოდა თავის გაცივებული პაწია ხელი და შამომხედა... ოჰ, ღმერთო! ვფიცავ მარად იქნება წაუშლელი ჩემს ხსოვნაში ის წამი, ეს შამომხედა! ნეტა რა არ იყო შივა! რა და რა ტანჯვა აქ სქვირდა იმ თვალეებში! მათში იბრაოდენ სირცხვილი და თავგანწირვა, უმანკოება და გაქივრება, ნამუსი და შიმშილი... თითქო სარკეში, თქვენ მზერდით იმ საოცნებო თვალეებში, თუ რა საშინელი ცეცხლი დუღდა ამ უმან-

*) ბატონო... თქვენ დგახართ... შორს?..

**) სრულებით არა, ჩემო სუღაიკო, სულ ახლოსა ვარ აქედან; სატონეს ფოლორცხედ.

***) ნეტა რად მკითხავ, ღამაზო, ჩემს ბინას?

კო არსების ქორთა სულში. ის ცდილობდა შემაგრებას, მაგრამ უნებლიედ წარმოდგენილთ და შტენიერ წამწამზე დაკიდებული ცრემლი აშკარავებდა მის ფარულ ტანჯვას. თვალთაგან ნასროლი მის სულიერ წამების ბნელი სხივები ელექტროს ნაკადივით მივლიდენ მთელ სხეულში და მაჟრჟოლებდენ საშინლად. მე ვიგრძენ ამ უმანკო ქალისადმი უსაზღვრო სიბრალოლი. დავიბენი ერთიანად, აღარ ვიცოდი ჯა მეთქვა, რითი მეკა ნუგეში, ან რით გამეჭრო მისი მღუმარე, მაგრამ საშინელი ტანჯვა. როგორც იყო მოვიკრიფე ძალ-ლონე, შევეკითხე წყნარად და თანაგრძნობით:

— Mais pour quoi donc vous souffrez si fort, Mademoiselle!.. Dites moi franchement tout ce que voulez-vous me dire! Je suis tout à votre disposition! *)

ამ სიტყვებმა და მეტადრე ჩემმა სიბრალოლის ხმამ უფრო გაათამამეს ქალი. მან მოიწმინდა ცრემლები, შამომხედა მეგობრულად და საოცარის სინაზით, რაშიაც ისახოდა უსაზღვრო ნდობა და მადლობა. პასუხის ნაცვლად მან მომხვია უეცრივ კისერზე ხელი, მიმიზიდა და მისი მთრთოლვარე ბაგენი შეეხენ ჩემს სახეს... ეს იყო ქალწულის წმინდა ამბორი, რამაც ჟრუჟა, ლით დამიარა მთელ სხეულში და აღძრა ათასი გრძნობანი. იგი მომესვენა გულზე და ამოუშვა მწარე ქვითინი.

*) ნეტა რად იტანჯებით ეგრე მწარედ, ქალწულო! მითხარით კუდახდით ეველაფერი რაც გსურდათ კეთქათ. მე სრულად თქვენს უფლებასში ვიმყოფები.

— Vous êtes mon ami... mon véritable ami... *)
ტიტინებდენ ნელიად მტირალი ხმით პაწაწა ბაგენი.

— Allons chez vous!.. Je vais vous raconter...
mon histoire... ma terrible histoire... **) მეუბნებოდა
ქვითინით საბრალო ქალი.

მე დამაბნია ერთიანად ამ მოვლენამ, სიტყვა გა-
მიშრა პირში, ვერ ვახერხებდი ვერავითარ ნუგეშს და
მხოლოდ ვწუხდი მდუმარედ.

ჩემდა საბედნიეროდ ქალმა მალე შეიმაგრა თავი,
მოიწმინდა ცრემლი, მომხვია ხელი და წამოვედით. მე
შემიპყრო ზედ-მეტმა ცნობისმოყვარეობამ. მწყუროდა
შემეტყო ამ ქალის ცხოვრება, ამ უმანკო არსების
ტანჯვის საშინელი საიდუმლო. ჩვენ გავიარეთ ტერო,
ორიოდ მოკლე ქუჩა და გავჩნდით პლას სატონეზე.
აჰა, ჩემი ბინაც! საბრალო ქალი სიცივით თუ მეტის
ადეღვებით ცახცახებდა, ვით წნორის ფურცელი.

IV

საათმა დაჰკრა პირველის ნახევარი. დაეკეტათ ეზოს
კარები და დაექროთ გაზი კიბეზედ. კარები გავალე კლი-
ტით, გავკარ ქიაფს, მოფუკიდე თაფლის სანთელს და
შევუდექით ბრთხილად მგზავრობას. დიახ, მგზავრობას,

*) თქვენ ხართ ჩემი მეგობარი... ჩემი ჭეშნარიტი მე-
გობარი...

**) წავიდეთ თქვენსას... იქ მოგიუბოძით... ჩემს ისტო-
რიას... ჩემს საშინელ ისტორიას...

რადგან მე გახლდით მეექვსე სართულზე და ამ სიმაღლეზე კიბით ასვლა ასე ადვილიც არაა. ბრთხილად-კი, რადგან მეშინოდა ანკონსიერუს (მეკარეს) არ დავენახე ქალიანად ან არ გამეღვიძა ჩემი დიასახლისი. მან იმ თავითვე დამითქვა პირობათ, რომ ქალი არ მომეყვანა, მეც აუთქვი და თუ იგი მნახავდა ჩემი ლამაზი სტუმრით ამ შუალამეს, ეჭვი არაა მაშინვე თავაზიანად მეტყოდა სხვა უკეთესი ბინა ეძიეთო. ჩემთვის-კი ამ ზამთარში „უკეთესი“ ბინის ძებნა საშინელება იყო, მეტადრე-კი როცა ჯიბაში თაგვები რახუნობდენ, ქირას-კი წინ-და-წინ ითხოვდენ.

მაგრამ შემეწია ალახი, გარემოებამ შემიწყო ხელი და გადავჩი ხიფათს. აჰა, ავედით მეექვსე სართულზე, გავაღე ჩუმაღ კარი, გავაბრთხილე ქალი და გავწიე წინ ფეხ-აკრფით. გადავჩიით! გავიარეთ ბეწვის ხიდი, ე. ი. გძელი ტალანი, რომლის კარს უკუნ ეძინა არგუსს, — იგულისხმეთ ჩემი დიასახლისი, შევალე ნელიად ჩემი იათახის კარი და შევედით. მალე მივაგენი და მოვუკიდე ლამპარს.

— რა გქვია, სულოკო? — დავეკითხე ქალს.

— ანჟელინა, ბატონო.

— ანჟელინა, მითხარ დავიკო, თამამად; გცივა განა და კიდევ გშია, ხომა?

— კი, ბატონო; მცივა საშინლად და თანაც მშია. საასნახევარია ვდგევარ ქუჩაში, სუსხმა ძლიერ შემაწუხა; მასთან დღეს არაფერი მიჭამია...

მითხრა ქალმა დარცხვენით.

დიასახლისი უკვე დაემზადა ჩემი ბუხარი და შეეყარა შიგ შემანახშირი, ასე რომ ერთი ნაპერწკალი ლა აკლდა; მეც გავკარ ქიაფს და გავაჩაღე შვენიერი ცეცხლი.

მალე შამოვდგი წყალის სადულარა ჩაის საკეთებლად. დავუდგი ერთად ერთი მოძველო სავარძელი და ჩაეაჯინე ქალი, მე კი მოვუჯექ სკამით. საბრალო გოგონა ხარბად მოეხვია ცეცხლს, შეუდგა გაციებული სხეულის გათბობას და სოველ ტანსაცმელის გაშრობას, თან მიცქერდა მორცხვი ღიმილით.

— ანჯელინა, ეგრე არ ვარგა, სულიკო, სოველ სამოსელს რო ტანზედ იშრობ, ძლიერ გაგნებს, ავად გახდები, გაიხადე და გაფინე; შენ-კა ჩემი ხალათა ჩაიცვი.

— ავდექ და მოუტანე საქართველოდან წადებული აბრეშუმის ხალათი და ჩუსტები.

ქალმა სიამოვნებით დამიჯერა, წამოხტა საოცარი გრაციით, მოიხადა შაპო, გაიხადა კურტკა, გაიხადა ფეხზე და შეუდგა კაბის და კორსეტის ხდას.

— „არა შამომხედო, იცოდე!“ დამაძახა მორცხვად და გამიღიმა სანეტაროთ.

— არა, ლამაზო.

მე მივიფარე თვალებზე ხელი, მაგრამ, უნდა გამოგიტყდეთ, სული მიმდიოდა, რომ ერთი მაინც დამენახა მისი ქორთა სხეული. დავქლიე თავს და არ გავიხედე.

ანჯელინამ გაიძრო უცებ ყველაფერი პერანგის გარდა. მე-კი ამ დროს ვიყავ თვალ-დახუჭული და ვუთბობდი ხალათს.

— მზათ ვარ; მომე ხალათი!..

გაიწკრიალა ანგელოზის ხმამ.

მე მივაწოდე იგი.

— აა... იყურები!..

— არა, ღმერთმანი!

მან ჩაიცვა უცებ ხალათი და მობრუნდა ჩემკენ. ღიღები არ ჰქონდა შეკრული. მე ველარ მოვითმინე და

შევხედე... ოჰ, ღმერთო! რა საოცნებო სურათი იდგა ჩემ წინ! მოღიავებულ თეარ პერანგს ვერ დაეფარა ქალწულის კოკბები და, ვით ვარდის სურნელოვანი კუკუტონი, ვით ნექტარით სავსე შეენიერი ამფორა, მოჩანდნ ისინი მორცხვად. თეთრი ფუნთუშა მკერდი, ჯეირნის კისერი, პაწია ბაგენი და თვალები, ოჰ, იისფერი ყუყუნა თვალები, რაშიაც კრთოდენ ნორჩი სიცოცხლე და სიტკბოება, ამთავრებდენ მათ სანეტარო მომხიბლაობას. თვით პერანგიდან თითქო მოჩანდა, თითქო მომკვირდა ქორთა სხეული, თითქო მესმოდა მისი გულის ქალწულოვანი ფანქალი.

ქალმა შეჰკივლა, გაწითლდა სირცხვილით, მიითარა უცებ ხალარის კალთები და ჩაიმაღლა სავარძელში.

მე დამაყრიალა საშინლად და დამიბნელდა თვალს. იფეთქა გულმა, ვნებამ გაგლიჯა თავის საბყრობილე და როგორც ელექტროს ნაკადი, როგორც გრიგალი დამიარა სხეულში და ააზვირთა სისხლი... ეს მოხდა უცრვივ. სახეზედ აშვარდა აღმური... მოვშორდი შეენიერ თილისმას, მივეყრდე გამწარებით კედელს და მივიფარე თვალებზე ხელი. მსურდა დამევიწყა იგი. მაგრამ ახლა თვით სულში ჩამსახოდა ეს ციური ჩვენება და მიკიდებდა ცეცხლს...

— არა გრცხვენიათ! აკი არ შევხედამო!

ჩამესმა ყურში სირენას ხმები.

— რა ჩემი... ბრაღია!..

ძლივს წავიფუჩუნე საბრალოდ.

— ხა, ხა, ხა... თითონ იყურებოდან და რა ჩემი ბრაღიაო! აი თავის გამართლება! ვადიხარხარა გოგონამ.

მე დამსერა ტანში; მისი ყოველი ხმა ეკალივით მესობოდა და მჩხვლეტდა გულს.

— გამოტყდით, რომ მტყვენანი ხართ!

მაცოდვებოდა ქალი თავის მინაზული ხმით.

— მაგრამ ეს სადა ხართ თქვენა! რად მიწოლიხართ მაგ კედელს?! ხედავ, თვალეზზეც ხელი მიუფარებია! ხა, ხა, ხა... ახლა ვიღას ერიდებით?

და ვაისმა კიდევ უღარდელი ბავშური კისკისი, რამაც დაშნებივით დამიარა მთელ სხეულში.

— წყნარა, თუ ღმერთი გწამს! ნუ იცინი ეგრე, თვარა თუ ღიასახლისმა გაგვიგო ორივეს გაგვეყრის.

— ოჰ, მართლა! სულ დამაფიწყდა! უკაცრავად, ბატონო! მაგრამ მანდ რაღას აკეთებთ, ან რად იცივებთ თავს! ხედავთ რა შვენვირად ღულუნებენ ნაკვერჩხლები! რად არ დაჯდებით ცეცხლთან?!

კიდევ მომაწვდინა ქალმა ტკბილი ხმები,

— ამ წუთას, ჩემო კარგო.

ვუთხარ წყნარა, დავძლიე თავს და მივახლოვდი.

ახლა აღარ იყო ისე საშიში. ხალათის ღილებს ჩემდასაბედნიეროდ უკვე დაეთარათ ის ჩემი ულმო ჯალათნი და თვით ქალის სახეს დაჩნეოდა სერიოზული ბეჭედი. იგი ინსტიტუტურად გრძნობდა თავის დანაშაულს, გრძნობდა თუ რა საშინელი ტანჯვა და ცეცხლი გაიარა ჩემმა გულმა და მიცქერდა ალერსიანის თანაგრძნობით.

მე მოვიკრიბე ნების და ხასიათის ყოველი ძალღონე და გავიმაგრე თავი. წარმოვთქვი იღუპალი ფიცი არ შეეხებოდი ამ უმანკო არსებას, რომელიც მომენდო ასე ტრედივით... ამ რიგად გავფანტე ქვენა ფიქრები და გავერთე მაღალ გრძნობებს. დამიცხრა ნელ-ნელა მზვირთ-

არე სისხლი, — ეს ცოდვათა სითხე; დაცხრა აღზნებული გული; სულზედ მომეტრქვა რაღაც სიტკბოება და ზენარი ამული. ავმალღდი ჩემ დვალში, მიხაროდ: უსაზღვროდ.

ახლა აღარ ვერიდებოდი ამ თითქო სატანას. მოვლენილ შვენებას და გავაბი საუბარი, თუმცა-კი ვეკრძალოდი სახეზე შეხედვას და ვებაასოდი უფრო დობით, რათა მით უფრო გამომეწვია და-ძმური გრძობა. ერთი სიტყვით ვხმარობდი ყოველივე საშვალებას, რომ გადამერჩინა ჩემი თავი ზნეობრივ ტანჯვას, ეს უმანკო ქმნილება-კი საშინელ ხიფათს.

ქალი ატყობდა ყველაფერს, მხერდა ჩემს მოქმედებას, უკვირდა ნამეტნავად და თან მეპყრობოდა საოცარი პატივისცემით.

ამასობაში აღუღდა წყალიც. მე აღარ მახსოვდა იგი. უცებ ჩავყარე ჩაი და გავაკეთე. ანუელინას დავუდგი რგვალი მაგიდა, დავუსხი ჩაი, განჯინადან გამოვიღე ყველი და პური და მივართვი ჩემ ლამაზ სტუმარს. ერთი დღის მშვიერმა საბრალო ქალმა ხარბად დაუწყო ჭამა. ჩაიზედ კი სულ ლალა და ტიან-ტიან იძახა *).

საფრანგეთში იშვიათად აკეთებენ ჩაის, ნაცვლად ხმარობენ ყავას. ამ ქალმაც ჩაი პირველად ნახა ჩემთან, ამიტომ კვირობდა. მეც ავუხსენი, რომ ჩვენში, ე. ი. საქართველოში ხშირად სვამენ ჩაის და კიდევ მოყავთ-თქო. ეგრეთვე ავუწერე კავკასიის და რუსეთის ვითარება...

პაწია ბაგენი მოძრაობდენ სწრაფად. თეთრი კბილე-

*) ლალა, ტიან-ტიან=lala, tiens-tiens, ფრანგულად გაკვირვების ნიშნუბია.

ბი მოქმედებდნენ საოცრად და ქფავდნენ პურსა და ყველს. ჩაი მეტად ეგემა ჩემს გოგონას და დაუწყო ქება; მებატირებოდა თანაც, რომ მეც მესვა და მეჭამა. თუმცა წინ მედგა სავესე ჭიქა, მაგრამ ამ ჟამად ვის ჰქონდა მადა! მე მზერად ვიყავ ქცეული ვძლებოდი სულიერად, ვნეტარებდი ამ სურათით თუ როგორ იკლავდა შიმშილს ჩემ წინ ნორჩი არსება. ვგრძნობდი, რომ თვით უცხოეთში, თვით ამ საშინელ გაჭივრებაში ჩავარდნილს, მეგობართაგან მოტყუებულს და დავიწყებულს შემძლებია კეთილი საქმე, შემძლებია მოვუტანო სარგელობა და დროებით მაინც ვიხსნა დალუპისაგან ადამიანი. წარმოუთქმელ სიტკბოებას მფენდა სულში ეს მცნება, ეს გრძნობა. მე ვიყავ ამ დროს უსაზღვრო ბედნიერი.

V

ქალმა გაათავა ჭამა და მითხრა მადლობა. გადავდგი მაგიდა. ჩვენ წინ ბუხარში ღუღუნებდა რგვალი კოკსი და გაგონებდა ადღგომის წითელ კვერცხებს, საამური სითბო სუფევდა ოთახში. ქალწული შეტრფოდა ამ მოღუღუნე ნაკვერჩხალთ და ფრინავდა რაღაც ფიქრებში. ქორფა სახეზე ციალებდა ბავშური უდარდებლობა. მეც წამიღეს ფიქრებმა. ყურში ჩამწიოდა მარად ორი ხმა: სატანის და ანგელოზის, ე. ე. ვნებებს და მალალ ემოციის. ვიყავით რამდენიმე წუთს ასე უძრავად.

უეცრივ ჩემს ხელს შეეხენ ნელიად ლბილი ფუნთუშა თითები... მე შევკრთი და მივიხედე. ეს იყო ან-

ქელინა. მან გამიღიმა მომხიბლავად და მომიჭირა ხელი მადლობის ნიშნად. ჩემი თვალები კვლავ შეეტკბენ მის ციმციმა სახეს. აბრეშუმის ქრელ ხალათში თავის ედემურ სიშვენიერით იგი გაგონებდათ თვით ჰაეროვან ოდალისკას. მოფუშვია შავი ღურღნა თმები და აჩრდილებენ მოხდენით შუბლსა და წამწამებს, რომელთა შიგნით კამკამებს ორი უკვდავების წყარო; ორი ზენაარი ოცნება... ყმაწვილებო, მინახავს ბევრი თვალები, ბევრს შვენიერ თვალებს მოუხიბლავს ჩემი გული, მაგრამ ამ ქალის თვალები იყო სულ სხვა. ეს არ გავდა იმ შავ-მელანა თვალებს, რაშიაც იხატება მხოლოდ ურცხვი ვნება. ეს არ იყო არც ის ცისფერი თვალები, რაშიაც კრთიან ციური ოცნება და ეთეროვანი ჟმანკოება; არ იყო არც ის ციატი თვალები; საიდანაც მოჩქევს მხოლოდ ყინვა-სიცივე; არ იყო არც ის ცქრიალა თაფლის ფერი თვალები რომელნიც დაარსებულან მხოლოდ საარშიყოთ და საკოპწიოდ; არ იყო არც ის „შავი თვალები, ეშხით აღსავსე, მიბნედილები“, რომელნიც გიღვიძებენ ვნებას, გიღელვებენ სისხლს და გპირდებიან ამ ქვეყნიურ ნეტარებას. არა, მკითხველო, ანქელინას საოცნებო თვალები გამხელდენ სულ სხვა რამეს, მისი იის ფეროვნება აფრქვევდა მაისის სურნელოვან ბალახინს, მისი ნახი, მოჟუჟუნარე სხივები აკავშირებდენ თვით ცასა და დედამიწას და გხვევდენ საიდუმლო ამულის და ნეტარების ვარდისფერ ბურუსში... ოჰ, ის საოცნებო თვალები ჟღერდენ თითქო ზენარ ლირიზმს, ზენარ პოეზიას; იმ თვალებიდან ისმოდა თითქო ციური სიმფონია!..

შვენიერი ანქელინა არ მაშორებდა თავის ფუნთუშა ხელს, რომელიც ჩამალულა ჩემს თითებში, ვით

ლობილი ბამბა. ჩემდა უნებლიედ ვალოლაებ სინაზიოდ მის თითებს და შიშველა მაჯას, საიდანაც მოჩქეტეს ქორთა სიცოცხლე და ესხმის ჩემს გულში რაღაც გამოურკვეველ სიტკბოებათ... შეწითლებია ატლასოვანი ლოყები, რაზეაც თამაშობს ქალწულის სისხლი და იშლება ვარდებათ.

მე გამიტაცა საოცარი ძალით ქალის სიშვენიერემ და წამილო სიზმარეთის სფერაში; წამილო საღაც შორს, შორს ტურფა წალკოტში, სადაც სუფევს საამური მაისი, სადაც შრიალებენ ნაზ-ფოთლებით შემკული ხენი, სადაც ბიბინებს წვანე მოლნარი, სადაც ყვავიან ქორფა მდებლობს სურნელოვანი ია, ნარგიზი, შროშანა და სუმბული... მე ვწევარ ჩრდილში ერთ კორდზე; ცელქი ზეფირი მიტიტინებს იღუმალ ხმებს და მფენს სიგრილე -სურნელებას. წინ გაშლილა შვენიერი ველმინდორი, რაზეაც მოცეკვავენ ბავშურ უმანკოებით ანკარა მდინარენი. იქ შორს ჰორიზონტის ლაყვარდ სფერაში აწვდილან ზეცამდე თოვლიანი მთები და მაგონებენ ჩემს საყვარელ კავკასიონს. წინ-კი მოჰქუხს პაწია ჩანჩქერი, რომლის გიჟმაჟ ჰანგებს ბანს აძლევენ საამურად კისკასი ფრინველნი; ესაა ბუნების დიდებულნი ჰიმნი, ბუნების განცხრომა, ბუნების ჰარმონია...

ამ დროს გაჩნდა თეთრი ფუნთუშა ღრუბელი, იგი მოცურავს სივრცეში, ვით ჰაეროვანი ნავი, რასაც ღებავს ათას ფერადებათ ჩამავალი მზის სხივები. შიგზის შვენიერი ღვთაება შემკული ვარდების გვირგვინი

ნით. ირგვლივ ახვევიან ნიმფები, ამურები და უგალო-
ბენ მინაზულ ჰანგებით ციურ ძილისპირს. ეს ღრუბე-
ლი ეშვება პირდაპირ ჩემ წინ და ოჰ, საოცრება! ის
ღვთაება ყოფილა... ახუკდინა...

ნუ თუ ეს იყო სინამარი?! ქალი მიცქერდა გაო-
ცებით, უსაზღვრო სინაზით და სიბრალოულით. ის ხე-
დავდა, ის გრძობდა ჩემს წარმოუთქმელ ტანჯვებს.
მე ველარ გავუძელ და უნებლიეთ დავეცი მუხლებზე
ქალწულის წინ, ჩავმალე თავი მის კალთაში და თვალ-
თაგან გადმომსკდა ცრემლები... მე ვტიროდი ამ შვე-
ნიერ მსხვერპლს, ამ ახლად შლილ ვარდს, ვტიროდი
მის დაცემას, მის სულიერ სიკვდილს...

ქალი ოცდებოდა მეტად და მეტად; წუხდა საშინ-
ლად და არ იცოდა რა ეთქვა, რით ვენუგეშე. იგი
მხერდა ჩემს უსაზღვრო ტანჯვებს, მაგრამ ვერ გაეგო
მისი მიზეზი. იგი მიცქერდა გულწარმტაც სინაზით და
აფრქვევდა მღუმარეთ ცრემლებს.

ძლივს ბოლოს შევხედე თვალებში. მაგრამ, ეს რა
ვიხილე. ძალნო ციურნო! ის ზენაარი თვალები იცქი-
როდენ იმგვაროვე უმანკოებით, როგორც წინად. მე
გავოცდი, მე გავშტერდი... ნუ თუ ყველაფერი ოც-
ნება იყო! ნუ თუ იგი უბიწოა და წმინდა! მაშ ყვე-
ლაფერი ტყვილია!... უსაზღვრო სიხარულმა შეიპყრო
ჩემი არსება, მე წამოვხტი აღტაცებით, მოვკიდე ხელი
ანჟელინას და დავუწყე მუდარა...

აღარ ვიცოდი რა მექნა სიხარულით... მძიმე ლო-
დი ამეცალა გულიდან. რაღაც ძალამ გაანთავისუფლა
თითქო ჩემი სული წამების დილეგიდან და მოაფრქვია

უზენაესი ნეტარება. მივარდი და დავუწყე ხელზე კოც-
ნა... ჩემს არსებას მოედო ზნეობრივი ტრფიალება. ამ
წუთას ეს შვენიერი ქალწული იყო ჩემი ნამდვილი და
ჩემ მიერ ხსნილი დალუპისაგან. ავმალღდი ისევ ჩემ
თვალში, ვთვლიდი თავს უუბედნიერეს კაცად.

აქამდე ანჟელინა მიცქერდა სხვარიგად, ვეგონე
მეც ის გარყვნილი და ვნება მორეული კაცთაგანი,
რითაც საუსეა მეტადრე საფრანგეთი... ძლიერ აკვირ-
ვებდა ქალს ჩემი საქციელი და თავის მინდობით ისე,
როგორც ზვარაკი, როგორც სატარიგო ბატკანი დებს
საკლავად თავს... ქალურ ინსტიქტით და უბიწო არ-
სებით მან იგრძნო თუ რა საშინელ ხიფათს გადარჩა
ისა, მიხვდა თუ რა უძირო ხრამის პირას დგომილა
იგი და აპირებდა გადაჩეხას. ქალმა ერთ წამში წარმო-
იღვინა ყველაფერი, მასში გაიღვიძენ დროით დამარც-
ხებული და გაქივრების ხაშიშით გარინდული გრძნო-
ბანი: სირცხვილი, ნამუსი და უმანკობა. მან იგრძნო
მწვავედ თუ როგორ ილუბავდა თავს. იგი აღელდა სა-
შინლად; შვენიერ თვალთაგან გადმოსჩქებდა ხურვალე-
ცრემლი. საბრალო გოგონამ ჩამალა თავი სავარძელ-
ში და მორთო მწარე ქვითინი...

აქამდე მე ვიყავ შესაბრალის ყოფაში; ახლა კი
იგი ჩავარდა უარესში. აღარ ვიცოდი რა მეთქვა, ვა-
ცადე ტირილი. ვიცოდი, რომ ცრემლები მოუღობდ-
ნენ გულს და დაუცხრობდენ სულიერ ტანჯვებს; ვი-
ცოდი, რომ ამ დროს ცრემლი სამკურნალო მალა-
მოა.

ანჟელინა იყო ამრიგად დაჩოქილი სავარძელთან,
ჩაერგო შიგ თავი და ტიროდა მწარეთ. მე ვადექი თავ-
ზე, ვწუხდი და თანაც შევტრფოდი სინდისის გაღვიძე-

ბას, ადამიანურ გრძნობათა გამარჯვებას. ვგრძნობდი, რომ ამ ტირილით იგი წვავდა, ხრაკავდა თავის სისუსეტეს, თავის უგუნურებას და მდაბალ გრძნობებს; ნაცვლად-კი აღვიძებდა და ფურჩქნიდა მაღალ ზნეობას და სულის ენერგიას.

მორჩა, როგორც იყო, ტირილს; აიღო თავი, წამოდგა და მოიწმინდა ცრემლები. ტურფა სახიერებამ დაკარგა ნელ-ნელ მწუხარების ნისლი და გამოიღარა. ქალმა შამომხედა თავისებურ მომხიბლაობით, რაშიაც მომქვირდა გამარჯვებული სულის უზომო სიხარული და მასთან ჩემდამი უსაზღვრო მადლობა, და-ძმური გრძნობა და მეგობრობა: მათ შორის-კი გაელვა რალაც დიდებულ ემოციის სხივმა, მაგრამ, თითქო შერცხვაო, მიიმალა უეცრივ უმანკო სულის სიღრმეში. ქალმა მომანათა კიდევ თავის სხივფინარე თვალები და პაწია ტუჩებს დაეკიდა ციური ღიმილი. მან მომხვია უეცრივ ხელი, ჩამიკრა გულში და გატაცებით დამიწყო კოცნა... მკოცნიდა მგზებარე გატაცებით, მკოცნიდა და-ძმური გრძნობით და თან მესმოდა მისი მოტიტინე ხმები:

— შენ ხარ ჩემი ნამდვილი ძმა, ჩემი ქეშმარიტი მეგობარი... შენ ამაყდინე საშინელი განსაცდელი, მიხსენ დალუპისაგან... არ ვიცი-კი რით გაღვიხადო ეს უსაზღვრო მადლობა...

— შენის უბიწო ცხოვრებით, გაქივრებასთან მხნეთ ბრძოლით და პატიოსან გზაზე სიარულით, ჩემო ძვირფასო დაიკო.

იყო ჩემი პასუხი.

— გიფიცავ შენ, საყვარელო ძმაო, რომ ავასრულებ ამ თხოვნას!

გრძნობით და მხნელ მომადხა ქალმა, გადამეხვია ერთი კიდევ, მაკოცა მწვავედ და გამშორდა. მის ცრემლმორეულ თვალებში კიდევ გამოკრთა ის საოცარი სხივი და მიიძალა ისევ...

VI

ანეელინა იჯდა სავარძელში ვით შვენების ღმერთი. სახეზე დაციხლებდა, სიამის ნათელი, თვალები აფრქვევდნენ იღუმალ ნეტარებას. ბუხარი ღულუნებდა ნელიად. ქალმა გამიშვირა ხელი და მასთან შევიწინე, რომ სახეზე გადეთარა უცნაურ სვედის ღრუბელი.

— ნება მომეცი, ძვირფასო ძმაო, მოგიყვე ჩემი საშინელი მოთხრობა... მხოლოდ შენ უნდა გითხრა ყველაფერი.

დაიწყო მან ჩაბუქრებით.

— მართლა, სულ დამაწყდა შეკითხვა.

— სთქვი, ჩემო დაიკო, ნურას დამალავ, მითხარ ყველაფერი დაწვრილებით, როგორც შენს მოძღვარს, როგორც ძმასა და მეგობარს.

თანაც გავათამამე დობილი ღიმილით.

ქალმა ამოიხვნეშა მწარედ. ალბად წარმოიდგინა თავის საშინელი წარსული და აწმყო.. თვალებზე მოადგენ ცრემლები, მაგრამ გაქრენ მალე, მან დაიწყო წყნარად:

— ჩვენ ვართ სამხრეთიდან. ლიონის განთქმულმა აბრეშუმმა და კარგმა სამუშაო ფასებმა ჩამოხიდა სოფლებიდან მრავალი ხალხი. სხვებს ჩამოუყოლია ჩემი ბა-

ბუაც და დასახლებულა კრუარუსზედ, სადაც ახლა ყვე-
ლაზე მეტი აბრეშუმის ქარხნებია. თავის ცოტაოდენ
ფულით და მაცადინობით მას შეუძენია მეტიე (საფეიქ-
რო) და დაუწყია ფარჩეულის ქსოვა, რადგან ქსოვა
წინათაც ცოდნია კარგად. მისი საქმეები შეგნივრად
მიდიოდენ. ამასობაში თავის ორი ვაჟიც წამოზნდია,
ამოდგომიან გვერდით შამას და დაუწყიათ მისი ხელო-
ბა. იმ დროს თურმე კერძო პაწია საფეიქრონი ბევრი
ყოფილა ლიონში. ბაბუას საფეიქრო ვერთი უკეთეს-
თაგანი ყოფილა. ასე მიდიოდა კაი ხანს მისი საქმე და
ლოცავდა ბედს. მაგრამ ამ დროს ჩვენდა საუბედურ-
ოდ მოუგონრათ და შამრულიათ ხმარებაში მექანიკუ-
რი საფეიქრონი ორთქლით და გაზით. ამა ბაბუა-ჩემს
სად ექნებოდა იმდენი ფული, რომ შეეძინა ისინის
სხვები ასჯერ უფრო მდიდრები იყვენ და ამ დიდ
ფულიანებმა ააშენეს ქარხანა-ფაბრიკები, შეიძინეს ორთქ-
ლის და გაზის მანქანები, გამართეს მექანიკური სა-
ფეიქრონი და მოუყარეს თავი აურაცხელ მუშებს, ქალ-
სა და კაცს. ამ რიგად ფარჩეულის ქსოვა ამ მდიდარ
ბურჟუებს უჯდებოდათ ორ-სამჯერ უფრო ეფად, ამი-
ტომ იათათაც შეეძლოთ გაყიდვა. ამ შავ დღიდან ყვე-
ლა წვრილ ფეიქრების და კერძოთ ბაბუ-ჩემის საქმე წა-
სულა უკულმა. ამათ გაუწიეს მეტოქობა იმ დიდმა მე-
ქარხნებმა, დასცეს ფარჩეულის ფასი, გააკოტრეს და
გაადარიბეს აურაცხელი ხალხი. წვრილი მოხელენი იძუ-
ლებული შექნილან გაეყიდათ ოხრის ფასად თავის სა-
ფეიქრონი, ან მიეყარათ კუთხეში და გაქცეულიყვენ
ბურჟუას ქარხნებში, სადაც მათ აძლევდენ მეტ ქირას.
ვინემ შოვილობდენ ახლა ისინი შინა მუშაობით.

— ბაბუა-ჩემი თურმე ჯინიანი კაცი იყო. იგი

არას გზით არ ნებდებოდა; არ ყიდდა, არ შორდებოდა თავის საფეიქროს. მაგრამ ბოლოს მაინც იძულებული გახდა გაეგზავნა შვილები ქარხანაში სამუშაოდ. სოფლის ხალხი-კი თანდათან მოდიოდა ლიონში და ქალიძან-კაციანად აწყდებოდნენ ქარხანა-ფაბრიკებს. შიმშილი აიძულებდათ მათ ეთხოვათ სამუშაო დაკლებულ ფასად. ამით, ექვი არაა, სარგებლობდნენ ბურჟუები და უკლებდნენ ფას მუშებს. მუშა ხალხი თანდათან ჩავარდა დიდ გაჭივრებაში. თუმც დაიარსეს დამხმარე კასები, ასოციაციები და სხ., მაგრამ ბევრს ვერას გახდნენ. ისინი დილიდან საღამომდე წყდებოდნენ წელში, მუშაობდნენ თავ-აუღებლივ 12 და 14 საათს დღეში, მთელი მათი ნაშრომი-კი ცვიოდა ბურჟუას გაუმაძლარ ჯიბაში; ისინი-კი თითქმის შიმშილით კვდებოდნენ... ვინ იყო მათი დამხმარე? არავენ. ამ გაჭივრებამ გამოიწვია მუშათა გრევი (აჯანყება) მრავალ ქარხანა-ფაბრიკებში... დაჭრილა და მომკვდარა, სხვათა შორის ბიძა-ჩემიც; სამუშაო დრო-კი შეუმცივრებიათ რამდენობით. ბაბუა-ჩემი თანდათან ლარიბდებოდა; იგი დაჯავრიანდა, დასნეულდა თურმე და მალე გარდაიცვალა. მევალეებს გაუყიდიათ და წაუერთმევიათ ყველაფერი...

ქალმა ამოიხვნეშა მწარედ და ჩაფიქრდა. მე სმენად ვიყავ ქცეული. ამ მოთხრობაში ვმზერდი თუ როგორ ჩაუნთქია და რა რიგ ნთქავენ დიდი კაპიტალისტები წვრილ მესაკუთრეთ და როგორ წოვენ მუშა ხალხს. შიგ ვმზერდი კაპიტალიზმის ისტორიას, ვმზერდი ბურჟუას ბედნიერებას, შიგ მესმოდა პროლეტარის მწარე კვნესა.

— რას ჩაფიქრდი, დაიკო! განაგრძე, ჩემო სულიკო!

— ამ წუთას...

მიზასუხა ქალმა მიქანცული ხმით.

— სად გაჩერდი? ჰო, მამა ისევ იმ ქარხანაში მუშაობდა. დედა-°ემიც იქ გაუცნია მუშა ქალთა შორის, მოსწონებიათ ერთმანეთი და შეურთამთ. მოყვარული ცოლ-ქმარი მუშაობდნენ მუდამ იმ საზიზღარ ქარხანაში, ირ°ენდენ თავს და გვასაზრდოვებდნენ შვილებს. გადიოდა წლები, ბავშვები მოვიზარდენით. ჩემი უფროსი და-ძმა დადიოდნენ სკოლაში. 2—3 წლის შემდეგ მეც დავიწყე სკოლაში სიარული. ბავშვებმა რა ვიცოდით ცხოვრების საშინელება და სიამით ვატარებდით დღეს... ამასობაში ჩვენ კიდევ მოგვემატენ ორი პაწია და-ძმა. ეს დიდი ოჯახი მძიმე ტვირთად დააწვა ჩვენ მშობელთ. მამა შრომობდა თავ-განწირვით დღე და ღამ და გვარჩენდა შვილებს. დედაც შეელოდა მას. მაგრამ ზედ მეტმა მუშაობამ დაქანცა საბრალო მამა, მეტადრე ბნელმა, ნესტიანმა ქარხანამ დაასნეულა იგი და წაუხდინა თვალები. აუტყდნენ სუყველანი ქარხანაში. ზედამხედველი მარად უწყრებოდა კარგად ვერ ქსოვო, პატრონი-კი მუდამ უბღვერდა. მიზეზს ეძებდნენ, რომ გაეგდოთ დაძველებულ, უსარგებლო ჩვარივით. ამ მიზანს ადვილად მიაღწიეს. ერთხელ მიეცათ საქსოვად რაღაც ძნელი ფასონი, რომლის ძაფი ყოფილა მეტად წმინდა და სუსტი; წარა-მარა წყდებოდა თურმე; წყდებოდა როგორც შენი, ეგრეთვე ტრამი. ხომ იცი შენი და ტრამი რას ჰქვია?

— კი, ჩემო ანგელოზო, განაგრძე!

— ჰო, ამ რიგად ბევრი უწვალებია საბრალო მა-

მას, რაც შეიძლება ბრთხილობდა, მაგრამ მაინც მეტად ბევრი ძაფი დაებურდა და გაეფუჭა, თან ბევრ ალაგს გაჰპაროდა ნაწყვეტები. ამ რიგად დაფორაჯებულა და წამხდარა ნაქსოვი. მოსულა უფროსი, უნახავს ფარჩა გაფუჭებული, შეუქნია ერთი ყვირილი, ალიაქოთი და დაუსმენია პატრონისთვის. მიუციათ მაშინვე თავის ანგარიში და გაუშვიათ... ეს იყო ხუთი წლის წინად... ოჰ, რომ იცოდე რა შეწუხებული მოვიდა შინ საბრალო მამა! ადამიანის ფერი არ ედო, მადა დაჰკარგოდა, კვნესოდა ჯავრით და ღვრიდა ცრემლებს. დედა ამხნევებდა, რაც შეეძლო, აძლევდა იმედს, მაგრამ რას უზამდა ცარიელი იმედი! საბრალო მამამ ბევრი ირბინა მერე, ეძია ალაგი აბრეშუმის სხვა-და-სხვა ქარხნებში, მაგრამ ამაოდ. ვის რად უნდოდა მოხუცი, სნეული მუშა! ყველანი ახალგაზდებს არჩევდენ, მას-კი ცივი უარით ისტუმრებდენ. გავიდა ამ თრევაში და სულიერ ტანჯვაში ექვსი კვირა, დარჩა იგი უსაქმოდ. მოგვაკლდა ამ რიგად ცხოვრების უმთავრესი წყარო. დედას ნაშრომი აბა ვის გვეყოფოდა! ორ ფრანკს ძლივს იღებდა დღეში. რაც კასაში ცოტა გადანარჩენი ფული ჰქონდა მამას უკვე გამოიტანა და, დახარჯა. ზოგს თავის ძველ ამხანაგ-მუშებს დაესესხა. აბა იმათ რა ჰქონდა რომ მისთვის მიეცათ! მცირედ მაინც გაუწყვეს ხელი დაჩაგრულ მოძმეს. გადიოდა დრო და საქმე არ სჩანდა. საშინელმა სევდამ შეიპყრო საბრალო. დაეკარგა ძილი და მოსვენება; უსაზღვრო წამება ისახოდა მის სახეზე, რომ ხედავდა თავის მშვიერ წვრილ შვილებს... ახლაც თვალ წინ მიდგია ცოცხლად მამას ტანჯვით მოცული სახე...

ქალი შეჩერდა ოდნავ და მოიწმინდა თვალზე მომდგარი ცრემლი.

— ძლიერ კარგად მახსოვს. ნოემბრის სუსხიანი დღე იყო, საშინელი ნისლი იდგა ლიონში; მამა წამოდგა გვიან ფრიად დაჯავრიანებული. დედა უკვე წასულიყო ქარხანაში სამუშაოდ. აკვანში ჭკაოდა ჩვენი პაწია ძმა, რომელსაც არწებდა უფროსი და, მაგრამ ამოდ. მამა წამოდგა კენესით, მიუჯდა მაგიდას და დაწერა რალაც. მერე მოვიდა ჩვენთან, მოგვხვია ხელი, მიგვიკრა გულზე და დაგვიწყო კოცნა და ფერაობა, თითქო გვემშვიდობებოდა. ჩვენ ეს ძლიერ გაგვიკვირდა, რადგან ექვსი კვირა იყო, მამის ალერსი აღარ გვენახა. ბავშებმა ვიგრძენით თითქო რალაც და გავაბით ტირილი. ჩვენს ტირილზე მამამაც გადმოჰყარა ცრემლები; საშინელი ტანჯვა და თავ-განწირვა აჩნდა სახეზე. მოიჯერა გული ჩვენის ალერსით, წამოდგა, აკოცა რამდენჯერმე აკვანში მწოლარე შვილს, შემდეგ მობრუნდა ისევ, ერთჯელ კიდევ ჩავვიკრა გულში და დააპირა გასვლა. ჩვენ დავეკიდეთ კალთახედ და არ გავუშვით, თანაც ვტიროდით მწარედ. ის მობრუნდა, გვაკოცა კიდევ ხურვალედ და გვითხრა: აგერ ქარხანაში მივალ შვილებო, სამუშაო ვიშოვე, გიყიდით რამეებს და საღამოს კი მოვალო. ამ სიტყვებით დაგვაჯერა ბავშები და წავიდა...

სადილობისას დაბრუნდა დედა და ძლიერ გაუკვირდა მამის წასვლა, რადგან ორი დღე ავად იყო და არსად გასულა. ჩვენ ვუთხარით ყველაფერი. იმანაც იგრძნო წინასწარ რალაც უბედურება და დაიწყო ტირილი. ვეძიეთ ბევრი, თუ რა დასწერა მამამ, მაგრამ ვერ ვიპოვეთ. შეწუხებული დედა წავიდა ისევ სამუშაოდ.

საღამომდე კიდევ იმედი გვქონდა. გავიდა ექვსი საათი, გავიდა შვიდი და რვა, მამა არ მოსულა, მაშინ როდესაც ქარხნებში ექვს საათზე ათავებენ მუშაობას და დედაც იმ დროს მოვიდა. ცხრის ნახევარი იყო და მამა არ სჩანდა. გამწარებული დედა გაიქცა პოლიციაში და განუცხადა ყველაფერი. დაიწყეს ძებნა, მიწერ-მოწერა, მაგრამ ამაოდ... ვერსად ნახეს... მესამე დღეს რომანში იპოვეს დამხრჩვალნი კაცი... ის იყო მამა-ჩემი... მეშის ქესაში უპოვეს ქაღალდი სადაც ეწერა: — „ორი თვეა ვეძებ სამუშაოს, ვერ ვიპოვე... ვერ გავუძელო ცოლ-შვილის ტანჯვას... შიმშილს... და ვიხრჩობ თავსო“...

ეს ბოლო სიტყვები ქალმა წარმოსთქვა ტირილით. იგი აღელდა საშინლად, ცრემლები წყაროსავით მოსდიოდა შვენიერ თვალებზე. მან მომხვია ხელი დამალა ჩემ გულზე თავი და დაიწყო მწარე კვითინი...

ოჰ, ჩემს გულზე სტიროდა გაქივრება, კვნესდა შიმშილი, ღვრიდა ცრემლებს ცხოვრების უსამართლობის უმანკო მსხვერპლი!.. ის ცრემლები წვადა ჩემს გულს, ეს მწარე ხმები ჰკუწავდნენ ჩემს სულს, მთელ ჩემს არსებას...

ბევრის ხვეწნა-მუდართით როგორც იყო დაწყნარდა საბრალო ქალი და განაგრძო თავის მწარე მოთხოვნა.

— „მთელი ოჯახი დააწვა დედას. ჩავვარდით საშინელ გაქივრებაში. ჩვენი სწავლისათვის ვიღაც კვებოდა! გამოგვიყვანეს სკოლიდან. უფროსმა და ძმამ იპოვეს სამუშაო აბრეშუმის ქარხანაში და შველოდენ დედას. მე-კი ვიყავ შინ, ვძიძაობდი პაწია და ძმას და ვამზადებდი საკმელს, მაღე ჩემმა უფროსმა დამ იპოვე“

კარგი ადგილი ერთ ბრასერში და გადვიდა იქა. ძმაც მეტად ბეჯითი და მუყაითი გამოდგა: დედა ხომ მუშაობდა და შრომობდა თავგანწირვით. ამ რიგად ჩვენ კიდევ გაგვიღიმა ბედმა. გადვიხადეთ ნელ-ნელ ვალები და მოვითქვით სული. მაგრამ ჰვინ ქნა ბედი მუშა ხალხისთვის! ჩვენმა შავმა ბედმა მოლუშა ისევ წარბები და დაგვიშვა გაჭირვების და საშინელ მწუხარების სეტყვა... ჩემი და გააბრიყვა ერთმა სტუდენტმა და გაიტაცა პარიზში ხასად. აგერ წელიწადი გადის და მისი ამბავი არ ვიცით... ჩემ ძმას, ჩემ ძვირფას ჟოზეფს შეეუჩნდა მისი კუზენი: ღონიერი კაცი ხარ და რად იფუჭებ თავს მაგ საქსოვ ქარხანაშიო, მანდ ორ-სამ ფრანკს ძლივს შოვობ, წამო სანტ-ეტიენის ქვა-ნახშირის მადანში სამჯერ მეტ ქირას აგაღებებო. დაეხარბა საბრალო ფულს და გაჰყვა. მართლაც იქ იშოვა სამუშაო და ქირასაც ბევრს იღებდა. ექვსი-შვიდი თვე ამ რიგად იყო. დედას მეტად უხაროდა. მაგრამ დაგვატყდა კიდევ თავზე საშინელი რისხვა... აგერ რვა თვე გადის იმ სახარო ამბის შემდეგ...

ქალს დაეტყო აღელვება და თვალები გაეფსო ცრემლით.

— გავარდა ლიონში ხმა, რომ სანტ-ეტიენის ქვა-ნახშირის მადანში აფეთქებულა გაზი და დაუწვავს თერთმეტი მუშაო... გაზეთებმა აღბეჭდეს ეს ამბავი... და იმ დამწვართა შორის აღმოჩნდა... ჩემი ძმაც... ჩემი საყვარელი ჟოზეფი...

ქალი კიდევ აღელდა საშინლად, მომესვენა გულზე და ამოუშვა მწარე ქვითინი; ვერც მუდარამ და ვერც ხევწნამ ვერ გასჭრა მასზედ. მისი ქორთა არსება მოეცვა უსახდურო მწუხარებას. ის სტიროდა მწარედ საშინ-

ლად წამებულს თავის მშობლურ და დაძმურ გრძობებს; ის მოსთქვამდა დამხრჩვალ მამას, ის სტიროდა ნამუს-ახდილ დაკარგულ დას, ის მოსთქვამდა უდროოდ დაღუპულს, ოჯახის ბურჯს ახალგაზდა ძმას...

მინახავს ბევრი ტანჯული ადამიანი; მინახავს ბევრი გაქვივრების ცრემლები, მაგრამ ამ 17 წლის ქალწულის ტირილი იყო რაღაც განსხვავებული, უფრო მწვავე, უფრო ძლიერი. იმ ცრემლებში სჭვირდა უსახლოდ უიმედობა, მასში მოჩანდნენ მთელი თაობის მსხვერპლნი ცხოვრების საშინელ ბრძოლისა, მასში მესმოდა ბედისა მიმართ მუშის ჩივილი, მასში ვხედავდი ბურჟუას ლხინს, ნეტარებას და საბრალო პროლეტარის უნუგეშო წამებას.

შავმა ფიქრებმა შემიპყრეს ერთიანად. თვალ წინ დამეხატა ევროპის დღევანდელ ცხოვრების ბნელი სურათები. ამ დროს თითქო მესმოდა მადნიდან, ქარხნიდან, სარდაფიდან, მინდვრიდან და ქუჩიდან მშიერტიტველა მუშის მწარე კვნესა და მათ გვერდით ელექტრონით განათებულ დიდებულ დარბაზში ბურჟუას ლხინი და უღარდელი ხარხარი...

VII

ქალი სტიროდა გულ ამომჯღარი. მასზე ვეღარ მოქმედობდა ვერც ნუგეში, ვერც მოფერება, ქვითინებდა და ღვრიდა ცრემლებს ჩემი ანჟელინა. იტირა კაი ხანს საბრალო ქალმა, მოიჯერა გული და დაანელა ცრემლით თავის სულიერი ტანჯვები. როგორც იყო აიღო

მალღა თავი და შამომხედა. კვლავ მომენათენ მისი სოცნებო იისფერი თვალები, რომლებშიაც გამოკრთა უნებლიედ ის იდუმალი სხივი, დამიარა ტანში ვით ელექტროს ნაკადმა, დამაჟრჟოლბ და დააწყებია ჩემს გულს ტკბილი ფანცქალი. მე უნებლიედ შემიპყრო რაღაც ეჭვმა და ჩავვარდი საგონებელში. გავანთავისუფლე ქალის ხელი და ჩავცურე ფიქრთა მორევში.

— მოგწყინდა განა, მეგობარო, ჩემი მოთხრობა!

ჩამეწვეთენ ყურში ციური ხმები, რომელნიც ისე საშინლად სძრავდენ ჩემს ვნებას. მე შევეკრთი, გამაზრიალა ტანში და გამოვირკვი ფიქრებიდან, ქალის ხელი კვლავ ესაყვარლებოდა ჩემსას.

— არ გინდა განა ისმინო!

გამიმეორა მან საყვედურის ხმით.

— როგორ არა, ჩემო შევენებავ! შენი მოთხრობა იყო, რომ ასე გამიტაცა. განაგრძე, დაიკო, მე გისმენ გატაცებით.

ქალი გათამამდა, სიამოვნების შუქმა უეცრივ გაინავარდა შევნიერ სახეზე და ისევ მალე დაუთმო ალავი მწარე სევდას. მან განაგრძო:

— იმ საშინელმა ამბებმა ძლიერ იმოქმედეს საბრალო დედაზე. იგი ჩავარდა წარმოუთქმელ ჯავრში, დაეკარგა მადე, ძილი და მოსვენება. მუდამ იგონებს თავის დაკარგულ ქმარ-შვილს, სტირის ჩუმად და ცდილობს არ გვანახოს ბავშვებს თავის უსაზღვრო ტანჯვები. მაგრამ მე ყველაფერს ვმზერ და მესმის ყოველივე. გახდა საშინლად, დასნეულდა, ახველებს... ვგონებ ქლექია... მე ვიტანჯები რომ ვხედავ მის ამგვარ წამებას. ხშირად მოვეხვევი ხოლმე, ვკოცნი და ვანუგეშებ რაც

შემიძლია. მაშინ ველარ ითმენს ისიც და ორივე ვსტირით მწარედ...

ანჟელინა აღელდა საშინლად, მისი თვალები მოკმზადენ სატირლად და ნიშნად გამოგზავნეს რამდენიმე ცრემლი, მაგრამ დაატანა ძალა და შეიმაგრა თავი. ამოიხვნეშა მწარედ და განაგრძო:

— ახლა უნდა იკითხო, ვინ იყო ჩვენი მრჩენელი! ვინ მოგვეცემდა საზრდოს ოთხ სულს ადამიანს: ჩემს პაწია და ძმას, მე და დედას! ჩვენი მარჩენელი იყო საბრალო დედა. იგი დაუცხრომლად მუშაობდა აბრეშუმის ქარხანაში და იღებდა დღეში ორ ფრანკს. აბა ეს ერთიცახე ფული რას გვეყოფოდა მთელს ოჯახს ამ სიძვირეში! ხომ იცი შენცა რა სიძვირეა ლიონში? კამასმა, სახლის ქირა, ტან-ფეხი... ყველაფერში ფული უნდა. დედას მეტად გაუჭირდა საქმე, სხვა შველა არ იყო, უნდა დაეხმარებოდი. შემეწია ბედი და ვიშოვე მეც ადგილი ბ. ჟანდრის დიდ საქსოვ ქარხანაში; — ხომ იცი სულ დიდი ქარხანა როა კრუა-რუსზე? აი იქა. ჯერ, როგორც გამოუცდელს მაძლევდენ ცოტას, მხოლოდ ერთ ფრანკამდე. მაგრამ მალე გავიწაფე და შევეჩვიე საქმეს. თავს ვსდებდი, რომ მეტი ფული მეშოვა და გამეხარებია საწყალი დედა. მართლაც მალე მომიმატეს ხელფასი და არა იშვიათად ვიღებდი ორ ფრანკზე მეტს. თუ იცი, საქსოვ ქარხნებში გადაწყვეტილი ფასი არაა ხელ ფასი იმისდა-გვარად გეძლევა რამდენ მეტრს (აღლს) მოქსოვ. თუ ბევრს მოქსოვ, მეტი ფული გერგება და თუ ცოტას, ნაკლებს მოგცემენ. მასთან ყველა ფარჩეულის ქსოვაც ერთ რივად არ ფასობს, არიან ძნელი საქსოვი და ძვირი, მაგ. ხავერდი; არიან ადგილი საქსოვი და იაფი, მაგ. ტაფტა. ამიტომ ტაფტას, სერჟეს,

სატენს, ხავერდს, ფასონეს, გაზს და სხვ. სულ თავ-
თავის ფასი აქვს. საერთოდ-კი ქსოვა არაა ძნელი. სა-
ქიროა მხოლოდ ხელის და თვალის სიმარდე. მარად
უნდა ბრთხილობდე, რომ შენის და ტრამის ძაფი არ
გაგიწყდეს და არ გაგებაროს ეგრე ნაქსოვში, თვარა
სულ წახდება და დაიღუპე ადამიანი. ხელ-ახალი დარღ-
ვევა დაგჭირდება, რაშიაც დრო ბევრი გეკარგვის. თან
თუ ხშირადაც დაგემართა ეგ საქმე კიდევ დაგიბოვონ,
როგორც უვარგის მოხელეს. ისე არ უყვეს საბრალო
მამას! ამიტომ ძლიერ უნდა ბრთხილობდე და გაწყვე-
ტილი ძაფი მაშინვე უნდა გადატნასო სუფთად. ჰო, რა
რა საქიროა მართლა ეს წვრილმანები! მაგრამ ისე გა-
მიტაცა ამ ხელობამ, სულ დამაფიწყდა თავი და თავი.
უნდა გითხრა ძლიერ მიყვარს ეგ საქმე... დიახ, ამ რი-
გად ვმუშაობდი ეს ექვსი თვეა და საქმესაც რიგიანად
ვასრულებდი. მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ამ ზამთარში
შემცირდა მუშაობა, რადგან საქონელი ბევრი დაემზა-
დებია და ვერ გაეყიდათ. ამიტომ გადაწყვიტეს დაეთ-
ხოვათ რამდენიმე ახალი შესულები. ამ ჩიგად გაუშვეს
ორმოცამდე ქალი და კაცი; მათ შორის მეცა...

— ეს იყო საშინელი რისხვა მთელ ოჯახისათვის.
დავრწი უსაქმოდ. მე და დედა დავრბოდით ქარხნიდან
ქარხანაში, ვეძებდით ჩემთვის სამუშაოს, ვემუდარებო-
დით ქარხნების პატრონთ, ვებვეწებოდით ნაკნობთ და-
ხმარებას ადგილის შოვაში, მაგრამ ამაოდ. ალაგი მინც
ვერ ვიშოვეთ... საზოგადოთ მთხოვნელი ბევრია, საქ-
მე-კი ცოტა, მეტადრე ზამთრობით. ბევრი ვეთრიეთ
მალაზიებში და კაფე-რესტორანებში, მაგრამ ვერც იქ
გავხდით რასმეს. სულ გატენილია ხალხით. ამ უნაყო-
ფო ძებნაში გავიდა აგერ ერთი თვე. იქნება შემოვა

სადმე ალაგი, მაგრამ ერთი რომ დედას არ ცალოდა, რომ ყველგან ეძებნა, დილიდან საღამომდე ქარხანაშია. მეც არაფერი გამოცდილება მქონდ და მარტო ვერც ვბედავ სიარულს, აქ ძლიერ გარყვნილი ხალხია. მასთან უპროტექციოთ ძნელად დებულობენ; ჩვენ-კი ამისთანა პირი არავინ გვყავდა. ამ რიგად შევიქენი მეც დედას. სარჩენი. საცოდავს გაუჭირდა საქმე. ცალკე ჯავრმა, ცალკე სიღარიბემ და ჯაფამ დაქანცეს უბედური. ამას დაერთო გაცივება და ეს ათი დღეა ჩავარდა ლოგინში... შეწყდა ჩვენი ცხოვრების უკანასკნელი სახსარი... ეს საშინელი რისხვა დაგვეცხრა თავზე...

ქალს კიდევ გაევისო ცრემლით თვალები და ამოუჯდა გული. თუმც ცდილობდა არ ეტირა და გაეთავებია თავის შავი მოთხრობა, მაგრამ თავის უნებურად უსაზღვრო მწუხარების ცრემლი მოჩქეფდა შვენიერ თვალებზე; ბოლოს როგორც იყო შეიმაგრა თავი, შეიშრო ცრემლი და განაგრძო:

— რა უნდა მექნა, ჩემო ძვირფასო! ჩავარდი საშინელ ცეცხლში. ცალკე სწეული დედის მზერით მენტებოდა ალი, ცალკე პაწია და-ძმის შიმშილის ტირილი მიორკეცებდენ ტანჯვებს. გავყიდე ერთიანად რაც გავაჩნდა შინა, რომ არ მომკვდარიყავით. შიმშილით გავყიდე ჩემი ახალი კაბა და მოვუყვანე დედას ექიმი. მაგრამ ეს ორი დღეა დაგველია ყველაფერი. მე ველარსად მივდიოდი, დედას ვერ ვშორდებოდი... პირი უშარება, მალ-მალ წყალს ითხოვს, თავი უხურს, თვალები ჩაუცვინდა, საშინლად იტანჯება... ღარიბი მეზობლები გვშველიდენ ოღნავ, გვაწვდიდენ ზოგი პურს, ზოგი ხორცს, მაგრამ მათაც მოწყინდათ, ან რა აქვთ რომ მოგვცენ! აცოცხლა ღმერთმა, ერთი მოხუცი ქალი და

დის, უვლის და ანუგეშებს ხოლმე დედას. რომ ის არ იყოს გადვირვოდი. ახლაც იქ დავტოვე. ეს ორი ღამეა ჩვენთან ათევს... საწყალი დედა! ვინ იცის ახლაც რას შერება... იქნება სულს ებრძვის... იქნება კვდება... იქნება მკითხულობს, რომ გამომეთხოვოს. სამუდამოთ...

ქალი აშფოთდა კადევ საშინლად. მიიფარა თვალეზზე ხელი, გადავარდა სავარძელში და ამოუშვა მწარე ქვითინი.

დაუწყვე ფერება, ვაძლევი ნუგეშს, ვეუბნეოდი, რომ არა უშავს-რა დედა-შენს, მალე მორჩება, შენც საქმეს იშოვი და ბედნიერი იქნები თქო და სხვ., მაგრამ ქალის ქვითინი არ ცხრებოდა. გავიდა რამდენიმე წუთი. ანუელინამ დაატანა ისევ თავს ძალა და როგორც იყო და ცხრო ცრემლები. მან განაგრძო აღღვებით:

— ეს ორი დღე იყო ჩემთვის ნამდვილი წამება და ჯოჯოხეთი. უველაფერი გავყიდეთ. ფული გამოგველია... სუყველას მოგველოდა შიმშილით სიკვდილი. ამ დილას უკანასკნელ ორ სუთ ვუყადე რძე დედას. მეტი ერთი სანტიმიც არ მქონდა, რომ ცოტა პური მყეიდა და მიმეცა პატარა და-ძმისათვის. ოჰ, რა რივად წრიალობდენ და სტიროდენ შიმშილის გამო საბრალონი!.. აქეთ მესმოდა დედის კვნესა და ტანჯები, იქით ბავშვების გულ-საკლავი ტირილი... მე-კი ვერას ვშველოდი... საშინელი სახმილი ამენტო გულში. მიველ კუთხეში, დავიოქე და დავიწყე ლოცვა და ტირილი. ესტიროდი ჩუმად და ვევედრებოდი ღმერთს შეველას, მაგრამ გავს ჩვენისთანა საწყალთათვის არც ღმერთს ცალია!.. ვიყავ დიდხანს ასე დაჩოქილი: რა-

ღაც მიზნებზე ჩანთქა თითქო ჩემი სული; ყურში ჩამწიოდა რაღაც საზარო ხმები და თან მესმოდა მშიერ და ძმის მწარე ტირილი... უცებ საშინელმა აზრმა გამიელვა თავში და მომაშუქა იმედი, მაგრამ ამავე დროს ჩემს არსებაში აშფოთდა რაღაც ძალა. გულზედ დამაწვა რაღაც ლოდინით ჰძიმე და შემიხუთა სულთქვა. დამესხა რეტი და კიდევ წავიქეცი, მაგრამ მოვიკრიფე ყოველი ძალ-ლონე და შეშლილივით გამოვარდი გარეთ. ეს იყო ამ საღამოს... მე ვავიქეც ეკლესიაში, შეველ, ღვთისმშობლის წინ დავიწყე მწარე ტირილი. ვტიროდი და ვლოცვილობდი ხურვალედ დიდხანს, ძლიერ დიდხანს... მე ვავედრებდი დედას, ვავედრებდი პაწია და-ძმას, ვთხოვდი ჩემი ცოდვების მოტოვებას, ვთხოვდი გამხნევებას, ვთხოვდი ძალას, რათა შემძლებოდა და ჩამედინა ის... ის საშინელი საქმე...

ქალს ეტყობოდა ნამეტანი მღელვარება და ტანჯვა; თვალები მალ-მალ ევსებოდა ცრემლით, მაგრამ ატანდა თავს მეტის მეტ ძალას.

— გამოველ სახტრიდან და შევუხვიე ერთ გულკეთილ მეზობელს. დიდის ხვეწნით გამოვართვი ერთი ნაჭერი პური, ვასაუბმე მით ჩემი და-ძმა და დავაძინე. დედა არ ჭამდა არ ფერს. ხანდახან წყლის მაგიერ რძეს ვაპარებდი, იგი წუხდა და შფოთავდა, ვეფერებოდი რაც შემეძლო და ვანუგეშებდი საბრალოს. გული მიძგერდა საშინლად. მთელი საღამო სულ თავ-ბრუ მეხვეოდა და თან მიზნელდებოდა თვალები. მომსხლეტოდა მთელი ტანი და ვგრძნობდი იღუმალ ტანჯვას. ჩემს სულში თითქო იბრძოდნენ ვილაცები... მესმოდა და მაშინებდა რაღაც ხმები... — (ხომ ხედავ დედა გიკვდება

უწამლოდ, უაქიმოდ!.. ხომ ხედავ შენს და-ძმას, როგორ კვნესიან შიმშილით!... მათ უნდა შეველა, დახმარება, სიკვდილიდან გადაარჩინა... მაშ წადი, წადი იცოდე ამაღამვე, შესწირე თავი და იხსენ ისინი!.. ახლა გამოჩნდება მათ მიმართ შენი სიყვარული... ეს ხმა მაქვსებდა და მამხნევებდა; მაგრამ ამავე დროს ჩამწიოდა ყურში მუქარით მეორე საშინელი ხმა: — „არ წახვიდე უბედურო! არ დაიღუპო თავი! არ წაიწყმიდო სული!.. დაე, მოკვდეს დედა-შენი, დაიხოცოს შენი და-ძმა... მოკვდით ყველანი შიმშილით, მაგრამ მოკვდით პატიოსნად!..“ შეწყდებოდა ეს ხმა და ისევ პირველი დამიწყებდა რჩევა-მუდარას. მე ვიტანჯოდი საშინლად. ოჰ, ეს იყო ნამდვილი ჯოჯოხეთის წამება! არ ვიცოდი რა მექნა, ვისთვის მეგდო ყური, ვის აზრზე წავსულიყავ... თანვე მესმოდა დედის მწარე კვნესა. მე ველარ ვიმაგრებდი ცრემლებს, რომ ვმზერდი მშობლის ტანჯვებს... თანდათან ვატყობდი, რომ იმარჯვებდა პირველი ხმა. მეორე ხმა-კი მუქარიდან იქცა საყვედურად, კვნესად, წუხილად და მიუყრდა თითქო. ამ წამებაში გავიდა ღამის ათი საათი. ბავშვებს ეძინათ და მათი უცოდველი ხვრინი იცავდა ოთახს. იმ ბებერსაც ჩასძინებოდა ჩვენს ძველ სავარძელში. გავიხედე და ჩემდა გასახარად დედასაც მიელილა თვალეზი და შეეპყრო ძილს. მე წამოვდექი ბრთხილად, ჩავიცვი კურტკა და დავიხურე შაპო. ხელები და მთელი სხეული მიცახტახებდა საშინლად; გული ძგერდა უსაზღვრო სიმწარით. მესხმოდა თავ ბრუ და მეგონა ან აგერ წავიქცევი და ან აგერ-თქო, მაგრამ ვატანდი თავს ძალას. პირველი ხმა ქუხდა თავისებურად და მაძლევდა მხნეობას. გაიღვიძა კვლავ მეორე ხმამ, სცადა კიდევ ერთი, გაი-

ბრძოლა გამწარებით, მორთო თავის მუქარა, ჩივილი, წუწუნნი და მწარე კვნესით მიქრა სადღაც... მე მიველ მძინარე და-ძმასთან და შევეხე უკანასკნელად უმანკო ბაგით, ვაკოცე რამდენჯერმე სიბრთხილით ჩემს პაწია ანგელოზთ: და მიველ ფეხაკრეფით დედასთან... მას ეძინა. წამოწითლებოდა ლოყები და ჩაცვივნოდა თვალები. სნეულის სახეს პატრონობდა უზომო ტ. ნჯვა და მწუხარება. მე გავშეშდი და ვუცქირე დიდხანს ჩემს საყვარელ არსებას... კვლავ ამიძგერდა გული, კვლავ დამიწყო ტანმა საშინელი ცახცახი... უცებ შეწყდა ეს უნებური თრთოლა, გამიხურდა სახე და შუბლზე დამასხა სიმწრის ოფლმა, ამიქრელდა საშინლად თვალები. უეცრივ ირგვლივ თითქო დაბნელდა ყველაფერი... მინდოდა მეტირა, მაგრამ ცრემლებიც დამკარგოდა იმ დროს. მხოლოდ მიხურდა სახე და მიბრუოდა თავი... მე წავიბუტბუტე ჩუმად რაღაც სიტყვები, ენაც დამბოდა... აღარ მახსოვს რა ვსთქვი. მიველ და ვაკოცე მეტის სიბრთხილით. ვშიშობდი არ გაღვიძებოდა. ვაკოცე ერთიც, გავაღე ჩუმად კარი, გაველ, მოვუვდე ისევ ბრთხილად და გავიქეცი...

ქალი აღელდა კიდევ საშინლად. კიდევ გადმოსკდა ცრემლები, მაგრამ საოცარი ძალით შეიმაგრა ისევ თავი და განაგრძო:

— მე მივზბოდი და არ ვიცოდი სად. ძლიერ გამიკვირდა როცა დავინახე ჩემი თავი ოტელ-დევითან. მე მსურდა მეშოვა ფული, ბევრი ფული, რო მით გადამერჩინა სიკვდილს საყვარელი დედა და და-ძმა, მაგრამ რა რიგად დამეწყო საქმე, არ ვიცოდი... მინდოდა მოვხვეოდლი კისერზე ვინმე კაცს, მეთქვა შენი ვარ, წამიყვანე, რაც გინდა მიყავ, ოლონდ-კი ფული, ბევ-

რი ფული მომეც... მაგრამ რამდენჯერ მივიწვედი რომელიმე გაიღეღელ კაცთან, მაშინვე რალაც უხილავი არსება მომკიდებდა ხელს და დამხევდა უკან. მსურდა მეთქვა რამე და სიტყვები მიზრებოდა პირში. ვიყავ ამ გასაქირში. მინდოდა ტეროზე გამოსვლა, ან რესპუბლიკის ქუაზე ჩავლა, მაგრამ ვერ გავბედე; ყოველ ფენის გადადგმაზე მიპყრობდა შიში, დანაც ის უხილავი ძალა მაბრუნებდა ისევ უკან და მძალავდა კუთხეში. ამავე დროს თითქო მესმოდა მშიერ და-ძმის ტირილი და დედის მომაკვდავი კვნესა... გავმწარდი საშინლად, დავწყველე ჩემი თავი, დავგმე ჩემი სისუსტე და გაუბედაობა, თანაც ის პირველი ხმა მაქეზებდა თავისებურად. მაგრამ რამდენჯერ მოვინდომებდი გავმღეღელ კაცის დაძახებას, მაშინვე ის უხილავი ძალა მეცემოდა ყელში, შემიხუთავდა სულს და დამიკარგავდა ხმას. წავდგამდი ფეხს და იგივე ძალა დამწვედა უკან... ამ დროს გამოიარა ორმა ახალგაზდა კაცმა და ჩამხედეს ურცხვად, მე შემაშინა ამ შამოხედვამ და მივიძალე კუთხეში. ისინი წავიდნ ხარხარით და გამაგონეს უწმაწური სიტყვები. ცოტა ხანი და გამიარა კიდევ ერთმა, ჩამხედა, ჩამაჩერდა. მე ვიყავ გაშეშებული და ვკანკალებდი. მან მომხვია უცებ ხელი და მიპირებდა კოცნას, მაგრამ გამწარებულმა ვარტყი სილა და გავექეცი. იგი გინებით გაუდგა თავის გზას. მე ისევ დავდექი ჩემს ბინაზე. გადიოდა დრო... მიწყნარდა ფეხის ხმა. იშვიათად გამივლიდნ გვერდით ხელ-გაყრილი ქალი და კაცი. ქროდა ჩრდილოეთის ქარი, თან თქორავდა კიდევ. საშინელმა სიცივემ შემიპყრო და ამაცახცახა; მასველებდა წვიმა. მე ბრაზი მომდიოდა და არ ვიცოდი რა მექნა. გამწარებული მზათ ვიყავ დამერო თავი მამასავით და

გადავრჩენოდი ამდენ ტანჯვას. ათასი ფიქრი და გრძნობა მგრეოდენ ერთმანეთში... შევებრძოლე ჩემ თავს, როგორც იყო მოვიშორე ის უხილავი ძალა, გავიმარჯვებდი და ვსტკვი: ან ჩემი სიკვდილი და ან მათი შემშილიდან გადარწენა!.. მეტი ტანჯვის ატანა არ შემძლია!.. ეს ვსტკვი თუ არა დამესხა თავ-ბრუ და დავეგზავსე სასიკვდილოდ გამზადებულს. ამ დროს გამონდი შენც... გავიმარჯვე... ამოვიღე ხმა... დავჩაგრე სირცხვილი და ნამუსი... გამოგყევი სამსხვერპლოდ... დანარჩენი იცი უკვე...

ქალმა ამოიხვნეშა მწარედ, გააზრიალა ერთი, ჩამეკრა გულში და ჩამალა თავი. იგი სტიროდა ჩუმი... და ჩემს გულს ერთოდა მისი გულის მიქანტული ძგერა, რომელიც აჟრუოლებდა მწვავედ ჩემს არსებას. მის საშინელ მოთხრობას ერთიანად შეეპყრო ჩემი გონება, ჩემი შფოთარე სული გამობდა ევროპის დღევანდელ ისტორიას...

VIII

— კარგი, ჩემო სულიკო, ნუ მოიკალ თავი, გეყოფა ამდენი ტირილი, დაწყნარდი; მოითქვა სული... ვაჟუმებდი გულზე მისვენებულ დობილს.

— აწი არათფერი გიჭირს, ჩემო ლამაზო; ამიერიდან მიგულე როგორც შენი საკუთარი ძმა. მე მყავს აქ ცნობილ პირთა შორის რამდინიმე ნაცნობი, მყავს ერთი მოწაფე ბურჟუა, რომელსაც ვასწავლი რუსულს, ხვალვე გავიქცევი და ვთხოვ შენთვის აღაგს. დარწმუნ-

ნებული ვარ დამდებს. პატის და მიშოვის. მანამდე-კი, წემო დაიკო, აჰა, ეს ხუთი ფრანკი!

გავხსენი ჩემი დამქნარი ქისა და ჩავუდე ხელში ხუთ ფრანკიანი, მე დამრჩა მხოლოდ ორი სუ, ე. ი. ნახევარ გირვანქა პურის ფასი. ეს იყო ჩემი ხვალისდელი სადილი.

— ამ ფულით დილასვე მოუყვანე დედაშენს ექიმი და უყიდე წამალი, მერე მოდი და მაცნობე ყველაფერი. ახლა სამწუხაროდ არ მაქვს მეტი, ხვალ-კი გავიქცევი, დავესესხები ჩემს აშხანაგ სტუდენტებს და მოგცემ კიდევ. მეც წამოვალ და ვნახავ დედაშენს. ზეგ კვირაა და ვეცდები მოვახდინო კონფერანსი, ამ რიგად იმედო მაქვს შევკრიბო 40 - 50 ფრანკი და გადმოგცე-ასე, ჩემო სულიკო, შეიშვრე ცრემლები, გამილიმე, მითხარი რამე!...

ქალმა აიღო მართლაც თავი და შემომხედა. მის სოველ ლოყებზე აციალდა ნეტარების შუქი. ცრემლიან თვალებში გამოისახა აღტაცება, მადლობა და სინარული. იგი წამოხტა შევლივით, მომხვია პაწია ხელე-ბი და დამიწყო კოცნა. მკოცნიდა გატაცებით შვენიერი დობილი და ზეციურ სინაზით ჟღერდენ მისი ბა-გენი:

— შენ ხარ ჩემი ნამდვილი ძმე... შენ ხარ ჩემი მხსნელი... ოჰ, ბედნიერი ვარ .. ბედნიერი!... მკოცნი-და მხურვალედ. შვენიერი ანჟელინა და ის დაძმური უმანკო ამბორი ჰფენდა ჩემს სულში ზენაარ ნეტარე-ბას. იისფერ მგზებარ თვალთაგან გამოკრთებოდა მალე-მალ ის საიდუმლო სხივი, გაინავარდებდა ჩემს სულში, ამიჩქროლებდა გულს და გაჰქრებოდა უცერივ. საბრალო ქალი გამოიკვალა ერთიანად. იგი შეიპყრო ბავშურმა,

სიხარულმა, იცინოდა, ხტოდა და ასე გასინჯეთ, ცეკვა-
და კიდევ... ჩემს ანუელინას დაავიწყდა ამ წუთას შა-
ვი წარსული, დაავიწყდა მწარე ბედი და ტანჯვები. ის და-
ცქეროდა ხუთ ფრანკიანს როგორც მხსნელს, როგორც
დედა მისის მომჩინს. იგი გადიქცა თვით ოცნებად და
ბედნიერებად. მისი ბავშური ფანტაზია დაჰქროდა სი-
ხარულის სფერაში. იგი თითქო მზერდა, თითქო ეხვე-
ოდა უკვე მოჩინილ დედას, უყვებოდა მას თავის ამ-
ბავს და უყოფდა სიხარულს.

მე ვშიშობდი ძლიერ, რომ ამდენი ხმაურობით
არ გაღვიძებოდა არგუსს, ე. ი. ჩემს დიასახლისს, ამი-
ტომ ვსცდილობდი დამეცხრო. დობილის მეტი სიხარუ-
ლი. მაგრამ არ ცხრებოდა გოგონა. იგი დაცქერიალებ-
და ოთახში და ჭიკჭიკებდა ვით გაზაფხულის მერცხა-
ლი, ვით გალიიდან გაშვებული ჩიტი. ის მზად იყო
გაფრენილიყო ფანჯრიდან, ჩაკვროდა გულში პაწია
და-ძმას და მომაკვდავ დედას. ქალწულის სიხარული
გადამედვა მეც. შევტრფოდი ამ ბავშურ ნეტარებას.
ამ დროს თითქო გამქრალიყო სადღაც ჩემი მე, გამქრა-
ლიყო ჩემი ფიქრი, გრძობა, ვნებანი და ვით ჰიპნო-
ზით გაღალული ვცხოვრებდი მხოლოდ ამ უმანკო არ-
სების სიხარულით. ჩემი სული სწოვდა თითქო აქამდე
უგემებელ ციურ სიტკბოებას.

არ მახსოვს რამდენ ხანს ვიყავი ასე... ბოლოს გა-
მოვერკვიე და დავხედე საათს. ოთხის ნახევარს გადაცი-
ლებოდა. ქალი წამოხტა და მოისურვა შინ წასვლა;
მაგრამ ამ დროს ამ ბნელეში და ყინვა-სიცივეში. მისი
იმსიშორეს წაყვანა ფრიად ძნელი იყო, მეტადრე სა-
შიში გზები გვექონდა გასაველელი, მე-კი არაფერი იარა-
ღი მქონდა.

ლიონში ამგვარ ღამეში კაცის კვლა ადვილად იციან. ჯერ ჰკლავენ და მერე ცარცვენ. მიხვალ შენთვის, შეუხვდიე ბნელს კუთხეში და უეცრივ მწვეტიანი დანა გესობა გულში. შეჰყვირე გამწარებით, დაეცი, ფართხალობ სისხლში... შენს ჯიბეს-კი შინჯავს გულგრილად მხეცი არსების ტლანქი ხელები. მე სრულიადაც არ მსურდა მეგება ამგვარი „ხუმრობა“, ჩამეგდო ხიფათში თავი და მეტადრე ეს უმანკო ქალი. თან ფრიად დაღალულად ვგრძნობდი თავს. ამიტომ ვურჩიე დობილს. დილაზე ჩემთან დარჩენა. თუ დედა მისი გაიგებდა რამეს, ეთქვა ყოველივე დაუმალოვად. იგი მალე დასთანხმდა ჩემს რჩევას, მით უმეტეს, რომ თითონაც მეტად დაქანცული იყო...

— ადექ, დაიკო, რვა საათია უკვე!

ვუთხარი წყნარად.

ქალი წამოხტა, გაიზმორა მომხიბლავ სინარნარით და გამიღიმა თავისებურად. მოვშორდი ალკოვს; არ მინდოდა მეცქირა ჩაცმაზე. მან ჩაიცვა სწრაფად, დაიბანა ხელ-პირი და გამოვიდა ოთახში. მე-კი მზად ვიყავ უკვე. ანუელინამ გაიკეთა უცებ თმა, დაიხურა ქუდი მომეალერსა და გამიყარა მკლავში ხელი. ჩვენ შევუდექით მგზავრობას საოცარის სიბრთხილით; გავიარეთ მშვიდობით ბეწვის ხიდი, დავასრულეთ იაკობის გრძელი კიბე და შეუნიშნავად გავედით სატონეს მოედანზე, რომელიც სავსეა ამ ჟამად ცხენით და ვირებით შებმულ ეტლებით. ჰგავს ბაზრობის დღეა. სოფლელთ ჩამოუხიდავთ.

თავის სანოვაგე, დაუწყევიათ ბაზარში გასაყიდად, აქ-კი გაუჩივრებიათ თავიანთი ურმები. შუა მოედანზე ამართულა კვარცხლბეკი, რომელზედაც სდგას მორცხვად და მშვიდად მუშურ სამოსით ქებულ ჟაკარდის ქანდაკი, იმ ჟაკარდის, იმ უბრალო მუშის, მაგრამ გენიოსის, რომელმაც მოიგონა საქსოვი მანქანა და ჩაუდგა საძირკველი ლიონის განთქმულ ფარჩეულს, ლიონის სიმდიდრეს და დიდებას. მაგრამ, სავალალოდ იმის დიდებულ მანქანით სარგებლობს დღეს მხოლოდ ბურჟუა, რომლის მოწებად შექმნილან ჟაკარდის ღარიბი მოძმენი.

ჩვენ შევჩერდით მოედანზე და გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს. მე კიდევ გავუმეორე ჩემი ღარიგება და იმედები. ქალმა აღმითქვა ყველაფრის შესრულება და ჩემთან მოსვლა. ჩვენ ვიდექით კიდევ და ვსაუბრობდით. თუმცა ორთავე ვიჩქაროდით განშორებას, მე, რომ არავის დავენახე, ის-კი, რომ მალე ენახა თავის მომაკვდავი დედა და მიეხარებია თავის ამბავი, მაგრამ რაღაც უხილავი ძალა გვიზიდავდა თითქო, გვაკავშირებდა და არ ჰსურდა ჩვენი განშორება. მაგრამ მეტი მოცდა სულ ერთიან წაახდენდა საქმეს. მე იძულებული შევიქენ გამეშვირა ხელი ქალისათვის. ანჟელინამ მომიჭირა თავის პაწია თითები, შამომხედა მგზებარე თვალებით, მომასხურა ის იღუმალის შარბათოვანი სხივები, მომამახა: *mon chéril!* („ჩემო მიჯნურო“) და გაშვა კრუა რუსისკენ, ვით ქორთა ჯერანნი. ჩემი თვალები უნებლიედ გაედევნენ მის ნარნარა კვალს. იგი აცქრიალდა შავ ლომებით შემკულ კიბეზე, მომხედა ერთიც, ვამიღიმა, მომაწოდა პაეროვანი ამბორი და მიმეთარა...

სისომ გაათავა ეს გრძელი მოთხრობა და ამოიხვენე-
შა. მისი თვალეები გაივსენ საიღუმლო კრემლით და მი-
აჩერდენ ერთ წერტილს. ჩვენ წინ გადაშლილა თიანდა-
ზად შვეიცარიის ლამაზი ბუნება და ჰხიბლავს ადამიანის
ოცნებას, ვით მინაზებული ტურფა ქალწული. იქ შორს
მოსჩანს დიდებული მონბლანი, დაჰყურებს ამაყად და
გულის სიამით ბედნიერს, თავისუფალ ერს. აგერ გვერ-
დით ნებიერობს საამურად ნარნარა ლემანი, არწებს თა-
ვის მკერდზედ ანკარა ლაჟვარდოვან ზვირთებს და უგა-
ლობს თითქო მათ საიღუმლო ნანინას. ზვრებით, ბაღე-
ბით, კოშკით და სასახლეებით შემკული მისი კიდენი ჩა-
სცქერიან ამ დიდებულ სარკეს, ამ ჟენევის თირუზოვან
ტბას და თითქო სტკბებიან თავის შვენებით, ვით ლეგენ-
დური ნარცისი.

მაგრამ ამ წუთას მე ვერ ვამჩნევ ამ საოცნებო სუ-
რათს, არ მიზიდავს ალპის ბუნების საიღუმლო ზეიმი.
ჩემი გრძნობანი, თვით ჩემი არსება მოუცავს მხოლოდ
იმ მწარე მოთხრობას, მოუხიბლავს მხოლოდ შვენეიერ ან-
ჟელინას. მე თითქო ვმზერ სევდით დაჩრდილოულ ამ ქალ-
წულის სახეს, თითქო მესმის მისი მინაზებული ხმა, მისი
მღუმარე ჩივილი, თითქო ციმციმებენ ჩემ წინ სივრცეში
მისი ციური იისფერი თვალეები...

ქ. ლიონი.

20 მაისი, 1898 წელი.

ს. ქვარიანი.



ვიოტიე, — არის ნაწილი ან უბანი ლიონისა.

სატონეს ფელდრეცა და ტერო, — ლიონის მოედნების სახელია.

კრანდ-მეზონი, — (ფრანგულია) ნიშნავს დიდ სახლს ან უკეთ დიდ სავაჭრო სახლს ან მაღაზიას, რომელშიაც მილიონების საღირსი აურაცხელი სხვა-და სხვა საქონელია.

ბრასსეკრი, — ლუდხანა, სადაც სმენ უმეტესად ლუდს, თუმც სხვა სასმელებიც იშოვება.

რევოლუცია, — ამბობება, ამ ასი წლის წინად მოხდა საფრანგეთში რევოლიუცია, ანუ ხალხის ამბობება, გადმოაგდეს ტახტიდან მეფე, დასცეს სამღვდლოება და დიკატობა, უარჰყვეს თავად-აზნაურობის ხარისხი, დასაჯეს სიკვდილით მრავალი ურჩნი და მათ შორის მეფეც მისი სახლობიანად და გამოაცხადეს საყოველთაოდ რესპუბლიკა, ე. ი. ხელმწიფის მაგიერ ქვეყნის პატრონად გახდა თვით ხალხი და საქვეყნო საქმეებს სწყვეტს და ამოქმედებს თვით ხალხის მიერ არჩეული დეპუტატები, მინისტრები და თავმჯდომარე რესპუბლიკისა, რომელსაც ეწოდება პრეზიდენტი.

ტერორი, — შიში. საფრანგეთში რევოლიუციის დროს დაარსდა ერთგვარი მთავრობა, რომელიც მოქმედებდა ტერორით, ე. ი. შიშით ანუ უკეთ ცეცხლითა და მხვილით.

გილიტინა, — ერთგვარი იარაღია, რითაც საფრანგეთში სჭირან თავს დამნაშავეთ. ეს სახიზლარი იარაღი მოქმედობს ღღემდე.

შიმუნარი, — (ძველი ქართული სიტყვა) ნიშნავს ხელზედ მოსამსახურე ქალს ან გოგონს.

კომუნისტი, — ნიშნავს ადამიანს, რომლის აზრითა ჩამოერთვას ყოველივეს თავ-თავის საკუთრებანი და შეიწიროს საყოველთაო ანუ სახალხო საკუთრებად, რომ მით გათანასწორდეს ყველას შეძლება და მოისპოს მდიდარი და ღარიბი. ღღეს ამგვარ პირობებთან ხშირად სოციალისტებს; (კომუნისტები დაარსდნენ საფრანგეთში ამ საუკუნის დამდეგს, გაძლიერდნენ მეორმოცდაათე და მესამოცე წლებში და მოახდინეს რამდენჯერმე აჯანყება ანუ რევოლიუცია.)

გრევი, — (ფრანგული სიტყვა), ნიშნავს მუშათა აჯანყებას ქარხანა-ფაბრიკებში და მადნებში ქირის მოპატების და სამუშაო დროს შემცირების შესახებ.

დემონსტრაცია, — (ფრანგულია), ნიშნავს რაიმეს გამოქვეყნებას, გამოაშკარავებას, უკმაყოფილების და წინააღმდეგობის გამოცხადებას და სხვ.

მანიფესტაცია, — (ფრანგულია), ნიშნავს რაიმეს გამოაშკარავებას, გამხელას, ხშირად სიამოვნების და ქება-ღიღების გამოცხადებას.

მუში, — ორთქლის მორჩილი გემია მდინარეებში სატარებლად. ამგვარი გემები არიან ლიონში მდ. სონაზედ.

კანკადაი, — ყველიერი.

კიშში, აბსინტი, შარბრეზი, — მაგარი სასმელებია.

პუერტივი, — მადის მომგვრელი სასმელი.

კონფერანსი, — მოხსენება, მსჯულობა ან ლექციის და რეფერატის წაკითხვა რამე საგანზედ.

ფანსა-კუკუ, — გურული ცეკვაა, ველური ხასიათი აქვს. ვაკხანაღია ანუ ორჯია, — უმსგავსო, გარყენილი ქეიფი. ნიმფა, — (ბერძნულ მითოლოგიით) ნიშნავს წმინდა სულებს ანუ ჩვენებურად ანგელოზებს. მათი მოსაზრებით ნიმფები იმყოფებოდნენ ზღვებში, მდინარეებში, ტყეში და სხ. დღეს ნიმფას ეტყვიან რომელიმე ლამაზ ქალს.

სეკზენტიანი, — ქალაღლის გრძელი, ფერადოვანი არშიები ან ლენტები, რასაც უხვად ხმარობენ პარიზში კარნავალის დროს და ხუმრობით ბლანდვენ ერთმანეთს.

სუ, სანტიმა ფანსკი, — ფრანგული ფულია: სუ უდრის თითქმის ორ კაპეიკს, სანტიმი სუს მეხუთედია (ჩვენებურ ფარასავით პატარაა), ფრანკი კი $37\frac{1}{2}$ კაპეიკია (ვერცხლისა).

კელენჯერი, — (ქართულია), მაგარი, უდრეკი, უტეხელი, უგრძნო იტყვიან ქვემო იმერეთში: ეს კელენჯერი კაციაო, ე. ი. უგრძნო მაგარი ხასიათის კაცი.

კაპიტალისტური წყობილება, — ფულიანთა ანუ შეძლებულთა გაბატონება...

აფექტაცია, — აღზნებული, აოეთქებული გრძნობანი.

ფანოგრაფი, — ედისონის მიერ გამოგონილი საოცარი მანქანა, რომელიც უკრავს, მღერის და ლაპარაკობს კიდევ.

სინემატოგრაფი, — მოძრავი ფოტოგრაფია, ე. ი. მზერ, რომ ფოტოგრაფიულ სურათებში გამოსახული ადამიანი, ცხოველები და ეტლები მოძრაობენ თითქო.

რენტგენის სხივი, — გერმანიის გამოჩენილმა მეცნიერმა რენტგენმა ელექტრონის მანქანათა საშუალებით ეს ორისამი წელიწადია, რაც აღმოაჩინა საოცარი უხილავი სხივები, რომლებიც გადიან სხეულში, ხეში და სხვა რაოდენიმე ნივთიერებაში და სახვენ ეკრანზედ მათში დაფა-

რულ საგნებს. ამ რიგად ამ სხივებს, რენტგენის სხივებად წოდებულს, ფრად დიდი მნიშვნელობა აქვს მეტადრე მედიცინაში, ე. ი. ექიმობაში.

ვოგი, — ჯგუფი კომედიანტთა, ოინბაზთა, მოლატარითა, მოპანარამეთა, მეკარუსელებთა და სხვა ამგვარ ხალხის გამართობელთა. ეს ჯგუფი მოგზაურობს სოფლებში, დაბებში, კალაქებში და მართავს წარმოდგენალოტარიებს და სხვა ამგვარ რამეებს.

ოისე, — (ძველი სიტყვაა) ნიშნავს ცისარტყელას.

ვაღჭურვის ღაშე, — ამას არდგენენ ფაუსტის ოპერაში, წარმოადგენს ბენგალის ცეცხლებით შვენიერად განათებულ ნადიმს, სადაც ცეკვავენ შვენიერად დართულნი ქალნი. პოეტის ფანტაზიის ნაყოფია.

ფანესი, — ფანარი, ლიფლიფა.

ექსტაზი, — გატაცებულ, თავდავიწყებული აღფრთოვანება.

კლერიკალიზმი, — სამღვდლოების სული, ანუ სასულიერო მიმართულება.

პრატრესსიული, — მოწინავე, წინ მიმავალი.

დეფიზი, — პრინციპი, მტკიცე შეურყეველი მოსაზრებანი, რომელნიც საძირკვლად ედებიან კაცის მოქმედებას.

ინკვიზიცია, — კათოლიკეთა სასულიერო სამსჯავრო, რომელმაც წინად აწამა და ცოცხლად დასწვა ცეცხლში აურაცხელი მეცნიერ-ფილოსოფოსნი და მკოდნე, ფიზიკელი, ნიჭიერი პირნი.

რენესანსი, — განახლება, ხელახლად დაბადება.

ჰუმანიზმი, — კაც-მოყვარე სული, კაც-მოყვარე მიმართულება.

ვოლტერი, რუსო, მიწაბო, კონტი, გამბეტა, ტენი

და რენანი, — საფრანგეთის გამოჩენილი პირებია, პატრიოტნი და მეცნიერ-ფილოსოფოსნი, რომელნიც ჰგმობდენ სამღვდელოებას.

მონმსტრი, — გორაკის სახელია პარიზში.

აუტო-დაფე, — (ისპანური სიტყვაა) — ცეცხლში დაწვა.

ბრუნო და სერვე, — გამოჩენილი მეცნიერ-ფილოსოფოსნი.

ტორკვემადა, — შეუბრალებელი და უუსაზიზღრესი მეთაური ინკვიზიციისა.

პეკაში, — უბანია ლიონში; პერაში დიდი რკ. გზის სადგურია და წინ დიდი მოედანი აქვს.

ბორო, — ჩრდილოეთის ცივი ქარა.

ლუა XIV, — საფრანგეთის გამოჩენილი მეფე მე-17 საუკუნეში.

მორფეი, (ბერძენთა მითოლოგიით) ძილის ღმერთი.

დანა, — (ბერძნის და რომაელის მითოლოგიით) ნადირობის ქალ-ღმერთი.

კრუა-რუს, — ერთი დიდი უბანია ლიონში.

ქიაფი (ქართ.), — წუმწუმა. (ქიაფს ამბობენ გურიაში).

სცილა და ქარბდა, — (ბერძნის მითოლოგიით) ორი საშიშარი ვეშაპებია, რომლებიც იყვენ შავ-ზღვაში და ნთქავდენ მოგზაურ-ნაოსანთ.

ტაფანა, — გრძელი ვიწრო ოთახი ანუ კორიდორი.

არგუსი, — (ბერძნის მითოლოგიით), ას თვალისანი დიდი ფრინველი, რომელიც ჰყავდა გერას, ზევესის ცოლს (საბერძენთის ღმერთებია) და ზვერავდა მუდამ მის ქმარს, ე. ი. ზევესს, რომელსაც ძლიერ უყვარდა თურმე ლამაზი ქალები და დალატობდა თავის ცოლს. არგუსს როცა

ქონა 50 თვალი დახუჭული ჰქონდა და 50 კი ღია:
ოდაღისკა, — აღმოსავლეთური პარამხანის შვენიერი
ქალი. თეთრი არაბის ქალი.

მარმარა (ქართულია), — მარმარილოს მგავსი; მარმა-
რი — მარმალილო.

ჭარბოვანი (ქართულია), — აბრეშუმის მგზავსი თხე-
ლი, ლბილი, ნაზი და სუბუქი რამ.

შენი, — საქსუალი ანუ ქსელი, ე. ი. საფეიქროზედ
საქსოვად დაბმული ქსელი ანუ ძაფები.

ტრამი, — სასხამი, ე. ი. ქსელის ან საქსუალის ჩა-
მქსოვი რამე ნაქსოვის გასაკეთებლად.

სანტ-ეტიენი, — დიდი ქალაქია საფრანგეთში; სადაც
მრავალი ქვა-ნახშირის მადნებია.

ტავტა, სეკეე, სატენი, კაზი, ფასანკ, — აბრეშუმის
სხვა-და-სხვა ქსოვილების სახელებია.

აქოვი, — განცალკევებული პაწია ოთახი, სადაც
სდგას ლოგინი.

დაბირი, (ქართულია), — ჯადოსნური წრე, რკალი.

ბრძვა, (ქართულია), — გარე გრძობა, მაგ. ბრძვა
სიცხის, სიცვიის, შიმშილის და სხ.

ლემანი ანუ ეენევის ტბა, — დიდი ტბაა შვეიცარიაში.

მონბლანი, — უუმაღლესი მთა ალპების ქედისა. აქეს
4810 მეტრი სიმაღლე, ე. ი. ოთხ ვერს-ნახევარზედ ცო-
ტა მეტი.

ნაწისი, (ბერძნის მითოლოგიით), — მვენიერი ქაბუ-
კი იყო, რომელიც მარად წყალში იმზირებოდა და სტკბე-
ბოდა თავის შვენებით. ზევსმა იგი აქცია შემდეგ ყვა-
ვილად.



* *
* *

იქ ქართვ ბუჩქებს
მთვარის შუქი ენარნაროდა,
იქვე ბუღბუღი
ნაზი ხმებით ვარდს შეჭხაროდა,
იქვე მდინარე
ნუბიერი, მიმომცინარე.
ცელქი ჩქრიალით
მხიარულად მისრიალობდა.
იქ იჯდა ქალი,
— თმა-გაშლილი შეენიერება,
ვით ზეტის მუზა,
სიუვარული და ხეტარება.
იყო მარტოკა,
სევდიანი... იყო მღუმარე..
მის ჰაწა ფეხებს
შეხუმროდა სვირთი მლიმარე.
მიველ სულ წუნარად,
გულის ძკერათ მასი მიჯნური
და მუნღ-მოდრეკით
ვუკალობე ტრფობის სევსურა.
მან მომანათა
ის თვალები ნაზ-ცრემლიანი,
ვით ცისიერი

მკლავარე, შარბათიანი.

მითხრა:— „ვინა ხარ?

გმირი ქვეყნად თავდადებული,
თუ სუსტი მონა

მტრის მსახურად გამსაღებელი?

თუ კი გმირი ხარ,

რა მახინე საქმე საგმირო,

რომ ჩემს სიყვარულს

სატარიგოდ შენ შემსწირო?

და თუ მონა ხარ,

წავე, გამშობდი! შორს შერცხუქნილო!

სუფრთ ძაბუნარ,

ქალაჩუნავე და თავმჯდომარ!

გმირი ხარ?!

მაშ გესმის შენა

ხალხის ტანჯვა, ხალხის კვნესანი?...
გესმის იქ ზოგის

გაჭირვება, უხმე ჩივილი,
იქვე შიმშილი

სახიზღარო, შირ-დადრენილი?!

ამბობ: „მიყვარხარ“...

მაშ ჯერ წადო სწველის საშველად

და შეიქენი

დახარულით ფარად და მტველად!

ჭე, მაშ მოწმინდე

გაჭირვებულთ მწარე ცრემლები

და ხალხის გულში

აჩქეფე ნეტარ ხმები!

ამბობ: „მიყვარხარ“...

მაშ გააქრე ჩაგრულთ ჩივილი

Handwritten notes in Georgian script, including the name 'გვირი' at the top and several vertical lines of text on the left side of the page.

და სევდის ნაცვლად
იმის სახეს აფრქვე დიმილი.
ჟიჟი, მაშინ ვიგოძნობ,
რომ გიუფარვარ და გეუფარები;
ჰე, მაშინ გიმღერ
ტოფობის ჭანგებს, მკერდს ჩაკეკვრები.
ჰე, მაშინ მოდი
ჩემთან ლაღად, გმირ-მიჯნურად,
რომ სიუფარულის ბაღასინი
გუფს მოგასხურა!...
წადი შემოკრბე
მაკ დროშის ქვეშ ტოლ-მეგობარი,
საგმირო ხმებით აძგერეთ
სულ მთა და ბარი!
წაჰ, კარდაიცვით
მეტნიერთა ჯუბა-ჯავშანი
და მით გაუჭრეთ ხალხს ვარამი...
იპყართ ხელში
კანათლების ცელი, ნამკალი
და კარდაკათეთ უმეტრების
ბნელი ქაცუნარი!...
წადი, მიჯნურად,
ზეცა იუოს შენი მფარველი
და სამშობლოს სიუფარული
ძალის ჩამდგმელი!...

სისონა მეჩანგურე.



H. G. ...

ბ-ონ მოსე ჯანაშვილს

(ღია წერილი).

დიდად პატივცემულო ბ-ნო მოსეს

სრულზე ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თქვენ შარშანდელ „მოამბის“ მესამე №-ში ერთი საყურადღებო წერილი დასტამბეთ შემდეგის სათაურით: „ვასტანკ გორგასაღი (472—532)*“.

რასაკვირველია, ეს წერილი განსაკუთრებით საყურადღებო იმათთვის უნდა გამხდარიყო, ვისაც ჩვენი ისტორიის ბედ-იღბალი აინტერესებს, ვინც მასთან ახლო სდგას, ან რაიმე წილი უდევს მის წინ-სულასა და შემუშავებაში. და ჩვენც გვეგონა, რომ ეს ჩვენი ისტორიის ჭირისუფალნი, ადრე თუ გვიან, ხმას ამოიღებდნენ და თქვენს წერილს შესაფერვს მსჯავრს დასდებდნენ. მაგრამ ლოდინი ტყუილი გამოგვადგა: ხმას არავინ იღებს. ხოლო თქვენ მიერ წამოყენებული საკითხი-კი—გამოტეხილი უნდა ვსთქვათ—დღემდე საკითხადვე რჩება, ისევ აუხსნელი, ისევ ნისლით მოცული.

*) როგორც ვატიო, დღემდე ვასტანკის ქრონოლოგიას ასე ანგარიშობენ 446—499 წ.

ეს საკითხია—ვახტანგ I გორგასლანის ქრონოლოგია და ის, თუ რამდენად შეესაბამება ვახტანგის „ცხოვრების“¹⁾ უმთავრესი ფაქტები (წვრილმანებზე ნულა-

1) „ქართლის ცხოვრება“, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. 1897. გვ. 149—210: „ამბავი ვახტანგ გურგასლის შშობელთა და შემდგომად თვით მისი“.—ამას იქით, საცა „ქ.-ცხ.-ბას“ ვუჩვენებთ, ყველგან ეს გამოცემა გვექნება სახეში, რადგან ამ ჟამად ბროსე-ჩუბინასვილის გამოცემა ხელთ არა გვაქვს.

ვსარგებლობთ ამ შემთხვევით და აქვე დავასახელებთ ყველა იმ თხზულებებს, რომლებითაც ვხელმძღვანელობდით ჩვენ ამ შენიშვნების წერის დროს:

1) ვახუშტი. საქართველოს ისტორია. ბაქრადის რედაქციით. 1885.

2) თ. ჟორდანიას ქრონიკები. წიგნი I. 1892.

3) Преосв. Порфирія еп. Чигиринскаго. „Востокъ Христіанскій. Сирія. Списокъ Антиохійскихъ патріарховъ, Мих. Брека“. Кіевъ, 1874.

4) მისივე, «Востокъ Христіанскій, Сирія. Списокъ антиох. патріарховъ, составленный Порфиріемъ еп. Чигиринскимъ». Кіевъ, 1876.

5) О. Кургановъ, Отношенія между церковн. и гражд. властью въ Византійской имперіи (съ 325—565 г.). Казань, 1880.

6) M. Brosset, Histoire de la Géorgie I, livrais. 1. Spb. 1849.

7) მისივე, Addition et éclaircissements à l' Histoire de la Géorgie. Spb. 1851.

8) Lebeau. Histoire du Bas-Empire t. VII. Paris. 1827.

9) M.-N. Bouillet. Atlas universel d' Histoire et de Géographie. (la chronologie, la généalogie, la géographie). Deuxième edit. Paris 1872.

რას ვიტყვით) მსოფლიო ისტორიის გარდმოცემებს იმავე დროის შესახებ.

მართალია, თქვენ სცდილობთ უარ-პყობთ იმ მეცნიერთა აზრი, რომელთაც, როგორც თქვენ ბრძანებთ, „ვახტანგის ცხოვრება თითქმის ზღაპრად მიაჩნიათ“ — რის „ბრალსაც“ თქვენ „ვახუშტისა და მისს მიმდევართ“ სდებთ — და კათეგორიულად აცხადებთ, რომ „ჩვენი მატიანის ზედმიწევნით შესწავლა მეცნიერების ამგვარ აზრს სრულად არღვევს და ვახტანგს მიაგებს იმას, რაც ეკუთვნის“-ო *), — მაგრამ ნება გვიბოძეთ თქვენი აზრების სრულს უცდომელობაში ექვი შევიტანოთ და შემდეგი კითხვებით მოვმარაოთ:

ა) შეიძლება თუ არა, ჩვენი მატიანის და კერძოდ ვახტანგის „ცხოვრების“ თუნდ „ზედმიწევნითი შესწავლით“, ამ მეფის ქრონოლოგიაზე რაიმე გადაჭრილ-უცილობელი აზრი დავდვათ? კიდევ უფრო კერძოდ: შეიძლება თუ არა, რაიმე დასკვნები დავამყაროთ ვახტანგის „ცხოვრების“ იმ ნაწყვეტზე, რომელიც თქვენ თქვენი წერილის თავში მოგყავსთ¹⁾), რომელსაც ისეთს დიდ მნიშვნელობას აწერთ და რომლის უყურადღებოდ დატოვებას, თუ ვერ-გაგებას, „ვახუშტისა და მისს მიმდევართ“ უკიჟინებთ? ამ ნაწყვეტს, რომელიც გვიან

*) იხ. «მთაბე» 1899 წ. № III. გვ. 1 — კურსივი ეპიკოსი ჩვენია.

1) „მიჩიან მეფედგან ვიდრე ვახტანგ მეფემდე ვაქა დატვალებულაჲო ნათესავი ათი და მეფენი რვანი, და წელიწადნი ას ორმოც-და-ათ შეიდ-მეტი“ და სხვ. „ქ. ცხ.“ გვ. 186.

დელ ჩანამატს უფრო ჰგავს, ¹⁾ და ამასთანავე, მატია-
ნის იმ ადგილებს ვერ ეთანხმება სავსებით, რომლებ-
ზედაც თვითონ გვითითებს, ²⁾—ამ ნაწყვეტს თქვენ სა-
ფუძვლად უდებთ მთელ თქვენ გამოკვლევას და გსურთ,
მისი თავისებური გაგებით, დაარღვიოთ და უკუაგლოთ
ვახუშტ-ბროსეს ჰიპოტეზა ვახტანგის ქრონოლოგიის
შესახებ, მაშინ როცა თვით ეს ჰიპოტეზაც, როგორც
სჩანს, სწორედ მაგავე ნაწყვეტზედაა აგებული და და-

¹⁾ ბროსეს შენიშვნით (Hist. de la G. I. p. 161
n. 4) ეს მუხლი არ მოიპოება ე. წ. „Chronique ar-
menienne“-ში, ე. ი. ჩვენი მატიანის ერთ უძველეს თარგმან-
ში. მართლაც, ეს Chronique-ი, როგორც მისი განხილვი-
დან სჩანს, უნდა წარმოადგენდეს შემოკლებულს თარგ-
მანს ქართლის ცხოვრებისას სომხურ ენაზე“ (თ. უორდანიას,
„ქრონიკება“ I, წინასიტყვე. გვ. XX—XXI), მაგრამ, ამას-
თანავე, ეს სიმოკლე მას, რაღაც მანქანით, სრულებითაც
არ უშლის მოახსენიოს თითქმის ყველა დანარჩენი ქრონო-
ლოგიური დატება „ქ.-ცხოვრებისა“: 7 წელი, 15 წელი, 6
თვე, 3 წელი, 4 წელი (იხ. ქ.-ცხბა“ გვ. 153, 156, 194,
194, 201; შეადარეთ: Additions, pp. 35, 35, 42, 42,
43). მოხსენებული არაა, სხვათა შორის, ის ნაწყვეტი, რომ-
ელზედაც ჩვენ ვღაზარაკობთ, და ის 8 წელი „შესვლით მი-
სიღვან სმარსეთადვე“, რომელზედაც ქ.-ცხოვრება (გვ. 202)
ისე ბუნდით ღაზარაკობს. მაგრამ ამასვე ქვეით იყოს.

²⁾ „ნათესავი ათი და მეფენა რვანია“-ო, ამბობს ეს
ნაწყვეტი; მაშინ როცა თვით ქ.-ცხოვრებადანვე ვიცით, რომ
მარიანიდან ვახტანგამდე „ნათესავი“ იყო ექვსი და არა ათი
(იხ. Hist. de la G. I. p. 161 n. 4).—

მყარებული *). და მერე, როგორ აზრს ჰპოვებთ თქვენ მაგ ნაწყვეტში?—თქვენ მოგყავსთ ეგ ნაწყვეტი წინა მუხლის სიტყვებთან ერთად, სახელდობრ: „მას ჟამსა იყო ვახტანგ წლისა ოც-და-ორისა“, ¹⁾ მერე სტოვებით მთელ 12 პწყარს, სადაც მოხსენებულია ვახტანგის ახოვანება ლ მახლობელ-ნათესავები. „ვახუშტისა—ბრძანებით თქვენ—ყურადღება არ მიუქცევია ამ 22 წლისათვის, როდესაც მიჩინიდან ქორონიკონი ყოფილა 157 და არც იმისთვის, რომ მხოლოდ ამ 157 ქორონიკონიდან იწყება გრძელი ისტორია ვახტანგ მეფისა (გვ. 121—149), არამედ არც უციებია და არც უცხელებია, და გადაწყვეტია, სწორედ ამ ქორონიკონს, ესე იგი 499 წელს (342+157=499) გარდაცვლილა ვახტანგიო! და რადგან ეს ქორონიკონი (499 წ.) ქართლის ცხოვრებაში შესულა და გავრცელებულა, ვახტანგის ცხოვრებაც საზღაპრო შექმნილა, რადგან ეს ცხოვრება შემდეგ 499 წლისა ყოფილა და არა მანამდე“-ო ²⁾—შემდეგ

*) ამ მუხლის „157 წელიწადს“ ვახუშტის დებს ვახტანგის სიკვდილის წლად (342+157). იხ. Hist. de la G. I, p. 161. n. 4.—

1) ქართლის-ცხოვრება. გვ. 168. „მას ჟამსა“, ე. ი., როგორც მ სიტყვების წინა წინადადებიდან სჩანს, მაშინ, როცა ვახტანგ და ბაძა მისი ვარაზბაკურ უკვე მზად იყვნენ საბერძნეთსკე გასალაშქრებლად. ეს შენიშვნა ქვეით გამოკვადგება.

2) «მოამბე» 1899. № III. გვ. 1—2. კურსიფი ჩვენია. როგორც მაგ სიტყვებიდან სჩანს, ვახტანგის 22—წლოვნობას და 157 ქორონიკონს თქვენ ერთსა და იმავე წელს სდებთ, თუმცა-კი, როგორც ქვევით დავინახავთ, ამ აზრს სავსებით ვერ იცავთ ბოლომდის.

თქვენ ასახელებთ სხვა-და სხვა ქრონიკონებს „ქარ-
ცხოვრების“, «ქართლის-მოქცევის» და „აფხაზთა ცხოვ-
რებიდან“ და აბოლოვებთ ასე: „ყველა ეს ქრონიკო-
ნები ხმა-მაღლა ლაღადებენ, რომ ვახტანგი 499 წელს
არა თუ არ მომკვდარა, არამედ იგი ამ დროს ისევ ახალ-
გაზდა ვაშკაცი ყოფილა“-ო *).

მაგრამ, ჯერ სანამ მაგ ფრაზის თანმიმყოფლ ანალიზს
შევუდგებოდეთ, ნება მიბოძეთ დროებით დავივიწყოთ
თვით მაგ ფრაზის არსებობა და პირდაპირ ვახტანგის
გარდაცვალების ქრონოლოგიას ჩავხედოთ: თქვენც ხომ
ასე იქცევით!..

ბ) როცა ზემო ჩამოთვლილი სიტყვებით თქვენ
მკითხველს რამოდენადმე უკვე ეჭვი შეატანიეთ ვახუშ-
ტის ნაანგარიშევის სისწორეზე, — მერე თქვენ პირდა-
პირ გადადინართ სპარსთა ყენის ხოსრო I-ის გამეფე-
ბის წელიწადზე (531 წ.) და მის მეორე წელიწადს,
სახელდობრ 532 წელს, ვახტანგის სიკვდილის წლად
ასახელებთ („მომბე“ გვ. 2—3). ხოლო ამ უკანასკ-
ნელზე გსურსთ ჩამოკინძოთ ვახტანგის მთელი ქრონო-
ლოგია; მაგრამ იმას-კი აღარ ღებულობთ სახეში, რომ
ჩვენი მატიანე ორ „ხვასროს“ ასახელებს (მამასა და
შვილს), **) ესე იგი ძალიან ბუნდეთ იხსენიებს სპარსეთის
მეფეთა ვინაობას (მსოფლიო ისტორიამ-კი, როგორც
მოგეხსენებათ, ამ ხანებში ორი ხოსრო არ იცის) და,
რაც უფრო საგულისხმოა, ამასთანავე, ვახტანგის უკა-
ნასკნელ ომის დროს (ხოსრო მეფესთან, როცა ვახ-

*) „მომბე“ გვ. 2.

**) ქ.-ცხ. გვ. 206 „მოკვდა ხვასრო მეფე და დაჟდა...
ქე მისი ხვასრო“.

ტანგი დაიკრდა) და თვით მისი სიკვდილის წინ (ე. ი. თქვენი ანგარიშით 532 წ.) იგივე მათიანე ოხსენიებს (და „Chronique Armenienne“-იც კვერს უკრავს) ერთ იმისთანა გარემოებას¹⁾, რომელიც, თუ ჯერ თავის თავადაც ძნელი მისაღებია იმ სახით, რა სახითაც მას ქ.-ცხ. იძლევა²⁾,—მით უფრო შეუწყნარებელი დარჩება იგი, უკეთუ ვახტანგის სიკვდილის წლად 532 წ. დავსახავთ, რადგან ამ დროს—როგორც მოგეხსენებათ—არამც თუ ზენონი აღარ ყოფილა ცოცხალი, მისი მემკვიდრე ანასტასი და იუსტინე I-იც-კი კარგახნის დამიწებულნი იყვნენ³⁾, და ბიზანტიაში ამ დროს უკვე იუსტინიანე I ბრწყინავდა (527—565).

ამ რიგად, რომელი ერთი დავიჯეროთ: ის, რომ ვახტანგ მეფე ზენონის დროს მიიცვალა, თუ ის, რომ იგი იუსტინიანე I-ის (თუნდ ხოსრო I-ის) დროსაც კიდევ ცოცხალი იყო? ჩვენი მათიანის „ზედმიწვევით შეჯ

¹⁾ «ხოლო ბერძენთა მეფე, სიმამრი ვახტანგისა, მოკვდა და დაჯდა ზენონ, ძე მისი მეფედა, რომელიც ვახტანგს მოეშველა ხოსროს წინააღმდეგ. (ქ.-ცხ. გვ. 209. შეად. Additions, p. 45).

²⁾ ზენონი ლეონის ძე იყო, მაშინ, როცა, როგორც მოგეხსენებათ, ზენონი ლეონ I-ის ძე კი არა, საძე იყო, ხოლო ლეონ II-ის მამა, და ტახტიც ამ უკანასკნელის შერე დაიჭირა.

³⁾ ლეონ I (+474), ლეონ II, ერთი წელიც არ უმეფენია, (+474), ზენონ (474—491), ანასტასი (491—518), იუსტინე I (518—527). იხ. Bouillet, Atlas... p. 376.—

სწავლა“ ხომ ორივეს ერთნაირად გვეუბნება?! და, ცხადია, თუ სად უნდა ვეძებოთ იმის მიზეზი, რომ ვახუშტიმ „არც აცივა, არც აცხელა“, ან უკეთ რომ ვსთქვათ, არც შეეძლო მაგ ციებ-ცხელებას ასცდენოდა ესე, როგორც ვერ ასცდება მას ყოველი მკვლევარი, რომელიც მაგავე მათიანის (უტყუელად) „ზედ-მიწევნითი შესწავლით“ მოინდომებს ვახტანგის ქრონოლოგიის გარკვევას. მაგრამ იქნება ჩვენი ექვები მეტად პესსიმისტურია? მაშინ, გთხოვთ დაგვიხსნათ როგორმე!..

გ) ჩვენ განგებ შეფერდით ჩვენი მათიანის თქმულებაზე ზენონის შესახებ და კერძოდ ვახტანგის გარდაცვალების ამბავზე, რადგან, თუ თქვენ ჰირველს სრულებით არ იხსენიებთ (და ეს ასეც უნდა ყოფილიყო), სამაგიეროდ მეორეს დიდ ადგილს აძლევთ, წელიწადსაც-კი უძებნით და, როგორცა ვსთქვით, მაზე ჰკინძავთ დანარჩენ ქრონოლოგიას. და აი, რანაირად:

ვახტანგის მიცვალების წელს, რომლაც თქვენ 532 წელი მიგაჩნიათ, თქვენ გამოაკლებთ 60 წელს*), და ამ სახით ობეულობთ წელს ვახტანგის დაბადებისას, ე. ი. $532 - 60 = 472$ წ. — ამას იქით, რასაკვირველია, ძნელი აღარაა ვახტანგის გამეფებისა ($472 + 7$) და ოსეთზე ($472 + 16$) გინდ საბერძნეთზე ($472 + 22$) გალაშქრების ქრონოლოგიის გამოთვლა. მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ($472 + 22$) ჩვენ ერთი რამ ვერ გავვიგია, სახელდობრ: საბერძნეთზე გალაშქრების ფაქტს თქვენ ორ ხანად ჰყოფთ: მზადების დასაწყისს მიაწერთ 494

*) „დღეთა მიწევნილ იყო ვითარ სამეოცისა წლისსა (ვახტანგ)“. ქ.-ცხოვრ. გვ. 206.

წელს (472+22)*), ხოლო თვით გალაშქრებას-კი 499 წელს²⁾, ე. ი. მთელი 5 წლის ნახტომს აკეთებთ, ვერ გაგვიგია, რა საჭირო უნდა ყოფილიყო ეს 5 წლის მზადება მაშინ, როცა თვით მატთანედანვე სჩანს, რომ ყველაფერი უკვე მზად იყო, და მერეა მოხსენებულ ვახტანგის 22—წლოვნობა.³⁾—რაც შეეხება მეორე რიცხვს, 499-ს, და მის ანგარიშს, —განა ეს თქვენი თქმულის წინააღმდეგობა არაა: ზევით ამბობდით, რომ ვახტანგი 22 წლის მაშინ იყო, როცა მირიანისა და ქორონიკონი ყოფილა 157-ო,⁴⁾ და ახლა-კი, თქვენივე ანგარი-

*) ვახტანგი „22 წლის იყო მაშინ“, — თქვენი შენიშვნა (5); შეადარ. ქ.-ცხოვრება, კვ. 168. —

2) Ibid. ამ ადგილს მთლად ვიწერთ: «და მოუწერა მან (სპარსეთის ყაენმა „ჭურმიზდამ“ (?!) ვახტანგს) ბრძოლა კეისრისა, რამეთუ კეისარი ბრძოლად განსრულ იყო სპარსთა. მაშინ ვახტანგ აუწყა ყოველთა სპათა მისთა. და დაჴაჴა შემოკრბეს და დადგეს მტკვარსა იმიერ და ამიერ, ვითარ არას ათასო. და მოერთო ვარზ-ბაკურ.., ერისთავი რანისა, ბრძანებითა სპარსთა შეთვისათა, სპითა აღარბადაკანისათა: რანისა და მოვაკანისათა, ვითარ არას ათასითა მხედრითა: მას ჟამსა იყო ვახტანგ წლისა ოც-და-ორისა“ და სხ. ამასთანავე, როგორც შენიშნული გქნებათ, ეს ნაწივეტი, მთლად ამ § 4-ის ბოლომდე, Chronique Armenienne-შა არ მოიხილება (იხ. Addit. p. 37).

3) „მირიანისა და ქორონიკონი იყო 157 (342+157=499)“ — თქვენი შენიშვნა. იხ. „მოამბე“ III, კვ. 3. შენიშვ. მე-6. — შეადარ. იქვე კვ. 14.

4) განმეორებით მოგვყავს თქვენი სიტყვები: „ვახუშტს უურადლება არ მაუქცევია ამ 22 წლისათვის, როდესაც მირიანისა და ქორონიკონი ყოფილა 157“ და სხ. — „მოამბე“ კვ. 1.

შით, ისე გამოდის, თითქო ეს ქორონიკონი ყოფილი-
ყოს 499 წელს (342+157), ესე იგი, როცა ვახტან-
გის ხნოვანება ჟღერს 27.—წლამდე აღწევდა (499—472=
27). რომელი ანგარიში დავიჯეროთ: ის, რომ მირიან-
ნიდან 157 ქორონიკონს ვახტანგი 12 წლისა იყო,
თუ ის, რომ იგი ამავე ქორონიკონს 27-დე აღწევდა?!
გთხოვთ განგვიმარტოთ!

დ) „მოამბის“ მე-3 გვერდზედვე, საბერძნეთს გა-
ლაშქრების 499—წლის შემდეგ, თქვენ ასახელებთ „პირ-
ველ ომს სპარსელებთან“ და მის ქრონოლოგიას დას-
დებით 504 წელს (sic), ხოლო იქავე ბრჩხილებში უჩვენ-
ებთ იმას, თუ საიდან მიგიღიათ ეს რიცხვი: 491 (sic)+
3. ამ «სამის» მნიშვნელობაში-კი ვეთანხმებით (რამ-
დენადაც ვეთანხმებით „ქ.-ცხოვრებას“) ¹⁾, —ხოლო ეს
491-ი კი ველარ შეგვიგნია. უეჭველია, აქ ასოთ-ამ-
წყობის შეცდომა იქნება, და თქვენ, ალბად, ამ რიცხ-
ვის ნაცვლად 499 (ბერძნებთან ომის წელია) გნებავ-
დათ დაგესვათ, მაგრამ 504 (sic) წელს ვერც მაშინ მი-
ვიღებთ, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, 499+3 შე-
ადგენს არა 504, არამედ 502-ს, და ეს უფრო ახლოა კკუა-
ზე, რადგან, როგორც მსოფლიო ისტორიიდან ვიცით,
სწორედ ამ წელს აუტყდათ ბრძოლა სპარსებსა და ბერძ-
ნებს; და პირველთა ლაშქარი, კობადის წინამძღოლო-
ბით (რომელმაც ის-ის იყო მეორედ დაიჭირა მამა-პა-
პათა ტახტი 501 წ.), 502 წელს 23 აგვისტოს პირვე-

¹⁾ „ქ.-ცხოვრება“ გვ. 186. „ხოლო სპარსთა შედეგ შემ-
დგომად სამისა წლისა, წარმოემართა ბრძოლად ვახტან-
გისა“.

ლად შემოვიდა სომხეთში¹⁾. ეს ომი გაგრძელდა სრული სამი წელი და დაბოლოვდა ზავით 505 წელს აბრღილში.²⁾ თქვენ-კი გვარწმუნებთ („მოამბე“ III, გვ. 3), ვითომც ეს „ზავი ქართველთა და სპარს-ბერძენთა შორის 504 წელს“ მომხდარიყოს. გთხოვთ აგვიხსნათ, როდის „შემოგვესიენ“ სპარსელები: „491+3“ წელს, 499+3 წელს, თუ 504-ს? და თუ ამ უკანასკნელ წელს შემოგვესიენ (როგორც თქვენ ამბობთ), მაშინ ზავი როდის-ღა მოხდა: იმავე წელს (როგორც თქვენ უჩვენებთ),³⁾ თუ 505 წელს, როგორც მსოფლიო ისტორია გვეუბნება?!

ე) რაც შეეხება ვახტანგის მიერ ჩვენში კათალიკოსობის დაარსების ქრონოლოგიას, — ამაზე ხომ დაუსრულებლად შეგვიძლია ვილაპარაკოთ. მაგრამ აქ ჩვენ მხოლოდ უმთავრეს პუნქტებს აღვნიშნავთ. ა) ჯერ ერთია და, სექტობრ მიგვანია თვით თქვენი ანგარიში: $504+8=512$.⁴⁾ წინა რიცხვზე აღარათურს ვიტყვი; მეორეზე (8) კი უნდა შევნიშნოდ, რომ იგი თვით „ქ.-ცხოვრე-

¹⁾ Lebeau. Histoire du Bas-Empire. t. VII, p. 342.

²⁾ Ibid. p. 379. —

³⁾ „ეს (ზავი) იყო სპარსთ შემოსევის წელს (ქ.-ცხ., გვ. 137)“, — თქვენი შენიშვნა: „მოამბე“ გვ. მე-3, შენიშვ. მე-9.

⁴⁾ „ვახტანგის დაბრუნება და კათალიკოსის განწესება 512 წ. (504+8). — რვა წელიწადი დაჰყო ჭინდოეთის“ ომში და დაბრუნების წელიწადს განაწესა კათალიკოსი“. იხ. „მოამბე“ III, გვ. 4 და შენიშვ. მე-11. —

ბაშივე“ (საიდანაც ამოღებულია), ¹⁾ როგორც ზევით შევნიშნეთ, ისეთ გაურკვეველ ფრაზაშია გახვეული, რომ კაცს ძალა-უნებურად აფიქრებიებს: ამ 8 წელს მას შემდეგ ხომ არ გაუვლია კიდევ, რაც ვახტანგ, ინდოეთ-სინდეთ-აბაშეთში რომ-გადახდილი, კვლავ შემოვიდა „სპარსეთადვე?“ ან უკეთ ეს მარშრუტი ასე შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა: „იერუსალიმიდან“ სპარსეთზე („ბაღდადზე“) გავლით, ვახტანგი ჯერ შევიდა ინდოეთს, სადაც დაჰყო 3 წელი, მერე მოილაშქრა სინდეთს (აქაც 4 წელი დაჰყო) და შეესია რა აბაშეთს, --- „შევიდა სპარსეთადვე“; აქ დაჰყო მან კიდევ 8 წელიწადი და მერე „მოვიდა... წელსა მერვესა შესვლით მისითგან სპარსეთადვე, ანტიოქიამდე და... ურაჰად“; ან კიდევ: სინდეთიდან ვახტანგ პირდაპირ შევიდა „სპარსეთადვე“, მერე გაილაშქრა «აბაშეთზე» (კარგად არ ვიცით, აქ რომელ აბაშეთზეა ლაპარაკი), სადაც ომს, ადგილ-მდებარეობის ²⁾ საქმელას გამო, 8 წელიწადი მოუხდა, და შემდგომ, იქიდან გამობრუნებული, „მოვიდა ვახტანგ მეფე... ანტიოქიამდე, და მოვიდა ურაჰად“. ყოველ შემთხვევაში, ეს ადგილი ამგვარი თარგმანისათვის საკმაო საბუთებს იძლევა, და თუ ეს თარგმანი რამდენადმე მაინც შესაწყნარებელი იქნა, მაშინ ხომ აღმოჩნდება, რომ ვახტანგ ინდოეთიდან შინ და-

1) გვ. 202: «და ვითარ მოვიდა ვახტანგ მეფე, წელსა მერვესა შესვლით მისითგან სპარსეთადვე, ანტიოქიამდე, და მოვიდა ურაჰად». — სასვენნი ნიშნები დედნისა. —

2) იხ. „ქ.-ცხოვრ.“ გვ. 201. მოიკონეთ, რომ ბერძნებთან სამრად მზადებას თქვენ 5 წელი მთანდომეთ (იხ. (ზემოთ)). —

ბრუნებულა (და მაშასადამე კათალიკოზობაც დაუარსებია) არა. 512 წელს, არამედ $504 + (3 + 4 + 8) = 519$, ესე იგი თითქმის მე-VI საუკუნის 20-ან წლებში; — ხ) მაგრამ, ვსთქვათ რომ ეს წვრილმანია და ყურადღებადაც არა ღირს; ¹⁾ დავთანხმდეთ დროებით, რომ ვახტანგი „ინდოეთიდან“ 512 წელს დაბრუნდა საქართველოში და ამავე წელს დააფუძნა კათალიკოზობა, — მაგრამ შეიძლება-კი ამის დასაბუთებლად „ქართლის მოქცევის“ შემდეგი სიტყვები მოვიყვანოთ (როგორც თქვენა ნებულობთ): „და ესე (ე. ი. პეტრე კათალიკოზის განწესება) იყო ქართლის მოქცევიოგან: რა: წელსა?“ ²⁾ ქრონიკონი: «რო» ხომ = 170 — წელს. და თუ ახლა ამ რიცხვს ქართლის მოქცევის წელს (325) ³⁾ მივუმატებთ, მაშინ მივიღებთ $(325 + 170) = 495$ წელს და არა 512-ს. მართალია, ქართლის მოქცევის ნაცვლად თქვენ მირიანის

¹⁾ ამასთანავე სიმატაღეც მოითხოვს შევნიშნათ, რომ ბრასეც, მგონია, ამ ადგილს ისე უნდა თარგმნიდეს, როგორც თქვენ (შეად. Hist. de la G. I, p. 190: „la huitième année après son départ.“); Chronique Armenienne-ში-კი იგი სულაც არ მოიხილება; სამაგიეროდ აქ ნახვენებია ერთი საეურაღდებო გარემოება, სახელდობრ: ვახტანგის ეოფნა ინდოეთსა და სინდეთში ერთად ოთხი წლითა ადნიშნული, „ქ.-ცხვრების“ 7 წლის მაგიერ. (Addit., p.: „ils étaient réstrés quatre ans dans l'Inde et dans le Sindeth“). —

²⁾ თ. ჟორდანიას „ქრონიკები“ I, გვ. 49. —

³⁾ იქვე გვ. 29—30, შენიშვნა 62. — აქ მირიანის მოქცევა ადნიშნულია 323 თუ 324 წელს, ხოლო მისი დაკრის მონათვლა 325 წელს. —

მიწვევების (342) წელს ანგარიშობთ, შავრამ ვერ ვაგვი-
გია, თუ რაზედ ამყარებთ თქვენ ამგვარს თავისუფალ-
და ალღეგორიულ თარგმანს მატიანის გულ-უბრყვი-
ლო სიტყვებისას? იმეღია, ამასაც აგვიხსნით. — c) რაც
შეეხება, კერძოდ, ჩვენ მიერ ნაჩვენებ ქრონოლოგიას
კათალიკოზობის დაარსებისას, ესე იგი (325+170=)
495 წელს, ¹⁾ — ჩვენი ფიქრით ეს უფრო სარწმუნო ან-
გარიშს უნდა წარმოადგენდეს, რადგან ეს წელი, ისე
როგორც მისი ორი წინა წლები, სწორედ იმ ხანას
ეკუთვნიან, როდესაც, ყოვლად-სამღვდელო პორფირი-
უსპენსკის ანგარიშით, ანტიოქიაში მამათ-მთავრობდა
პეტრე კნათე, მაგრამ ეს პეტრე I კნათე (მწვალაბელო
და ანტი-პატრიარქი) კი არაა, არამედ პეტრე II კნა-
თე — „სხვა, წმიდა“ (иной святой), ²⁾ — და, აი, სწო-
რედ ამ პეტრეზე უნდა შენიშნავდეს თეოდორე ბალ-

¹⁾ ეს დრო უკვე გამოყვანილი აქვს თვით „ქრწნიკები-
საუე“ ავტორს. იხ. „ქრწნიკები“ გვ. 49, შენიშვნა 101.
ჩვენის ანგარიშით (325+170=) 495 წ. — ხოლო თუ
უფრო გავაფართოვებთ, მაშინ შეიძლება ასე ვიანგარიშოთ
323 ან 325+170=493 ან 495; ერთი სიტყვით, ამ დრო
წელს შუა: 493—495. —

²⁾ Порфирій ен. Чигвинскій, Востокъ Христіан-
скій. Сирія. Сиперскъ Антіохійскихъ патріарховъ. Кіевъ
1876 г. стр. 55: „Петръ II Кнафей, иной, святой,
3 года, отъ 493—495 годъ.“ — ხოლო პეტრე I კნათე-კე-
+490 წელს (იხ. იქვე, стр. 50: «Петръ Кнафей анти-
патріархъ, онъ же и Фулонъ и Ассаръ, еретикъ». შე-
ადარ. Θ. Кургановъ, Отношенія междъ н. в. г. вл. въ
Виз. Имперіи, стр. 218: «Петръ Кнафей умеръ 490 г.»). —

ზამონი, როცა ამბობს: ¹⁾ „იტყვიან, რომ უწმინდესის ანტიოქიის პატრიარქის პეტრეს დროს მოხდაო კრების განაჩენი, რომელმაც დაასკვნაო, რომ იბერიის ეკლესიას თავისუფლება და თავით-მმართველობა მიენიჭოსო, ანტიოქიის პატრიარქის მოძღვრების ხელ-ქვეშედ“.

ვ) უკანასკნელ, ერთი შენიშვნაც „აფხაზთა ცხოვრების“ შესახებ, და ჩვენი საუბარიც გათავდება, თქვენ მოგყავსთ ამ „ცხოვრების“ (აფხაზთ მეფეთა ქრონიკის) ის ნაწყვეტი, რომელიც თ. ჟორდანიას „ქრონიკებშია“ დაბეჭდილი, სახელდობრ: „ქ-კსა: რნე: დასაბამით-გან: სფელთ: ვასტანკ გორკასელი მიიცვალა:“ („ქრონიკები“ I, 50), და გსურსთ ამ „რნე“ და „ხფლთ“ ანით შეამაგროთ თქვენი მოსაზრება ვახტანგის მიცვალების შესახებ, ნ. შ. ველს. თქვენ ამბობთ: „ესეც სწორია“-ო და შემდეგ მოგყავსთ ვითომ ამ ქორონიკონების ახსნა, რომელიც კი არა ხსნის, უფრო აბნელებს მათს ნამდ-

¹⁾ იხ. Brosset, Hist. de la G. I, p. 192, n. 2. შედარეთ: დ. ზ. ბაქრაძე, ვახუშტი. საქართველოს ისტორია. 1885 წ. გვ. 101, შენიშვნა 2 ბოლო (მე-103 გვერდზე). — შართალია, ამ ექვსიოდე წლის წინადა (1894 წ.) მამა კ. ცინცაძემ, თავის სტატიაში: Автокефалия церкви Грузинской Палестинской Сиріеები ცოტა სწავსაირად გაიკო და სხვა ეპოქას მიაწერს, სახელდობრ ანტიოქიის პატრიარქის პეტრე III-ის ხსნას (იხ. „Настырн“ 1894 г. № 7), მაგრამ არც კილო ამ ფრაზის (იტყვიანო), ე. ი. ძველის-ძველ ამბავს მოუვითხრობს და არა „ახლოს“, როგორც მამა ცინცაძე ფიქრობს. პალესტინის მამათ-მთავრობდა ანტიოქიაში 1186—1203 წ., ხოლო პეტრე III 1053—1094), და განსაკუთრებით, არც მისი უკანასკნელი სიტყვები (ანტიოქიის პატ-

ფხლ მნიშვნელობას. აი თქვენი სათვალავი (იხ. „მოამბე“ გვ. 4): „ა) ქორონიკონი რხე (155) ქრისტესით = 780 — 248 = 532 წ. და ბ) ქორონიკონი სულთ (6539) დასაბამიდან = 6539 — (5604 + 248 + 155) = 532 წ.“ — მაგრამ აქ ორივე მუხლს (ა, ბ) განცვიფრებაში მოვყავართ: მაგალითად, ვერ გაგვიგია საიდან გაჩნდა პირველ მუხლში რიცხვი 248, რომელსაც თქვენ 780-იდან აკლებთ. ნუ თუ იგი იმ წლის მაჩვენებელია ქრისტეს შემდეგ (248), როცა მე-XI მოქცევა დასრულდა და მე-XII დაიწყო, რომელიც, თავის მხრივ, დასრულდა 780 წელს. მაგრამ, აქ რომ ერთი (248) მეორეს (780-ს) გამოვაკლოთ, მაშინ ხომ ერთ სრულ ხუთასიან (532-ან) მოქცევას მივიღებთ და არა ვახტანგის მიცვალების წელიწადს, ე. ი. არა «რხე» ქორონიკონს (თუ-კი ეს ქორონიკონი მართლაც ვახტანგის მიცვალებისაა), ისე როგორც ვერ მივიღებთ მას მაშინ, როცა 1312 წლიდან

რიახის მოძღვრების ხელ-ქვეშედ“) ნებას არ გვაძლევს საესებიტ დავეთანხმეთ მამა კ. ცინცაძეს, რადგან ვერ გავიგია: თუ მე-V საუკუნიდან ჩვენი ეპიკლესია უკვე სტდილობდა ავტოკეფალობას (ამას მამა ცინცაძეც არ უარჰყოფს), და მე-VIII საუკუნეში (თეოფილაქტეს დროს) უკვე მიიღო იგი, რასაც მ. კალისტრატეც ეთანხმება, მაშ მე-XI საუკუნეში რაღა ავტოკეფალობა უნდა მიეღო გიდეგ მას და ისიც არა სრული, არამედ იკეთავე, როგორც მე-VIII საუკუნეში ჰქონდა უკვე მიღებული, ე. ი. „ხელ-ქვეითი“?! — რაც შეესება თქვენს სიტყვებს, ვითომც ჩვენში კათოლიკობის დაარსება იმავე ჰეტრე I კნათეს დროს მომხდარიყოს (თქვენ ბრძესეუ გვითითებთ, ამას-კი სახეში ჰეტრე I კნათე ჰყავს, რადგან მას უკანასკნელ ჰატრიახობას იგი 485 — 488 წელს უჩვენებს,

(მე-XIII მოქცევის დასასრულია) 780-ცს გამოვაკლებთ; თუმცა განსხვავება ამ შემთხვევაშიაც 532-ით გამოიხატება. — ან კიდევ, რა საჭიროა ამდენი ჯვრები და ნიშნები თქვენი ნაანგარიშების მეორე (ბ) მუხლში? ქორონიკონის „ხელთ“ (6539)-ის გამოსაანგარიშებლად ხომ საკმაოა 6539-ს გამოვაკლოთ 5604-ი და, რასაც მივიღებთ, ის უნდა ჩავთვალოთ წლის მაჩვენებლად, ე. ი. მივიღებთ (6539—5604=) 935 წელს, რომელიც უდრის სწორედ 155 ქორონიკონს, მხოლოდ არა მე-XII მოქცევისას, არამედ XIII-ისას, სახელდობრ: $780 + 155 = 945$. — უეჭველია, აქ ვახტანგის სიკვდილის ქრონოლოგია არ უნდა იყოს ნაჩვენები, თორემ არც ასე მწარედ აირვეოდა. ამ არეულობას კარგად ჰგრძნობდა, როგორც სჩანს, „ქრონიკების“ ავტორიც, როცა თავის თხზულების მე-51 გვერდზე (იხ. «ქრონიკები» I, 51, შენიშვნა X*) იმდენ ციფრებს ალევს

მაშინ კი სწორედ ეს პეტრე-პატრიარხობდა. Hist. de la G. I p. 192, n. 2), — ეს როგორღაც ვერ შეესაბამება თქვენ მაერვე დასახელებულ ფაქტებს და კერძოდ 512-ს წელს. პეტრე I კნათე კათედრიდან ჩამოაგდეს 489 (+490) და მას შემდეგ 512 წლამდე ანტიოქიის კათედრაზე გამოიცვალა პეტრე ოთხი პატრიარქი (კალჯანდიონი 489—492, პეტრე II კნათე 493—495, ზალაღი 496—505, ფლამბიანე 506—512, რომელსაც ერეტიკოსობას სწამებენ), ხოლო 512 წელს ავიდა კათედრაზე მწვალებელი და ანტიპატრიარქი სევერი (512—520). (იხ. Вост. христ. და Θ. Кургановъ. От-пощ. გვ. 238 და 257). თუ თქვენს ანგარიშს დაუეჭვებთ, სჩანს ჩვენში ავტოკეფალობა ერეტიკოსს პატრიარქს შემოუღია?!

ამ მარტლა და უაზრო ფრაზას, მაგრამ—ამოდ: არა-
რაღისგან, აბა, რა უნდა გამოვიდეს?!...

მაგრამ იქნება ჩვენ ვსცდებოდეთ, შეიძლება თქვენ
განსაკუთრებული მეთოდი გქონდესთ ქორონიკონთა
კვლევა-ძიებისა! — მაშინ, იმედია, თქვენს დასკვნებსაც
უფრო მტკიცე არგუმენტებით შეამაგრებთ, — და ჩვენი
შენიშვნების მიზანიც სწორედ ეს იყო!

თქვენი შორეული მოწათე,
სერგო გორგაძე.



ისტორია

ქართულ გაზეთების და ჟურნალების გამოცემისა.

1817—1900 წ.

(გაგრძელება*)

ს. დოდაშვილს გაზეთის საქმე კარგად მისდიოდა. სალიტერატურო ნაწილისთვის მან კერძოდ ჟურნალის დაარსება ისურვა. 1831 წ. ამისთვის ნება-რთვაც აიღო და 1832 წლის იანვრიდან იწყო რბ-კვირეულ წიგნაკ-ჟურნალის გამოცემაც, ამავე სახელწოდებით, რაც გაზეთს ეწერა, დამატებასაუიო, ხოლო წიგნად; თითო წიგნის ზომა 64 გვ. 80 გვერდამდე შეიცავდა. საუბედუროდ, ამ ჟურნალის სულ ოთხი წიგნი გამოვიდა. 1832 წ. იგი დახურულ იქმნა გაზეთთან ერთად და მისი რედაქტორი ს. დოდაშვილიც რუსეთში იქმნა გაგზავნილი 1832 წ. „შეთქმის“ გამო. ამ „შეთქმის“ მეთაურობა სხვათა შორის ს. დოდაშვილს დაჰბრალდა.

*) იხ. „კრებუდი“ № II 1900 წ.

აი თვით ჟურნალის ზედაპირის წარწერაც, რომელიც მოგვყავს აქ:

ტფილისის უწყება

სალიტერატურო ნაწილი

№ 3 ქ. ტფილისი 1832 წელს.

ამ ნომრის 72 გვერდია. აქ მოთავსებულია შემდეგი 1) ლექსად „მოწოდება ივერთა მამულის დაცვისათვის დრესა სხარსთა შემოსულისსა საქართველოს სამსდგართა შინა. დ. ჯ. თ. გიორგი ერისთავისა. 2) ირაკლის მეორეს მეუობიადამ.—ისა. 3) ჰაქმა „ესური მოთხრობა“ უცნობისა. 4) კრიტიკა ს. დოდაშვილისა, შენიშვნად დამარხვისსა წესსა ზედა უკანასკნელ მეუეთა ზედა საქართველოსათა, რომელიცა დაბეჭდილი იყო ზირეულსა ნომერსა შინა რუსულთა გაზეთისა 1832 ამას წელს“.

ამ შინაარსიდან მკითხველი მიხვდება, რომ ს. დოდაშვილს მაშინავე შეუგნია თავის მოქმედების მოვალეობა, თავის ასპარეზის ვითარება. აბა დავაკვირდეთ 1832 წ. და თან ამ განყოფილებას, მაშინ ჩვენ ეს დიდ საოცრადაც დაგვიშთება, ასე კარგად, ასე კანონიერ წესდებურად თავის მოვალეობა თვით დღევანდელ ქართველსაც-კი არ ესმის. დღეს ხშირად უარჰყოფენ მას, რაც ჩვენის პაპებისაგან უკვე ბრძნულად გამორკვეულა. ს. დოდაშვილს გაზეთისათვისაც სცოდნია ამბების შერჩევა, ამას ზემოდ მოყვანილის ცნობებითაც დარწმუნდებით. მისდა საუბედუროდ ს. დოდაშვილს მხოლოდ ქართული ენა არ უვარგოდა. ესეც

ძველ სამღრთო წერილის ენის კილოს გავლენის ქვეშ მყოფი აღმოსჩნდა, რაც, ცხადი საქმეა, თვით გამოცემასაც მძიმე მისწრაფებას მისცემდა. ეს ასეც ყოფილა. სოლომონ დოდაშვილის გარდასახლებით მოისპო ორივე გამოცემა და მის შემდეგ ქართველთაგან აღარავის უფიქრნია რამე დრო-გამოშვებით გამოცემის მოსახერხებლად... საქმე და სავალალო ის გახლდათ, რომ ბოლოს მოღებით შეჩერდა დიდის ხნით ქართულს ენაზე რაიმეს გამოცემა. ეს მოხდა სწორედ იმ დროს, როდესაც თფილისში მცხოვრებ თავად-აზნაურებმა მამულების ფანტვა ხურმის ფასად იწყეს. როცა მთელი თფილისის ქართველთ მამულებმა სომხების ხელში იწყო გადასვლა. ამ დროს, ქართველთათვის საჭირო იყო კარგი რამ დრო-გამოცემა, აღმნიშვნელად ყველა ჩვენის მაშინდელის უბედურებისა; მაგრამ ეს ასე არ მოხდა, მთელი ერი და ქვეყანა ჩუმმა საიდუმლოებამ მოიცვა. ქართველთ შიშის ზარმა ისე დაუარა, რომ არამც თუ რამე გამოცემის მოხერხება, არამედ სახლში შვილებს ქართულ ენასაც-კი უკრძალავდენ... ასე და ამ ვერად მისწყდა ქართველებში გაზეთის და წიგნების გამოცემაც-კი...

შავმან და ბნელმან წუთებმა ნელ-ნელა იწყეს ფრენა, ქართველნი ღრმა ძილს მიეცნენ. ამასობაში მოახლოვდა 1845 წ. მალე ახალ მთავარ-მართველად ვარანცოვი დაინიშნა. ეს მალეც მოვიდა. 1846 წ. თფილისში, პ. იოსელიანმა კვირის რუსული გაზეთის „ზაკვკაჰკი ვესტნიკის“ გამოცემა იწყო; ამავე გაზეთის გამოცემის დროს მთავრობის გაზეთი „კავკაზიც“ დაარსდა. საქართველოში პირველი რუსული გაზეთი 1831 წ. დაარსდა; ეს სულ ორ წელს არსებობდა და მეორე

და მესამე რუსული გაზეთი-კი 1846 წ. ამ გაზეთებში იბეჭდებოდა მთავრობის განცხადებანიც, მაგრამ მაშინ რუსულის კითხვ ჩვენს ხალხში ზევრმა არავინ იცოდა. ამიტომ 1846 წ. ქართულს ენაზე იწყეს ქართულის გაზეთის „კავკასის“ გამოცემა. ამ გამოცემაში იბეჭდებოდა ოფიციალური განცხადებანი რუსულის „კავკასის“. ქართულ განცხადების ბეჭდვამ 1850 წლამდე გასტანა. განცხადებებს ხან პ. იოსელიანი სთარგმნიდა, ხან ფალავანდოვი. ამ განცხადების ერთი ნომერი ენახეთ ჩვენც. პატარა ზომისა არის, ერთ საწერ თაბხიან ქალაღღზე დაწერილი. ეს ქართული „კავკასი“-ც ისევე კვირაში ერთხელ გამოდიოდა, როგორც რუსული გამოცემა. 1850 წლებში, პეტერბურგში მცხოვრებთ ქართველთ შორის ასტყდა საუბარი ქართულს ენაზე რაიმე საღორტერატურო გამოცემის დასაარსებლად. მალე გარდასწყვიტეს და ისურვეს პეტერბურგს თვიურ ჟურნალის გამოცემა, რომელსაც სახელად „არე“ უნდა სწოდებოდა. ერთს და იმავე დროს, ქართულ ჟურნალის გამოცემისთვის თფილისშიაც ზრუნავდენ და პეტერბურგშიაც... თფილისში ზრუნავდენ „ცისკრის“ გამოსაცემად. ჟურნალ «ცისკრის» გამოცემის შესახებ აი რა მიაბზო ვახ. ორბელიანი:

ვარანცოვმა ირწმუნა ჩვენი მუღარება, უმაღლეს მთავრობასთან მეცადინეობა დაიწყო, 1851 წლის ბოლოს გ. ერისთავმა უკვე „ცისკრის“ გამოცემის ნებართვა მიიღო. ამისთვის მას ვარანცოვისაგან საბეჭდი სტამბაც ეჩუქა და წელიწადში 500 მან. დახმარებაც დაენიშნა. გ. ერისთავმა „ცისკარი“ სულ ორ წელს გამოსცა. 1854 წლის პირველიდან აღარ გამოიცა, მოისპო. გ. ერისთავმა უხეიროდ დაიწყო «ცისკრის» ბეჭდ-

ვა. ჟურნალი თავის დროის კვალიად არ გამოდიოდა. ჟურნალს თავზე ასე აწერია: „ცისკარი“ „სალიტერატურა ჟურნალი“. ვორონცოვის შემდეგ, 1854 წლიდან ახლის მთავარ-მართებლის ბრძანებით „ცისკარს“ დახმარება მოესპო, ამიტომ „ცისკარიც“ უცხად დაიხურა...

„ცისკარს“ დახურვის შემდეგ ქართველთ შორის გაჩნდნენ ისეთი პირები, რომელთაც გულ მტკივნეულობით დაიწყეს საუბარი ქართული რამე გამოცემის დაარსების შესახებ. საუბარი: ატყდა, ზოგმა სთქვა: — „ცისკარი“ განვაახლოთო, ზოგმა, ახალი რამ გამოვსცეთო, ზოგმა სთქვა: — „ვაი თუ ახლის ნებართვა არ მოგვცენ, ამიტომ ისევ „ცისკარს“ განახლება ვითხოვოთო. მხოლოდ პროგრამა შეუცვალოთო“. ივ. კერესელიძემ მიამბო: „პროგრამა დინიტრი, ყიფიანმა შეადგინა და პირველ კრების შემდეგ წარმოადგინა და წაიკითხაო. პროგრამა კარგად იყო შედგენილიო. მაგრამ ბევრმა ეჭვი განაცხადეს, ვაი თუ ასეთის პროგრამით გამოცემის ნება არ მოგვცენო. სამეცნიერო ნაწილი შევათმოკლეთ, ძველმეტურის გამოცემის პროგრამის კვალიად დავსწერეთ ახალი პროგრამა და მივართვით მთავარ-მართებელსო, რედაქტორად მე ვიყავ დასახელებულიო. „ცისკარის“ განახლების ნება-რთვა ივ. კერესელიძემ 1856 წ. მიიღო და 1857 წ. პირველ იანვრიდან გამოცემაც იწყო. გამოცემის საქმეში დიდად ეხმარებოდა ალ. ორბელიანი. რედაქცია რადგანაც ღარიბი იყო, ამიტომ იგი მოთავსებულ იქმნა ალ. ორბელიანის სახლში. „ცისკარმა“ გ. ერისთვის გამოცემაზე უკეთესად იწყო გამოხვლა. ჟურნალის ასეთი წარმატება გ. ერისთვის ძლიერ ეწყინა, ივ. კერესელიძეს ხელის შეშლა დაუწყო. ნისიად მიყიდული სტამბა დაუკეტა! ივ. კე-

რესელიძემ მწუხარებით გარდმომცა, რომ 300 მ. გულისთვის ჟურნალი გამიჭერაო. მე მაშინ გემნაზიაში „ნაღზირატლად“ ვიყავიო. ერთს საღამოს კარი ვიღამაც დამიკაკუნა, გავაღე კარი თუ არა, ერთმა კაცმა წერილი მომცაო, ეს ამა და ამ კაცმა გამოგიგზავნათ, თვით კი წავიდაო. გავხსენი წერილი, შიგ 300 მ. იღო შემდეგის წერილითო: „ივან ივანიჩ! თქვენი ერთად ერთ ქართულ ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემას მე ისეთის თანაგრძნობით ვუმსერ, რომ ამ 300 მ. გიგზავნი, რათა ამით სტამბა დაიხსნათ და „ცისკარი“ ჰბეჭდოთ“. მეორე დღეს სტამბა გავანთავისუფლე და „ცისკრის“ გამოცემა დავიწყეო. ეს გარემოება ისე ეწყინა გ. ერისთავს, რომ მან «ცისკარში» თავის სიკვდილამდე ერთი პწკარიც არ დაჰბეჭდაო... ვიდრე „ცისკარს“ გამოვსცემდით, მინამდის ალ. ორბელიანი ენით ქადაგებდა და 1856 წ. თფილისში პატარა ქართული წიგნიც დაჰბეჭდა, სადაც „ცისკრის“ გამოცემის შესახებ საუბრობს და ხალხს ურჩევს, რომ ამ კეთილ საქმესხელი შეუწყვეთო. 1857 წ. „ცისკარმა“ 1875 წლის ნახევრამდის გასტანა. იგი ისეთ დროს მოისპო, როცა ქართულსენაზე ერთ გაზეთ «დრეკების» მეტი სხვა არაფერი არსებობდა.

„ცისკრის“ გამოცემამ ქართველთ ცხადად ამცნია, რომ მათთვის დიდ საჭიროებას შეადგენდა სამეურნეო გაზეთის გამოცემაც. 1860 წ. უკვე გადასწყვიტეს „ცისკართან“ ერთად სამეურნეო გაზეთის „გუთნის-დედის“ გამოცემა. რედაქტორობა ივ. კერესელიძემ იკისრა. თხოვნა მალე მიართვეს სადაც ჯერ-იყო, მთავრობამ თხოვნა შეიწყნარა. 1862 წლიდან თფილისში უკვე იწყო «გუთნის-დედამ» გამოსვლა. ორ კვირაში ერთხელ

გამოდროდა, შიგ ყოველთვის სამეურნეო წერილები იბეჭდებოდა. ასეთის წერილების წერით კარგი შრომა დასდო იოსებ მამაცაშვილმა, სამეურნეო სწავლის მცოდნემ და მწერალმა. „გუთნის-დედამ“ 1867 წლამდე გასტანა. 1868 წ. აღარ გამოვიდა. შემდეგ ეს გამოცემა განაახლა ანტონ ფურცელაძემ და 1875—76 წ. ჰბეჭდა კვირაში ერთხელ. ამ დროის გამოცემა მეტად საყურადღებოა, მასში ბევრი ძვირფასი წერილები იბეჭდა. „გუთნის-დედა“ საყოველთაოდ მოისპო 1876 წლის შემდეგ. დღეს ამ გაზეთის ნომრების მოპოვება ერთობ იშვიათია.

1860 წ. „ცხაკაძეში“ თანამშრომლები ორ წრედს ორ დასად გაიყვნენ. ამ ორ წრეთა მეთაურებად ითვლებოდნენ აკაკი, ილ. ჭავჭავაძე, ანტ. ფურცელაძე და რამდენიმეც სხვა პირნი. ილ. ჭავჭავაძემ „ცისკარში“ წერას და წერილების ბეჭდვას კარგის თვალით არ შეხედა, მას სხვებიც ბევრნი უმზერდნენ ასე. ამიტომ ილ. ჭავჭავაძემ საკუთარის ჟურნალის გამოცემა ინატრა. 1862 წ. ბოლოს ჟაკე მიილო ნებართვა და 1863 წ. პირველ იანვრიდან, თბილისში იწყო თვიურ ჟურნალ „საქართველოს მთაწმის“ გამოცემა; რედაქტორად თვით ილ. ჭავჭავაძე იქმნა დამტკიცებულნი. ამ ჟურნალსა და ცისკარს შორის პოლემიკა ატყდა. „ცისკარის“ უმთავრეს პოლემიზატორად ანტონ ფურცელაძე გამოვიდა და „საქართველოს მთაწმის“ მხრივ თვით რედაქტორი. ერთნი მეორეს მიმართულებას უწუნებდნენ. აკაკი „ცისკარში“ შრომობდა. ამ საკამათო ბრძოლის ნიადაგის განმტკიცებას ერთის მხრით ის გარემოებაც დაეხმარა, რომ „საქართველოს მთაწმის“ წინეთ „ცისკარში“ აღმოსაჩნდნენ ზოგიერთი, ისეთი ახალგაზრდა მწერლები, რომელთა

ნაშრომიც ზოგიერთ უხუცესს მწერლებს არ მოსწონდათ. ამ არ მოწონებას იმაზე ამყარებდენ, რომ ეს არ მოსაწონი ყმაწვილები „რუსეთუმიკები“ არიან, თერგის წყალი დაუღვეიათ და მით სხვა სულის მექონ გმირებად შექმნილანო. ამ შეხედულებამ დაბადა ქართველებში „თერგ-დაღუელები“-ს ხანა, რომელთაც 1862 წ. შემდეგ თვალ-საჩინოდ იჩინეს თავი, მათის მეოხებით რამოდენიმე კარგი კითხვებიც განიმარტა, თუ „ცისკარში“ და თუ „საქართველს მოამბეში“.

„საქართველს მოამბე“ წლის გასულს დაიხურა. 1864 წლიდამ იგი აღარ გამოსულა. ილ. ჭავჭავაძის ყველა საუკეთესო ნაწერები სულ ამ გამოცემაში დაისტამბენ, მაგალითებრ: „კაცია-ადამიანი, გჯასის ნამბობი, ანდილი, კაკო უჩაღი“ და ზოგიც სხვები. გამოცემა წელიწადში 10 მან. ღირდა. ზომით „ცისკარზე“ უფრო სრული იყო, დღევანდელის „მოამბის“ ზომის და გარეგნობითაც მისი ფერი ედო. ამ ჟურნალის დახურვის შემდეგ ქართველთათვის დაშთა მარტოდ „ცისკარი“ და მისი დამატება «გუთნის-დედა». „მოამბის“ ზოგმა მწერლებმა ისევ „ცისკარში“ იწყეს წერა. უნდა ითქვას, რომ ვინცკი 1860—70 წლებში, ქართულ მწერლობაში სახელი განითქვეს და თავი იჩინეს, ყველამ მათ „ცისკარში“ იწყეს წერა. ეს ჟურნალი და ივ. კერესელიძე გახდა მათ წამხალისებლად, ამან აადებინა ყველას კალამი. პირველად აქ დაიწყეს წერა, აკაკიმ, ილ. ჭავჭავაძემ, გ. წერეთელმა, ანტ. ფურცელაძემ, ნ. ნიკოლაძემ და ბევრმაც სხვებმა, რომელთაც შემდეგ დაამშვენეს ქართული მწერლობა. 1860 წლის შემდეგ ქართველთ შორის არამც თუ მარტოდ ნასწავლი ქართველნი მიეცნენ გონებრივ წარმატებას და წინ-სვლას, არამედ ეს მთე-

ლის ქართველობის მცირე ნაწილმაც შეიგნო, განურჩევლად წოდებისა. ასეთია მაგალითებრ ქართველთ სამღვდელოთა გარემოება იმ დროში. მაშინდელ ქართველ სამღვდელოებამ ქართულს ენაზე სასულიერო ჟურნალის გამოცემა ისურვა; ეს მათ მალეც მოახერხეს და 1864 წლის ნახევრიდან, თბილისში, გ. ხელიძის რედაქტორობით იწყო გამოსვლა «საქართველოს სასულიერო მასწავლებელს». თვითურად, რუსულის დამატებით, წელიწადში 6 მან. ღირდა. გამოცემა ვერ მიდიოდა თავის დროის შესაფერად. ორიოდ საქართველოს ისტორიულს მასალებს გარდა ჩვენ იქ სხვას ვერას ვხედავთ ღირსეულს ორი-სამი წერილიც პ. იოსელიანი-სა არის მოთავსებული, ისიც რუსულს ენაზე, რუსულს განყოფილებაში. საუბედუროდ უფერულად დაბადებული „სასულიერო მახარებელი“ უფერულადვე მოისპოა 1866 წ. ნახევარს, ე. ი. სულ ორ წელიწადს იღვგრძელა. კარგს, მხნეს და ქართველ მამულის შვილს მღვდელს-კი შეეძლებოდა მის გამოცემა, წინ გაძლოა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა!

როგორც ვსთქვით ზემოდ, ქართველთ შორის წარმატების ნიშანმა ყველგან იჩინა თავი, ყველა ნაწილს დაემჩნა ეს; აქ ამ დროს, რუსედიდამ განათლებული ქართველნიც გამოჩნდნენ, მცირედ 1860 წლების სხივმაც დაჰბერა; მას თან მოჰყვა სხვა-და-სხვა რეფორმებიც. საქართველოში ბატონ-ყმობის გადავარდნის ამბავმაც მოაღწია. 1864 წ. იგი გადავარდა. ავად თუ კარგად ამ გარემოებამ ქართველთ თვალი გაუხილა. მანამდე თბილისს მთლად სხვები ჰფლობდნენ, იმ დღიდან-კი ქართველთაც იჩინეს თავი, გაჩნდნენ სხვა-და-სხვა მუშები, ხელოსნები, წვრილი ვაჭრებიც-კი. ყველას მათგანს

ცხადად ემჩნეოდა ხალისი და შრომა, ყველა მათგანი თვალს ახელდა. ესეთი მოვლენა იმ დროის შესმენილ ქართველთათვის სასიხარულო მოვლენას შეადგენდა, უმაგალითოს. აქ ამით ქართველთ გაღვიძების და განახლების ზარი დაირეკა. აქ გაჩნდნენ დ. ბაქრაძე, ნიკოლოზ ლოლაბერიძე, ვ. თულაშვილი, დ. ყიფიანი, სტ. მელიქიშვილი და რამდენიმეც სხვა პატიოსანი ქართველნი. მათ განიზრახეს ქართულს ენაზე გაზეთის გამოცემის ნატერა. ამის დროც იყო უკვე, ჟამი მოახლოვებულ იქმნა. ამავე დროს თბილისში ჩამოვიდა გიორგი წერეთელი. გ. წერეთელს, როგორც მხნესა და ერთგულს, წინაღვე იცნობდნენ ზემოდ დასახელებულნი პირნი. მათ გიორგი წერეთელს გაზეთის რედაქტორობის სახელის მიღება დაავალეს. გ. წერეთელიც თანახმა გახდა, გამომცემლად-კი სტ. მელიქიშვილი დანიშნეს, რომელსაც მაშინ თბილისში საამხანაგო სტამბაც ჰქონდა. მალე წესდება შეამუშავეს და 1865 წლის ბოლოს მთავრობას სთხოვეს კვირის გაზეთ „დროების“ გამოცემა... 1866 წ. მარტის პირველიდამ გ. წერეთლის რედაქტორობით და სტ. მელიქიშვილის გამომცემლობით თბილისში იწყო „დროებამ“ გამოსვლა, კვირაში ერთხელ, პარასკევობით. გაზეთის ზომა დღევანდელის „ივერიის“ ზომის იყო, წელიწადში 6 მან. ღირდა. გაზეთის საქმე საქართველოში თუმც არ ახალი იყო, მაგრამ რადგანაც რედაქტორს პირველს წლებში გაზეთის ხარჯით დაარჩენა გაუჭირდებოდა, ამიტომ შემოხსენებულ პირებისაგან გ. წერეთელს თვეში ჯამაგირად 50 მ. დაენიშნა. ბ. ნიკოლოზ ლოლაბერიძემ მიაშბო შემდეგი: — „მაშინ „დროება“ კვირაში ერთხელ გამოდიოდა, მაგრამ როგორც ახალი საქმე, ისე გვიჭირდებოდა, რომ

ნომრის გამოსვლის წინა ღამეს ხშირად შუალამემდის სტამბაში ვრჩებოდით; გ. წერეთელს თვეში 50 მან. ვაძლევდით. გაზეთის შემოსავალი-კი გამოცემას უნდებოდა, არც-კი ჰფარავდა გასავალს, ამ საქმეს ჩვენ ვმეთაურობდით: დ. ბაქრაძე, სტ. მელიქიშვილი, ვახტანგ თულაშვილი და მე“.

გაზეთის გამოცემა საქართველოში ახალი საქმე არ იყო, მაგრამ 1832 წ. შემდეგ 1866 წლამდე იმდენმა ხანმა გასტანა, რომ აქ ქართველთათვის ყველაფერი ხამ მოვლენას შეადგენდა, მარტოდ საგაზეთო წერილების წერა და ტერმინების გამორკვევა აჭირვებდა საქმეს. ბევრის შრომით და ღწვით გაზეთმა გზა გაირკვია, თანამგრძნობთ გარდა ისეთი თანამშრომლებიც მოიპოვა, რომელთაც უადვილესად იწყეს საგაზეთო წერილების წერა. ამ გაზეთის გამოცემით იწყება ახალი ხანა, როგორც ქართველ ერის ცხოვრებაში; აგრეთვე ქართულ მწერლობის ასპარესზე. მოკლედ უნდა ითქვას, რომ 1866 წლიდან ქართველთ შორის „ღროების“ გამოცემამ ძირითადი ცვლილება მოახდინა, მან აღანთო სინათლის მომცემი სანთელი, ამ სანთელმა აიყოლია უმრავლესობა, ამ ძალოვნებას დიდათ ეხმარებოდა ის გარემოებაც, რომ „ღროება“-ში იწყეს წერა ყველა ჩვენმა გამოჩენილმა მწერლებმა. ყურნალ „ცისკარს“ ცოტა არ იყოს „ღროებაში“ საქმე შეუფერხა, მაგრამ მაინც „ცისკარი“ სულდგმულობდა, რადგანაც მას აქა-იქიდანაც ეხმარებოდნენ. გ. წერეთელი მარტოდ „ღროებაზე“ არ შეჩერდა, მან სხვა გაზეთის გამოცემა ინატრა, 1868 წ. ეს მოახერხა კიდევ, ამიტომ გაზეთი „ღროება“ სერგეი მესხს გადასცა. სერგეი მესხი მეტად ამავდარი ჰქონია ჩვენ მწერლობის ასპარესზე; არა მხო-

ნია, რომ ქართველ მოღვაწეთ შორის მას ბევრი ვინმე შეედაროს ჩვენში. მან იწყო „ღრუების“ გამოცემა. რადგანაც მისთვის გაზეთის გამოცემა შეუძლებლობდა ძნელი ყოფილიყო შეუქლებლობის გამო, ამიტომ „ღრუების“ გამომცემლად ისევ სტეფანე მელიქი-შვილი დაშთა (ქართველ-კათოლიკე) და რედაქტორად ს. მესხი. სტეფანე ზარაფოვმა (ქართველ კათოლიკე), მაშინდელმა მდიდარმა შოქალაქემ, ს. მესხს ერთი შრომა მიანდო, რაშიაც იგი მას თვეში 50 მან. აძლევდა. ამით ს. მესხი სცხოვრებდა და გაზეთის შემოსავალი გაზეთსავე ხმარდებოდა.

ნელ-ნელა ხალხში „ღრუება“ ფეხს იდგამდა, ს. მესხის ენერგიული შრომაც დიდს ძალას აძლევდა წარმატებისთვის. ამ მოღვაწემ მასზე უანგაროდ იმუშაკა. თავის დაუღალავის მოღვაწეობით ბევრს მდაბიოს ასწავლა კითხვას გარდა თვით საგაზეთო წერილების წერაც. ყველა ამისთვის იგი ხშირად დიდს გაჭირვებასაც ითმენდა, ამ გაჭირვების მნახველია თვით ამ სტრიქონების დამწერი. სერ. მესხი კარგა ხანს დარჩა „ღრუების“ რედაქტორად.

1875 წლიდამ „ღრუება“ კვირაში სამჯერ გამოსცა, ცოტა გაზეთის ფორმა-კი დაუპატარავა, ფასი წელიწადში 10 მან. გამოცხადდა. 1877 წ. რუსთა და ოსმალთ ომი დაიწყო, ხალხში დიდს საჭიროებას შეადგენდა დღიური დეპეშების კითხვა. ამ წლის აპრილიდამ ს. მესხმა „ღრუებაც“ დღიურ გაზეთად გადააკეთა, ხოლო ზომას კიდევ დაუკლო. 1879 წლამდე ამ ზომით გამოდიოდა. 1880 წ. ჟურნალ „ივერია“-ს დაუკავშირდა. ასე ამჯობინეს; გაზეთს ზომაც მოემატა, ხელის მომწერლებიც ვამრულდა. 1882 წლის ბო-

ლოს „ივერიას“ მოსცილდა. ს. მესხიცი ავად გახდა, 1883 წ. გაზეთი ივ. მაჩაბელს გარდასცა, თვით აბასთუმანს წავიდა ავადმყოფობის გამო, მაგრამ იქიდან ველარ დაბრუნდა, 1883 წ. გარდაიცვალა. მას შემდეგ „დროებას“ ივ. მასხაძე განაგებდა, მაგრამ ამის ხელში გაზეთი დიდ ხანს ვერ დარჩა. 1885 წ. ენკენისთვის პირველ რიცხვს მთავრობის განკარგულებით „დროება“ საყოველთაოდ მოსპობილ იქმნა. ამ დროს „დროების“ გამომცემლად ირიცხებოდა ცნობილი ქართველი, გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი, ძვირფას „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემელი. (მე აქ განზრახვად არ მაქვს, რომ გამოცემათა ცნობებს გარდა გამომცემელთა და რედაქტორთა ბიოგრაფიულ ცნობებზედაც ვისაუბრო, ამიტომ დაწვრილებით საუბარს რედაქტორ-გამომცემელთა შესახებ გვერდს ვუვლი. მარტოდ გამოცემათ ვეხები, ამიტომ ივ. მაჩაბელზე აქ არას ვამბობთ, ასეთ პირთა შესახებ ჩვენ სხვაგან გვაქვს საუბარი. მაშ აქედან ისევ საგანს დავუბრუნდებით.) გ. წერეთელმა «დროების» მოშორების შემდეგ, თბილისში „სასოფლო გაზეთს“ გამოცემა იწყო ორ კვირაში ერთხელ, კარგის პროგრამით. როგორც სამეურნეო გაზეთი ეს გამოცემაც დაემჯობინა ივ. კერესელიძის სამეურნეო გაზეთ „გუთნის-დედას“. ამის გამოცემის შემდეგ „გუთნის-დედამ“ დიდხანს ველარ გასძლო, მალე დაიხურა. რედაქტორმა იმეცადინა და რაც სამეურნეო საზოგადოებისაგან „გუთნის დედა“-ს დახმარება ეძლეოდა, ის დახმარება „სასოფლო გაზეთს“ მიეცა. ამ გარემოებამ გაზეთს პირში სული ჩაუდგა. ასეთ დახმარებას გარეშე კერძო, ანუ გარეშე ხელის მომწერნიც ჰყვანდნენ. «სასოფლო გაზეთში» სამეურნეო ნაწილს გარდა

ეთნოგრაფიულს წერილებსაც ჰბეჭდავდენ, მოთხრობებს, ლექსებს; სამეცნიერო სტატუებიც ხშირად იბეჭდებოდა: ფიზიკიდან, ბოტანიკიდან, ანატომიიდან და ექიმობიდანაც. ეს გაზეთი გაწერეთელმა კარგა ხანს მართა, ევროპაში წასვლის წინეთ იგი პეტრე უშიკაშვილს გარდასცა. პეტრე უშიკაშვილმა 1878 წალმდე ჰბეჭდა „სასოფლო გაზეთი“ და მერეკი მოსპო, რადგანაც ხელის მომწერთა რიცხვმა ერთობიკლო. მთავრობაც აღარაფერ დახმარებას უჩინდა. წელიწადში ამ გაზეთის ფასი სამი მანეთი იყო, გამოდიოდა ერთ კარგს ვრცელ საბეჭდს ქალაქდზედ, ხოლო დაკეცილი. გამიგონია, რომ სოფლის საზოგადოებათა წინაშე „სასოფლო გაზეთს“ არა მცირედი სარგებლობა მოუტანიაო. ეს ეკოდინებათ მათ, ვინც ჩვენი სოფლის ხალხის განვლილ დროთა ცხოვრებას იცნობს. ასე და ამ გვარად 1868 წ. ქართველებს სამი გაზეთი გვქონდა და ერთი ჟურნალი, სახელდობრ: „დრეება“, „სასოფლო გაზეთი“, „გუთნის-დედა“ და „ცისკარი“ თვიური ჟურნალი. ამ დროს «ცისკარი» ძრიელ ლატაკად გამოდიოდა, ამიტომ ზოგიერთ წარჩინებულ ქართველთა წინაშე დაიბადა ახრი ახალი ჟურნალის გამოცემის. ამისთვის იმეცადინეს და იშრომეს მრავალთა 1868 წ. მთავრობისაგან უკვე ნებართვა აიღეს და 1869 წ. ნიკოლოზ ავალიშვილის რედაქტორობით თვიურ ჟურნალ „მნათობის“ იწყო გამოქვლა.

„მნათობის“ პროგრამა კარგად იყო შედგენილი. ამ ჟურნალში მრავალთ მიიღეს მონაწილეობა აქ დაიბეჭდა ბევრი რამ: საფუძვლიანი თხზულებანი, თარგმანებიც: მასე, კომპი, ჯონ სტუარტ მილი, სერვანტესი, ბაირონი, შექსპირი, შილლერი და ბევრი სხვანი. გამოცემა

წელიწადში რვა მან. ღირდა. ჟურნალს ასე ეწერა: — „მნათობი საზღვლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი 1869 წელს“. რადგანაც «მნათობის» გამოცემა 1869 წ. მარტიდამ დაიწყო, ამიტომ ამ წელს მხოლოდ ათი წიგნი გამოიცა. „მნათობში“ შრომობდენ სხვათა შორის აკაკი და ანტონ ფურცელაძე. ანტ. ფურცელაძე ერთ უმთავრეს თანამშრომელად ითვლებოდა. ამ ჟურნალის გამოცემაზე ან. ფურცელაძეს შრომას გარდა ფულიც საკმარისი აქვს დახარჯული. «მნათობის» გამოსვლამ სასტიკად იმოქმედა „ცისკარზე“. ამ ჟურნალს დიდო ძალა შემოაკლდა. იგი მარტოდ რედაქტორის ამარა დარჩა. „ცისკარი“ „მნათობს“ როგორმე გაუძღვებდა, მაგრამ მის უბედურება ის იყო, რომ „მნათობის“ მოკამათე „დროების“ მეთაურებმა ჯინზე ჟურნალის გამოცემაც განიზრახეს; 1870 წ. მთავრობას თხოვნა მისცეს და 1871 წ. თბილისში გამოსვლა იწყოს ორ თვიურ ჟურნალ „კრებულმა“ გ. წერეთლის რედაქტორობით. ამ ჟურნალს ასე აწერია ზეიდან: „კრებული, სალიტერატურო და საზღვლიტიკო ჟურნალი“. გაზეთ „დროების“ და „კრებულის“ ხელის მოწერა ერთად იყო გამართული და ცალ-ცალკეც. ჟურნალ-გაზეთების და წიგნების ბეჭდვა ყველა ერთი და ნამეტურ ჩვენში და ისიც 1870 წლებში, ერთობ დიდს საქმედ მიგვაჩნია, მაგრამ უბედურება ის არის, რომ მაშინ ქართულს ენაზე რაც იბეჭდებოდა, ისიც რის ვაი-ვაგლახით არსებობდა; მის ხელის მომწერნიც სანთლით საძებარნი იყვნენ და აბა «კრებულს» რაღა უნდა შესძლებოდა, რითი უნდა ესულდგმულა? „დროებას“ 300 ხელის მომწერი ძლივს ჰყავდა, «ცისკარს» 100 ხელის მომწერი, «მნათობს» 250-მდე, «სასოფლო გაზეთსაც» 300-მდე,

„კრებულს“ რაღა მოუგროვდებოდა? ბოლოსკი ის მოხდა, რომ „კრებულმა“ „მნათობს“ ხელი შეუშალა. ჯერ დღეს, ამ მეოცე საუკუნეს ვერ გაუძლია 4—5 ქართულს გამოცემას და აბა მაშინ საიღამ რა უნდა ქმნილიყო, როცა ქართველთ განათლებულთ რიცხვი ერთობ მცირე იყო, და მდაბიო ხალხი ხომ სულ არ მისდევდა მწიგნობრობის საქმეს. „კრებულმა“ „მნათობს“ მით უფრო შეუშალა ხელი; რადგანაც „კრებულში“ შრომა დაიწყეს ილ. ჭავჭავაძემ, აკაკიმ; ნ. ნიკოლაძემ, გ. წერეთელმა და ზოგმაც სხვებმა. 1874 წ. «კრებული» ორ თვეში ერთხელ გამოდიოდა. 1872 წ. ბოლოს მთავრობას თხოვნა მისცეს „კრებულის“ თვიურად გამოცემაზე. ნებათვა მიიღეს, რედაქტორად კირილე, ლორთქიფანიძე იქმნა დანიშნული 1873 წ. „კრებულმა“ თვიურად იწყო გამოსვლა, მაგრამ წლის ბოლოს «კრებულიც» მოისპო. 1873 წ. „კრებულის“ სულ ათი ნომერი გამოვიდა. 1871—72 წლებში-კი 12 წიგნი. სულ 22 წიგნი გამოიცა. ამაზეა ქართულად ნათქვამი:— „შენც წახდი, მეც წამახდინე, ქრისტე აღსდგა, გიხაროდესო“. 1869 წ. „მნათობი“ დაიბადა, მას შეცილებად 1871 წ. „კრებული“ მოველინა. ამიტომ «მნათობი» 1872 წ. ბოლოს მოისპო, ყველას ეგონა, რომ ახლა მაინც ილღეგრძელებსო და ის-კი არა 1873 წლის ოქტომბრის ბოლოდამ „კრებულიც“ მოისპო.

ზ. ჯ.

(დასასრული იქნება)

მ რ . ჭ ი ტ ა მ ბ ა .

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ რაც ჩვენს „კრებულში“, კიტა აბაშიძის საპასუხოდ დაწერილი „სახლდვარ-გარეთლის“ სტატია დავბეჭდეთ. ავტორს თვისი სახელი და გვარი საქვეყნოდ არ გამოუცხადებია, მაგრამ მოწინააღმდეგეებს კი დაანიშნა თვისი ვინაობა: მე ის გახლავარ, რომელიც ადრე თქვენ ფერხულში ვიყავი ჩაბმული და თქვენის ჩაგონებით ვროკავდიო!.. ამ დროს ეს დავსწერე თქვენის მოწონებით და წაქეზებითო, იმ დროს ასე ვიბაასე თქვენთანო და სხვანი და სხვანიო. ერთის სიტყვით მე ის სავლე ვარ, რომელმაც კერპთ-მსახურება უარ-ვჰყავო!...

როგორც სავლეს მოშორებამ და პავლედ გარდაქმნამ კერპთ-მსახურები გაამწარა ერთ დროს, სწორედ ისე ჭამწარდენ დღესაც! ძველი ამხანაგის მხილება და განზედ გადგომა ენიშადურათ და „ცხენს რომ ველარა დააკლეს-რა უნაგირზედ მოინდომეს ჯავრის ამოყრა:“ მიმხვდარი იყვენენ, ვისთანაც ჰქონდათ საქმე, მაგრამ მაინც სიტყვა ბანზედ აავდეს და მართებულ პასუხის ნაცვლად ჩვეულებრივ მელაკუდაობას მიჰყვეს ხელი: გავზავნეს აქეთ იქით მებუკეები, გაძვრენ-გამოძვრენ, ასტეხეს მეგანგაშეები და ამტკიცებდენ, რომ „სახლდვარ-გარეთელი“ აკაკი არისო. ბოლოს სიტყვის დამოწმება

მოინდომეს წერილობითაც და პირველი ბეჭედი, მაგრამ ბეჭედი თაღლითი-კი, დაასო კიტა აბაშიძემ. იმას მოჰყვენ სხვებიც, მისი თანა-მოშუშპარეებიც და შეხმაცრუდენ: „მივხვდით, ჩვენ ცალ-ცალკე, ერთი-მეორის დაუკითხავად და შეუწევნელად გამოვიცანით, რომ «საზღვარ-გარეთელი» აკაკიაო“... და მომართეს ჩემსკენ მათი ანწლის შეილდ-ისარი და დიდგულას თოფი...

მართალია ბრძოლის დროს შეთქმულებს, ყოველი-ტყერი ეპატივებათ, მაგრამ მაინც რად იკადრეს იმ დალოცვილებმა სიმართლის გადგომა და რად იხმარეს ფარად ზნეობრივი ქვენაობა? ცხადია, რომ მათებურმა დიპლომატურმა შორს-გამქვრეტელობამ გაიტაცა ახალი დროის რაინდები; იმათ იფიქრეს: საზღვარ-გარეთელს რომ პასუხი გავსცეთ, იმან ხომ ბევრი რამ იცის ჩვენ შესახებ და ვაი თუ ყოველიფერი გამოამჟღავნოსო!.. მოდი, ეს როგორმე გადავაფუჩიჩოთ და აკაკი-ზედ გადავიტანოთ პირ-და-პირ ჩვენი საუბარიო! ის რასაკვირველია მხილებას დაგვიწყებს და იტყვის: «მე-კი არა ვარ, აი ვინ არის საზღვარ-გარეთელიო?» მაშინ ჩვენც ჩვეულებრივად ხელი ჩავჰკიდოთ ამას და ვიყვიროთ საქვეყნოდ!.. „ბატონებო! აი რა კაცია აკაკი!.. თავისი რედაქციის საიდუმლოც ვერ შეუნახავს და თანამშრომელიც ვერ გაუტანია, მის სახელსა და გვარს ამჟღავნებსო“ და სხვანო. ნათქვამია: „ნაგაზმა რომ კურდღელი გამოგიგდოს, დაქერად ჩაუგდეო“, მათგან არ იყო ეს ურიგოდ მოფიქრებული, მაგრამ ქიზიყელმა რომ უთხრა ბოდბელს: «მივიხვდი ძაღლობასო», მისი არ იყოს, ჩვენც მივუხვდით და ხმა აღარ ამოგვიღია, მით უმეტეს რომ იმედი გვქონდა უწვენოდაც სხვა ვინმე გამოჩნდებოდა და გაჰკიცხავდა მათ უსაქციე-

ლობას. ჩვენმა მოლოდინმა დიდხანს არ გასტანა: კიტა № 1-ლის და მის დამქაშების მმხილებლად გამოვიდა კიტა № 2-რე და „ივერიის“ 95 №-ში დიახ საძმართ-ლიანად სწერს, რომ ფსევდონიმის გამომჟღავნება სხვისაგან, წინააღმდეგ თვით ავტორის სურვილისა, ზნეობითი ბინძურობაა... არა თუ გამჟღავნება და გამოაშკარავება, უბრალო სურვილიც-კი, რომ ავტორმა თავისი სახელი და გვარი გამოაცხადოსო, ეთიკის დარღვევაა, უწეს-რიგობა და დიდი სისაძაგლეაო და ეს უბრალო ჭეშმარიტებაც არ სცოდნიათ ნოე ჟორდანიასა და საერთოდ „კვალის“ თანამშრომლებს, თორემ როგორ შეჰკადრებდენ და როგორ ურჩევდენ „ახალ მოსულს“: «თავს ნუ იმაღავო! გამოგვეცხადეთო?!...»

მოგვაქ მათი სიტყვები: „ნილაბი აიხადეთ, ნილაბი აიხადეთ, უყუფენ აქეთ-იქით „ახალ-მოსულს“ განსვენებულ გიორგი წერეთლისაგან მოწონებული ლექსები. რად დასჭირდათ ნეტაი ეს ნილაბის ახდა? რასაკვირველია იმიტომ, რომ ჩვეულებრივ ხერხს-ქორიკანაობას მიჰყონ ხელი და განაცხადონ: მაგისტანა კაცთან ღირს ლაპარაკი? მაგან ესა და ეს კაცი გაძარცვა, ამას ცოლი წაართვა, ამას შვილი მოუწამლა, ამას ჯიბიდან ფული ამოაცალა და სხვანი. ამისი, რასაკვირველია, ბატონ «ახალ-მოსულს» არ შეეშინდება, მაგრამ ერთი ავიწყდებათ „კვალის“ სულის-ჩამდგმელთ, ეს ის, რომ ტალახში სიარულის დროს გალოშები გვჭირია და მაგათთანა მოდავესთან ნილაბი ერთგვარი გალოშია: როგორ ვერ წარმოუდგენიათ, რომ ყველას არა ჰსურს თავისი სახელი და გვარი გააჩრქიანოს და მაგათ სახსენებლად და სათრევლად გახადოს“.

აი ჭეშმარიტებას რომ იტყვიან, სწორედ ეს არის,

ვაშა-ვაშა კიტა № 2-რე, რომ იმ კიტა № 1-ლს და მის დამქაშებს მათი ურიგობისა და უსაქციელობის სარკე ცხვირთან მიუტანე!

შეიძლება მკითხველმა იფიქროს: აქ კიტა № 1-ლზე და შისიანებზედ ხომ არ არის ლაპარაკი, ნოე ჟორდანიას და „კვალის“ სულის ჩამდგმელებს ეუბნებო? მაგრამ ვის არ გაუგონია ანდაზა: „დიდს ეუბნებოდენ და პატარას ასმენდენ და აგულისხმებდენო?“ აქაც ნოე ჟორდანიას და „კვალის“ სულის ჩამდგმელები სხვის საიგავოდ არიან ნახსენები, თორემ ნამდვილად-კი რასაც ამბობს კიტა № 2-რე; პირდაპირ კიტა № 1-ლს და მის თანა-მოშუშპარეებს ამხელს და არცხვენს. რაც ჩვენ უნდა გვეპასუხებია იმ ვაუბატონებისათვის, სწორედ იმას ეუბნება ჩვენ მაგიერ კიტა № 2-რე და დიდ მადლობასაც ვსწირავთ გამოსარჩლებისათვის.

მართლა რომ დიდი განსხვავებაა ამ ორ კიტას შუა. კიტა № 1-ლი ღამისიანები, არა თუ ამჟღავნებენ სხვის ფსევდონიმს, ცილის-წამებითაც-კი ასახელებენ: აკაკია საზღვარ-გარეთელიო... კიტა № 2-რე და მისიანები-კი, თუმცა კარგად იციან ვინ არის „ახალ-მოსული“, მაგრამ მაინც არწმუნებენ ქვეყანას, რომ „ახალ-მოსული“ ის-კი არ არის ვინც არის, სულ სხვა ვინმეაო და უბრალო სურვილიც-კი შეტყობისა ურიგობა და ზნეობრივი ბინძურობაა მკითხველის მხრითო.

რა გვეშველებოდა, რომ ქვეყანაზე მართო პირველი ნომრის კიტაები ყოფილიყვენ და მათ მოპირდაპირედ მეორე ნომრის კიტაები არ გამოდიოდენ ხოლმე? მთავრად ტყველად კი არ არის ნათქვამი რუსული ანდაზა: «რამაც გატკინოს, იმან მოგიშუშოსო». კიტა

№ 1-ლის უკუღმა ხნულს, კიტა № 2-რე წადმა ფარცხავს და ღმერთმაც უშველოს...

აკაკი.

ასოთ-ამწეობის შენიშვნა: ბოდის-კი ვიხდი, მაგრამ შორს-მქრვეტელობა ჰკლებია ბ. აკაკის, თუ აქამდე, ჯერ კიდევ ვერ შეუნიშნავს ჩვენში ახლად მოვლენილი სენი, რომელსაც ორ-კიტაობა უნდა ეწოდოს. კიტა № 1-ლი და კიტა № 2-რე ორივე ერთი-და-იგივე კიტაა, მაგრამ რადგანაც კიტასთანაებს სახელმძღვანელო მცნებაში ისე უწერიათ, რომ ცხოვრებაში ხან მარცხნივ დგებოდნენ და ხან მარჯვნივ, დღეს ერთს ამბობდნენ და ხვალ მეორეს, ერთსა-და იმავე საგნის შესახებ, და ისინიც ღირსეულად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას: სიტყვით სხვა და საქმით-კი სულ სხვა, გადად-გადმოდინ იქით-აქეთ სადაც პირადათ მათთვის სჯობს და ამ გვარად მოგვაგონებენ უკვდავ ფიგაროს სივილიელ დალაქს: «ფიგარო აქეთ!.. ფიგარო იქითო!» და სხვანი.

კიტაებისთანა მოხელე დალაქებისათვის, ოღონდ ხეირი-კი ნახონ, და ხახამს გაჰკრეჭენ თუ მოლას—სულ ერთია!.. და მაგათი შესაფერი ლათაიაც ეს არის:

კიტა აქეთ!... კიტა იქით!...

კიტავ „ასკიკუკუო!“

სხვის ბუდიდან გუგულივით,

ნუ იძახი „კუკუო“.

არ შეშენის შევარდნობა
ძერას, ჩიტ-კირკიტასო!...
არ შეჭფერის სიბრძნის კვერთხი
„ივანუშკა“ კიტასო.

ჩიტ-მგალობლად არ ვარგიხარ
კაჭკაჭ-თუთიყუშოო;
გირჩენია ოც-ოც-რიცხვებს;
ხელი არ შეუშოო!...

კიტა მარცხნივ!... კიტა მარჯვნივ!...
კიტავ, ასკიკუკუო!...
შენისთანა შორს-მჭვრეტელსა
თვალში ასი „კუკუო!...“



ალია და ალიმირზა.

(არაკი, გაგონილი თონეთელ მიტო გაბაძისაგან და ჩაწერილი „ქართველი ოსებში“-ს მიერ.)

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხენწიფე. ამ ხენწიფეს ჰყვანდა ქალვაჟი, რომელნიც სახით და სილამაზით, ერთმანერთს არ ერჩეოდნენ. ამ ხენწიფეს შეუჩნდა ერთი გველვეშაბი და აღარ ეშვებოდა: გინდა თუ არა, შენი ქალი მე უნდა მომცეო. დღეს-ხვალ და რომ აღარ იქნა, გველვეშაბმა მუქარით უთხრა ხენწიფეს: «თუ მომცემ, მომცემ შენს ქალს, თუ არა და, შენ ქალაქში მცხოვრებთაც შთავნთქამ და შენცაო». ხენწიფეც შეშინდა და უთხრა: «აბა და ამ დროს მოდი,—მოვამზადებ ქალს და წაიყვანეო». ხენწიფემ, ქალი კი ვერ გაიმეტა და, ვაჟი მოამზადა გველვეშაბისათვის. დანიშნულ დღეს, ჩააცვა ქალურად ვაჟს და გამოიყვანა აივანზედ. მოვიდა რასაკვირველია გველვეშაბიც და შეატყობინა ხენწიფესაც: «აბა როგორა ხარ პირობაზედო?» ხენწიფემაც აიღო და მისცა ქალურად მორთული თავისი ვაჟი. გველვეშაბი წამოვიდა რამდენიმე გზა რომ გამოიარა, გულში გაიფიქრა: «ხენწიფემ ქალის მაგივრად ვაჟი ხომ არ შემომატყუაო?» ნახა მართლაც რომ მოტყულებული გამოდგა. აბა, თუ აგრეაო, ადგა, ამ ვაჟს უღაბურ ტყეში გაანება თავი, თავად კი გაბრუნდა ისევ ხენწიფისაკენ, მიჰყო გაჯავრებულმა და სულ შთანთქა იმ ქალაქში მცხოვრებნიც და ხენწიფეც. ხენწიფე ადგა და, წინათვე თავისი ქალი ცხრა-კლიტულში ჩასო. ქალაქი რომ გაა-

თავა, ახლა მიაღვა ამ ცხრაკლიტულს გველვეშაპი; დი-
ლიდგან საღამომდი ეომა, მაგრამ ვერაფერი ვერა დააკ-
ლო-რა ამ ნაირად, დღეში ერთხელ ყოველდღე, მოდი-
ოდა გველვეშაპი და ეომებოდა ამ ცხრა-კლიტულს, მაგ-
რამ ვერას აკლებდა. ხენწიფის ვაჟი, რომელიც გველვე-
შაპმა დასტოვა უდაბურ ტყეში, რამოდენიმე დღეს ტი-
რილით ატარებდა. ერთ დღეს, გაშოიარა ერთმა მდი-
დარმა სოვდაგარმა. ყმაწვილი მტირალი რომ ნახა, ღმერთს
მადლობა შესწირა: «შვილი არა მყვანდა და, ღმერთმა
აღბად შეილად მომცაო. ადგა და წაიყვანა ყმაწვილი.
იარეს მიაღწიეს ერთ ქალაქს. სოვდაგარმა ქალაქს გარედ
ერთს ყორულში ჩამოხადა თავის ჯორ-აქლემს და დაბი-
ნავდა. თურმე, ნუ ბრძანებთ, რომ ამ ქალაქის ხენწიფეს
შვილი არა რჩება; ერთი ვაჟი გაუჩნდა და, ისიც გაჩენის
დღიდან სულ ერთ-თავად სტირის, რომ ვერაფერით ვერ
აჩუმებენ; ყოველდღე ამ ყმაწვილს, ახალ-ახალ ძიძებს
უცვლიან, მაგრამ ვერაფერ აჩუმებს, ამიტომ, ხენწიფეც
აქრევინებს ძიძის თავებს და თავისი ბლის მარგილებზედ
აქმევინებს. ბოლოს, ერთი ძიძა კიდევ მოაყვანიდა ხენ-
წიფემ და უთხრა: «ხომ ხედამ ამ თავებს, ასს ერთი-ლა
აკლია, თუ შენც ვერ დააჩუმე ჩემი ვაჟი, იცოდე შენც
თავს მოგჭრიო».

იმ ღამეს ეს ყმაწვილი ისევ ისე სტიროდა, მე-
ორე დღეს ძიძამ წამოიყვანა ყმაწვილი და სთქვა:
«მოდი, მინდორში წაკიყვან, იქნება, რითიმე დაკაჩუმო-
ვო». მართლაც წაიყვანა ძიძამ ყმაწვილი, იარა, იარა და,
სოვდაგართან კი შოვიდა. ძიძამ უთხრა სოვდაგარს: «ეს
რად ამოვებთ ყორულში, რომ გაგიგოთ ხენწიფემ, ხომ
დაგატუსაღებთო?» ახლა სოვდაგარმა უთხრა: «შე დალო-

ცვილო, მგზავრები ვართ და, თუ არ დაგვაბეზღებ, კარგია, თუ არა და, რა ვქნათო? ძიძამ დასო ხენწიფის ყმაწვილი ძირს; ყმაწვილმა დაიწყო თამაში სოვდაგრის ნაპოვნ ყმაწვილთან და, ის იყო დაჩუმდა ტირილისაგან. სალამოზედ ძიძამ მოიყვანა ყმაწვილი შინ. ხენწიფემ ჰკითხა ძიძას: «როგორ მოხდა, რომ დღეს ყმაწვილი აღარა ტირის, რითი დააჩუმეო?» ძიძამ ყველა უნაბო; თქვენს ყორულში ერთს სოვდაგარს საპალნე ჩამოუხდია, იმას, ერთი მშვენიერი ყმაწვილი ჰყავს, იმ სოვდაგრის ყმაწვილთან თამაშობა დაიწყო ჯა, დაჩუმდაო. მაშინვე ხენწიფემ, გაგზავნა, ნაზირ-ვეზირნი და დაძახებინა სოვდაგრისათვის. საწყალ სოვდაგარს, გული წაუვიდა; იფიქრა, უთუოდ ძიძამ დამაბეზლა და იმიტომ მიბარებს ხენწიფეო; ადგა ოქროს სინი გაამსო თვალ მარგალიტით, ზედ გადაათარა, ოქრო მკედით ნაქსოვი ხელ-საწმენდი, მივიდა ხენწიფესთან და მიართვა ძღვენი. ხენწიფემ უთხრა: «ძღვნისათვის მადლობელი ვარ, მაგრამ ორი მაგოდენა ჩემგნით მიიღე, მხოლოდ ერთი სათხოვნელი მაქვს და ის ამისრულეო». სოვდაგარმა მოახსენა: «დიდებულო ხენწიფე, თუ კი რამე შემეძლება, თქვენი ქირის სინაცვლო გახდესო». რასაკვირველია ხენწიფემ სოვდაგარს უამბო: «ასე არის ჩემი შვილის საქმე და გუშინ შენთან ერთი ყმაწვილი უნახავს და გაჩუმებულა, და ის ყმაწვილი უნდა დამითმოო». სოვდაგარმა მოახსენა: «ის ყმაწვილი მეც ნაპოვნი მყავს, მაგრამ ჩემი წამდვილი შვილიც რომ გახლდეს, მაინც მოგართმევდიო? რასაკვირველია, ყმაწვილი მოაყვანინა სოვდაგარმა, დაულოცა ხენწიფეს და თვითონ გაუდგა გზას. ის დღე იყო და ის; ხენწიფის შვილს აღარსად უტორნია ხენწიფემ, სოვდაგრის ნაჩუქა-

რი ყმაწვილიც შვილად მიიღო და სახელები დაანათლა: თავისას—აღია და სოვედაგრის ნაჩუქარს—აღიმირზა. ეს ყმაწვილები, ჩუვენ ერთად. ვინც თვით იზღებოდა, ესენი დღით; ერთმანეთს ძმებს ეძახდნენ. ერთხელ ერთავე ძმებმა დაიწყეს კოჭის თამაშობა. სამ დღეს ჯერ კოჭს თამაშობდნენ, სამ დღეს კიდაობდნენ და სამ დღეს ბურთაობდნენ; ამ ნაირად ატარებდნენ ღროს. ერთხელ აღიამ უთხრა აღიმირზას: ახლა რაღა გავაკეთოთ? მოიცა და საღამოზედ გეტყვიო—უთხრა აღიმირზამ. საღამოზედ აღიმირზამ გავზავნა აღია ძმასთან და უთხრა: «წადი მამაჩვენს უთხარი, ორი გრდემლის ბურთი ჩამოასხმევენოს ისეთი, რომ თითო თხუთმეტი ფუთი იყოს; წაიღონ ჩვენს მეიდანზე და ერთი თავში დააგდონ, მეორე ბოლოშიო. მოახსენეს თუ არა ხენწიფეს, ხენწიფემ დაიბარა მჭედლები, ბურთები ჩამოასხმევენა, წააღებინა და დანიშნულ ალაგას დააწყობინა.. მეორე დღეს აღია და აღიმირზა გავიდნენ მეიდანზედ, ერთი თავში და მეორე ბოლოში. წამოავლეს თითო ბურთს ხელი, ესერიან ერთმანეთს და იჭერენ ხელში. ასე იბურთავეს საღამომდე და, საღამოზედ მოვიდნენ შინ. საღამოზედ კიდევ უთხრა აღიამ ძმას: ხვალ რაღა გავაკეთოთ? აღიმირზამ მიუგო: ხვალ დავისვენოთ, და ხვალღამ გეტყვი, რაც გავაკეთოთ! მართლაც, ამ ყმაწვილებმა მეორე დღეს დაისვენეს. საღამოზედ, აღიმირზამ უთხრა აღიას, წადი მამაჩვენს უთხარი: ორი რკინის პერანგები ჩამოასხმევენოს ისეთები, რომ თითო ჩვიდმეტი ფუთი იყოს, და დილაზედ ერთი ჩვენ მეიდნის თავში იდოს და მეორე ბოლოშიო. ხენწიფემ მაშინვე ჩამოასხმევენა მჭედლებს პერანგები, წააღებინა და დააღებინა მინდორზედ. გათენდა. დილა. ორივე

ძმები გამოვიდნენ მოედანზედ, წამოჰკრეს ხელი პერანგებს, საჩქაროდ გადიცვეს, დაიწყეს თამაშობა და შემდეგ ჭიდაობა. ერთმანეთს რომ მოიქნევდნენ, მიწას ზანზარი გაჰქონდა. სალამომდე იჭიდავეს, სალამოზედ ალიმირზამ შეატყო, რომ ალიას დასძალა მაგრამ, არ გალახა, გაშველდნენ და წავიდნენ შინ. სალამოზედ კიდევ ჰკითხა ალიამ; ხვალ რაღა გავაკეთოთ?—ხვალ შევისვენოთ და ხვალ სალამოზედ გეტყვი რაც უნდა გავაკეთოთო. მართლა? მეორე დღეს შეისვენეს სალამოდინ, სალამოზედ, ალი მირზამ უთხრა ალიას: წადი ძმაო და მამაჩვენს უთხარი, თითო თოფი გაგვიკეთებინოს ისეთი, რომ მისი ნასროლი ტყვია ძალიან შორს მიდიოდესო. მართლა, ალიამ მოახსენა თუ არა, ხენწიფემ დაიბარა მეთოფე, გააკეთებინა თოფები წააღებინა და თავის შვილების სასახლის კარებთან მიაყუდებინა. მეორე დღეს, ორივე ძმები ადგნენ, წამოავლეს თოფებს ხელი და გასწიეს სანადიროდ. ყოველ დღეს ასე ახლო-მახლო დადიოდნენ, ხოცავდნენ წვრილ ნადირებს და მოჰქონდათ შინ. ერთ დღეს, ალიამ უთხრა ალი მირზას: წავიდეთ სადმე შორს, იქნება დიდი ნადირი მოვკლათ რამეო. ძმები მართლაც გამოემშვიდობენ მამას და უთხრეს: ჩვენ სამი დღით მივდივართ და ჩვენი დარდა ნუ გექნებათო. აიღეს ძმებმა იარაღი, საგძალი და გაუდგნენ გზას. იარეს სამს დღეს და ვერა მოჰკლეს რა. ალიამ უთხრა: ეს რა ამხავია, სამი დღე დავდივართ და ერთი მტრედიც ვერ მოვკალითო? ალიმირზამ მოიხედა უკან, ნახა რომ ჯარი მოსდევთ იმდენი რომ, დედამიწას მოაბნელებენ. ალიმირზამ უთხრა ძმას: აბა ძმაო შეხედე, მათი ფეხის ხმაზედ რაღა ნადირი დადგებოდა აქაო? თურმე ხენწიფეს გამოეგზავნა ჯარი

შვილების ყურის საგდებლად. რომ იცვნეს ჩვენი ჯარიაო, ალია მიუბრუნდა ჯარს და უთხრა: წადით მოახსენეთ მა- მაჩვენს, ჩვენი დარდი ნუ ექნება, ჩვენც ეს არის მოვდი- ვართო. ჯარი უკან გააბრუნეს და თავად კი ისევ გაუდ- გნენ გზას. იარეს და წაატყდენ ერთს მელიას. ირბინა მელიამ და მიჰყვნენ ძმებიც; ამ ნაირად მელიამ ერთს სერზედ აიყვანა ორივე ძმები. მეჯია გადაეშვა იქითა ფე- რდოში და ძმები კი ღარჩენ სერზედ. მშვენიერი ნიავი უბერავდა. ძმებმა საგძალი ამოიღეს სუფრა გაშალეს და საუზმეს შეექცეოდნენ. ალიამ უცბად მოიხედა და დაბ- ლობში რაღაც თეთრად დაინახა; მოუბრუნდა ძმას უთ- ხრა: ნეტავ ის თეთრად რა უნდა იყოსო? ალიმირზამ უთხრა: ეგ ზღვა არისო. ზღვა რა არისო, უთხრა ალიამ. — ზღვა წყალი არისო უბასუხა ალიმირზამ. შიგ ზომ შა- ვათ მოსცურამს, ის რაღა არისო? — ის გემი არის, ხალხი მიჰყავს, ერთი კიდიდგან მეორე კიდემდეო, მიუგო ალი- მირზამ. საუზმის ქამის შემდეგ ჩამოვიდნენ ორივე ძმები ზღვის ნაპირს. ალიამ უთხრა ძმას: მოლი, ჩავსხდეთ გემში და გავისეირნოთო. ძმები მივიდნენ, მეგემეს სთხოვეს, გაგვატარ-გამოგვატარეო. ახლა მეგემემ უთხრა: ნაპირზედ გემის გატარება არ შეიძლება, ქარი რომ ამოვარდეს გემს გადააბრუნებს და თქვენც და მეც დავიღუბებითო. — არა უშავს-რა, ცოტაზედ მაინც გაგვატარე, ვნახოთ როგორ დადის გემიო, უთხრა ალიამ მეგემეს. მეტი გზა არ იყო, მეგემემ ჩასხა ყმაწვილები და გაატარა. გემი როგორც კი აპირებდა მობრუნებას, ისე დაუბერა ძლიერმა ქარმა, გა- დააბრუნა და დაამსხვრია. ალია და ალიმირზა შერჩნენ თითო ფიცრებზედ, ასე რომ ორივე ძმებს ხელი-ხელს უვლიათ და არ უშვებენ. რამდენიმე დღეს ასე იწვალეს,

და შიშშიღმა რომ შეაწუხათ, ძმებმა ტანისამოსის კალ-
თები შემოიჭამეს. მერე საბრალოთ დაუწყეს რაზედაც
ისხდნენ იმ ფიცარს ღრღნა. რამდენიმე დღეს კიდევ ასე
ტანჯვით იარეს. მერე ალიმირზამ უთხრა ალიას: ძმაო,
როდემდის უნდა ვეწვალოთ ასე, დავანებოთ ერთმანეთს
თავი და, თუ გადავრჩეთ, გლახად ვიაროთ და უერთმა-
ნეთოთ კი ცოლს ნუ შევირთავთო. გადაჰკოცნეს ერთ-
მანეთო და დაშორდნენ. ალიმირზა ზღვამ ნაპირას გარიყა,
ერთმა მეწისქვილემ დაიჭირა და გაუშვა თავისთვის; მარ-
თლაც ალიმირზამ დაიწყო გლახად სიარული; ალია კი
დიდის წვალების შემდეგ მიაღვა ერთს თვალ შეუწვდე-
ნელს კლდეს, შეახტა და დაებლაუჭა კლდეს. მოუქნევს
ალია მუშტს და რამდენიც მოხვდება კლდეს, იმდენ სახ-
ლის ოდენა ქვას მოგლეჯავს. ამ ნაირად გაიკეთა კიბეები
და ავიდა მაღლა. მიიხედ მოიხედა, გახედა შშვენიერი და-
ცემული ვაკეა; იარა-იარა და მიაღვა ერთს სოფელს; ნა-
ხა რომ სახლებიდან ნაირ-ნაირი ბოლი ამოდის; წითელი,
ყვითელი, თეთრი, მწვანე, შავი და სხვა, და შიგ-კი არა-
ვინ სცხოვრობს. ერთგან შეხედა რომ ნამდვილი ცეც-
ხლას ბოლი ამოდის. შევიდა სახლში, ნახა რომ კერას
პირს ერთი ბებერი ზის და წინდას ქსოვს. ალიამ დაუძა-
ხა: დედი, სტუმარი არ გინდაო?—რატომა შვილო, სტუ-
მარი ღვთისაა, მოდიო. ალიამ შევიდა და ჰკითხა: დედი!
ეს როგორი სოფელია, ათას ნაირი ბოლი ამოდის და
შიგ კი არავინა სდგასო. აქ ვინ უნდა იდგეს შვილო, ეგ
ბოლები, ზოგი წითელა, ზოგი ყვავილი, ზოგი ხორელა
და ზოგი რაო. ალიამ ეს რომ გაიგო, შეშინდა წავიდე
აქედან, არაფერი შემეყაროსო. ბებერს, რაც მოეპოვებო-
და, ძველი ტანისამოსით შემოსა ალია; ალიაც ადგა და

გაუდგა გზას. იარა და მიადგა ერთს გატიალეზულს ქალაქს. ეს ალია დადის ქალაქში, ხედავს, რომ დუქან ბაზარი გაჩაღებულია და შიგ კი არავინ არის; ბოლოს მიადგა ცხრაკლიტულს, იფიქრა: უსათუოდ ამ ქალაქის ხალხი აქ უნდა იყოს შეკეტილიო, დაჰკრა წიხლი და ჩაამტვრია, შიგ რომ შევიდა, ქალმა დაინახა თუ არა ალია, გული შეუღონდა. ალიამ ქალი მოაბრუნა, მერე ჰკითხა თავ გადასაყალი; მანაც უამბო: ეს ქალაქი ჩემი გულისათვის არის აკლებული გველეშაპისაგან; ახლაც ყოველდღეს მოდის გველეშაპი, ომობს ხოლმე ამ ცხრაკლიტულთან, მაგრამ ვერის ხდება. დღესაც უნდა მოვიდეს და შენც შეგქამს და მეც წამიყვანსო. ალიამ ქალი ანუგეშა და იმას ვერ მოვერევიო? მხოლოდ დაღლილი ვარ და გთხოვ კოტა მომასვენო და როცა მოდიოდეს გველეშაპი, მაშინ გამაღვიძეო; ადგა. კალთაში ჩაუდო ქალს თავი და დაიძინა ალიამ. ეს ქალი დაფიქრდა და მოუვიდა ტირილი, თვალიდგან ცრემლი ჩამოუვარდა, ლოყაზედ დაეცა ალიას და დასწვა. გამოიღვიძა ალიამ და უთხრა: რა არის, მოდის გველეშაპიო? არა კი არ მოდის მაგრამ საცაა დრო კი აქვს მოსვლისაო.—მაშ რა საჭიროა ლოდინი, მასწავლე სად ბუდობს და მე თავად წავალო. ქალმა ასწავლა, ამა და ამ ხევშიო. გველეშაპმა ალია რომ დაინახა, გაეხარდა და სთქვა: კარგია. კიდევ დამრჩენია ვიღაც შესაქმელი. ახლა ალიამ დაუძახა: ჰაი, შე მყარო, აქ მოხვალ, პასუხს გაგცემ და შორიდგან მყეფარიც იყეფებო. რასაკვირველია, ეს რა გაიგო. გველეშაპმა, დააღო პირი და მოაშურა ალიას. ალიამ მომართა ისარ-მშვილდი, ესროლა და შუაზედ გადასწყვიტა გველეშაპი. მოვიდა ალია და უთხრა ქალს: აბა, გახედე გველეშაპის სისხლის

ღვრასაო. ეს ამბავი ქალს ძლიერ გაუკვირდა, გაეხარდა და უთხრა ალიას: გინდ შენ ძმა და მე დაო, გინდ შენ ქმარი და მე ცოლიო! ალიამ უთხრა: სანამ ჩემს გულის წადილი არ მოვეწევი, არც ძმობას გეტყვი და არც ქმრობასო. ამ ნაირად დაიწყეს ცხოვრება ქალმა და ალიამ. დღე სანადიროდ დადიოდა ალია, საღამოთი კი მოდიოდა, ღამე ერთ ლოგინში წვებოდენ ქალი და ალია და შუაში ხმაღს იღებდენ. ერთ დღეს, ალია სანადიროდ რომ მიდიოდა ქალმა უთხრა: დღეს თავი უნდა დავიბანო და, ცოტა გვიან მოდიო. ალიამ გასწია სანადიროდ, მაგრამ როგორღაც ეჭვი აიღო—დღე და ღამე ერთად ვართ და არ მეხატება და ახლა თავის დაბანაზედ რას მერიდებაო? ალიამ ცოტა გზა გაიარა და ისევ მალე დაბრუნდა შინ, მოვიდა ჩუმად და დაუწყაო ქალს თვალიერება. ნახა რომ ეს ქალი ცალი ხელით საპონს ისვამს და ცალი ხელით წყალს ისხამს. მიიხედა ალიამ, იქვე კუნჭულში ქალის კაბა ეკიდა, შევიდა ჩუმად, ჩაუყო ხელი კაბის ჯიბეში, ამოიღო გასაღები და იქვე გვერდით ოთახი გააღო. შეხედა ოთახში, ნახა რომ ერთი პერანგი ჰკიდია, რომელიც ისე ანათებს, როგორც სანთელი. ალიამ ჩამოიღო პერანგი, იღლიაში ამოიღო, ოთახი ისევ დაკეტა, გასაღები კაბისვე ჯიბეში ჩაღო, ჩუმად გამოიარა და გაუდგა გზას. მიდის ალია, ერთ ალაგას გზას იქით გადადგა, პერანგი-კი გზის პირას დაღო. სად იყო, სად არ იყო, დაეშო ყვავი მოიტაცა პერანგი, წაიღო და სღვას ვაღმა ერთ უდაბურ ტყეში დააგდო. ალია საშინლად დალონდა და საღამოზედ დაბრუნდა შინ. ქალმა ნახა რომ ალია ძრიელ დალონებულია. ერთხელ ორჯელ ჰკითხა ქალმა, რაღა ხარ დალონებულიო? რამ ალარ მოეშვა ქალი,

აღიამ უთხრა: გეტყვი რაღაც ვარ დაღონებული, მაგრამ გეწყინებაო. აღიამ უამბო ქალს: შენ რომ მითხარი გვიან მოდიო, მე ექვი ავიღე და დავბრუნდი. მარტო რომ თავს იბანდი, ჩუმაღ შემოვედი შენი ჯიბიდან გასაღები. ამოვიღე, ოთახი გავაღე, სანთელივით მანათობელი პერანგი გამოვიტანე; რომ წავიღე, გზაზედ ყვავმა მომტაცა და ამიტომ ვარ დაღონებულიო. ქალმა ამოიოხრა და სთქვა: შენი განფუჭებელიც ახლა მოვა და ჩემი წამყვანიცაო. ახლა აღიამ უთხრა: შენ ნუ გეშინიან, ისეთი ვინ მოვა, მე რომ მოვჭკალი გველვეშაპი იმაზედ ძეტი შეეძლოსო?

საღაც ყვავმა პერანგი დაავღო, იქ სახელმწიფოში მენახირებს ნახირი მინდვრად ეღვად. ღამე ძრიელ ცუდი წვიმიანი დაიჭირა, ცეცხლი გაუქრათ და რით აენტოთ არ იცოდენ. მენახირებმა გაიხედეს ერთ ტყიან სერზედ ცეცხლის შუქი სჩანს. ერთი ამხანაგი წავიღა ცეცხლის მოსატანად. იარა და რომ მიატანა ცეცხლის შუქს, ნახა პერანგი იყო. მენახირეს გაეხარდა, აიღო, დახვია, გულაში ჩაიდო და სთქვა: ამას ჩვენს ხენწიფეს მივართმევ და მენახირობიდან აღარ გამომწირავსო. დაბრუნდა, მოვიღა ამხანაგებთან და უთხრა: ის ოხერი ცეცხლი კი არ იყო, რაღაც მტრედი იყო, მივედი თუ არა აფრინდა და წავიღაო. გათენდა მეორე ღღე; ამ მენახირემ ამხანაგებს უთხრა: წავალ მე და შინიღვან პურს მოვიტანო. ამხანაგებმაც ნება დართეს. წამოვიღა მენახირე შინ, მოვიღა პირდაპირ ხენწიფესთან და მოართო პერანგი. ხენწიფეს ძრიელ გაეხარდა. მერე უთხრა მენახირეს: რა გინდა გაჩუქოვო? არაფერი; თქვენი კირიმე, თუ თქვენი წყალობა იქნება, მენახირობიღვან ნუ გამომ-

წირავთო. წადი, მომიცია შენთვის და შენი შთამამავლობისთვის მენახირობაო. უბრძანა ხენწიფემ. მენახირე რასაკვირველია გახარებული წამოვიდა. ხენწიფემ იფიქრა: ეს პერანგი ასეთია, ვისაც ეს ეცვა ის რაღა იქნებაო. გამოსცა ბრძანება, ვინც იმ ქალს მომიყვანს, ამდენს და ამდენს საჩუქარს მიიღებსო. ვერავინ ვერ იტვირთა. მერე წამოდგა ერთი ბებერი და მოახსენა: დიდებულთა ხენწიფევ, მე მოგიყვანთ იმ ქალს, მხოლოდ მომეცით ერთი ქვევრი, ერთი თონე პური, ერთი ჩაფი ღვინო, ერთი ფუთი ხორცი, ერთი ბოთლი ბანგი და ერთი ცოცხიო. ხენწიფემ მისცა ყველა ესეები. ბებერმა ქვევრი მიატანიდა ზღვის პირზედ, ქვევრში ჩაიწყო ესენი, ჩაჯდა თავად, გაჰკრა ცოცხი და გააგორა ზღვაში. კიდევ გაათავა ბებერმა ეს საგძალი და კიდევ გავიდა ნაპირს. მშრალზედ რომ გავიდა, დაჯდა ქვევრზედ და დაიწყო ტირილი. აღია სანადიროდ ყოფილა, გამოიარა, შეხედა რომ ნახა ბებერი მტირალი. შეეცოდა და ჰკითხა: რა გატირებს დედი, რა ამბავია შენს თავსაო?—რაღა რა ამბავია, შეილო, სალოკავში მივდიოდით, ქვევრით ზედაზე მიმქონდა, ურემი დაგვიბოლვდა, გადავარდი წყალში, ახლა მეც და ეს ქვევრიც აქ გამოგვრიყა და არ ვატი საით წავიდეთ? წამოდი დედი, დედა არა მყავს და შენ დედა და მე შეილიო. აღიამ ბებერი მოიყვანა შინ. შეხედა ქალმა თუ არა, უთხრა აღიას: შენი გამფუჭებელიც ეგ არის და, ჩემი წამყვანიცაო. ახლა აღიამ უთხრა: ქალო, რას ამბობ, ამ ბებერს რა შეუძლიანო? მართლაც, დედასავით უვლიდა ეს ბებერი აღიას და ქალს. ერთ დღეს, ბებერმა დაიწყო ტირილი და უთხრა აღიას: შეილო, ხან ამ მთას დადიხარ და ხან იმ მთას, მითხარი

შენი ჯანი რაშიაო? ჩემი ჯანი კრიალოსანშიაო, უთხრა ალიამ. ბებერმა დაიჭირა კრიალოსანი, ზიზილ-პიპილებით მორთო და უბიდან აღარ იშორებდა—ჰკოცნიდა. ერთ დღეს თონეში ბებერი პურს აკრავდა; რომ ჩაეწოდა თონეს, ვითომ და უნებურად მომივიდაო, კრიალოსანი თონეში ჩააგდო და დასწვა. თავად მორთო ტირილი. სალამოზედ მოვიდა ალია, შეხედა, ბებერი ტირის. რა გატირებს დედო? ჰკითხა ალიამ.—როგორ არ მატირებს შვილო, შენი ჯანი დამეწვაო.—ჩენს ჯანს კრიალოსანში რა უნდა, ჩემი ჯანი ცოცხშიაო, უთხრა ალიამ. მაშ მავით სახლს როგორა ვჰგვითო?!.. აილო ცოცხი, მორთო ათას ყვავილებით და ხელიდან აღარ იშორებდა; ერთ დღეს კიდევ თონეში პურს აკრავდა, ცოცხიც თონეზედ ედო. ცოცხი თონეში ჩააგდო და დასწვა. თავად-კი დაიწყო წირბლევა. სალამოზედ მოვიდა ალია და ჰკითხა ბებერს: რა გატირებს დედო?—შენი ჯანი თონეში დამეწვა შვილო, როგორ არ მატირებსო? ნეტა რას ამბობ დედი, ჩემს ჯანს ცოცხში რა უნდა? უთხრა ალიამ. მაშ რაშია შვილო, რატომ სწორედ არ მეუბნებიო, წუწუნით უთხრა ბებერმა. რომ აღარ იქნა და, მობეზრდა ალია, მერე კი სწორედ უთხრა; ჩემი ჯანი დედი, ჩემს ხმალში არის; უკუღმა რომ ჩავაგო, აღარც ნახევარი გვერდი და აღარც ჯანი არ მექნებაო. ბებერმა ხმა გაწყვიტა, ერთ დღეს ბებერმა უთხრა: შვილებო, მოდი ერთი კარგა სადილი გავმართოთო, ესენიც დაჰყაბულდენ. გამართეს კარგი სადილი, რომ დაიწყეს სმა ამ სულ-კრულმა ბებერმა ალიას ცხრა დღის ბანგი შეაპარა და დააძინა. მაშინ იდროვა რასაკვირველია ბებერმა, ჩამოიღო ალიას ხმალი, ამოაძრო და უკუღმა ჩააგო, მერე უთხრა ბებერმა ქალს:

იარე, მომყე, თორემ აქვე გაგათავებო. ქალმა უთხრა: ხვალამდე მაცალე მოვემზადო და შეტი რა გზაა, წამოვალო. ამ ღამეს ქალმა ალიასთან წერილი დასწერა და იქვე მუთაქას ქვეშ ამოსდო. წერილში ასე ეწერა: მე მივჭყევარ ბებერს, როცა გამოგელვძოს მანდვე ქვესკნელს დავრიშები არიან, მამიჩემის სულისთვის პარაკლისს ხდილობენ, მაგათ ჰკითხე და გასწავლიან ჩემს გზასაო. მე, ვისთვისაც მივჭყევარ, ერთი წლის და ორი თვის ვადას მივცემ; ამ ვადაზედ თუ ვერ მოხველ, მაინც არ დავენებდები და თავს მოვიკლაო. გავიდა ცხრა დღე. ალიას გამოეფხიზლა, წამოიწია, თვალები მოიფშვნიტა და ნახა, რომ ღონე აღარა აქვს. ზოგორც იყო მივიდა თავის ხმალამდი დიდის წვალეებით ამოაძრო და წალმა ჩააგო, და ძოვიდა თავის ჯანზედ. მერე წამოჰკრა თუთაქას ხელი და წერილი გამოვარდა. წერილი რომ წაიკითხა, ყველა გაიგო. ჩავიდა ქვესკნელს და ჰკითხა დავრიშებს: საით წაიყვანა ბებერმა ქალიო? დავრიშებმა მისცეს ბეწვი ალიას და უთხრეს: მიდი ზღვის ნაპირას, მოტრუსე ეს ბეწვი, ზღვიდან გამოვა რაში, შეჯეგ და ზღვაში გაგიყვანს, მხოლოდ ნაპირს რომ გახვიდეთ, სიმშრალეზედ არ გაიყვანო, წყალშივე გადმოხტი, თორემ გაგაფუჭებსო. მართლაც, ალია მივიდა ზღვის პირას, მოტრუსა ბეწვი და გამოვარდა რაში. ალია მოაჯდა ზედ, რაშმა გააქანა და გაიყვანა იქით ნაპირს; მშრალზე არ გავიდა. ისე გადმოხტა და გაუღბა გზას. ისრა და მიადგა მეჯოგეებს. გამარჯვება უთხრა, მერე ჰკითხა: თუ გყავთ გასაყიდი, ერთი ცხენი მომყიდეთ? მეჯოგეებმა ერთმანეთს უთხრეს: მოდი ჩვენი რაში მიყიდოთ, ხომ მაინც ვერავინ მოიხმარს იმას და უკან მოვაო. მერე უთხრეს ალიას: ცხენი

არა გვყავს, რაში გვყავს, თუ გინდაო. ალიამ ჰკითხა ფასი რა იქნება რაშისაო? მეჯოგეებმა ოც თუმნად დაუფასეს. ალიამ უთხრა: ოცდაათთუმანს მოგცემთ, კარგი უნაგირი დამიდგით და შვიდი მოსართავი მოუჭირეთო. მეჯოგეებმა დაუდგეს უნაგირი, მოუჭირეს შვიდი მოსართავი რაშს, შესვეს ალია, გზა დაულოცეს და გაისტუმრეს. გამოსცდა თუ არა ალია მეჯოგეებს, რაში გაქანდა ზეცას, უნდა ცას მიატყას მხედარი და ალია მუცელზედ მოექცა; დაეშვა რაში დედა მიწას, უნდა მიწაზედ დაატყას და ალია ზურგზედ მოექცა; გაქანდა მარჯვენა ცის კიდისკენ, ალია მარცხნივ მოექცა, გამოქანდა მარცხენა ცის კიდისკენ, ალია მარჯვნივ მოექცა. ახლა-კი დამშვიდდა რაში და უთხრა ალიას: ჩემი კბილის მხედარი გაშოვნე და გასწი რა საქმეზედაც მიდიხარ, ნუ გეშინიან, მეც შენი ქომავი ვიქნებიო. გამოსწია ალიამ, ერთი კვირის სავალს, ერთ დღეს მიდის მიატანა ერთ ქალაქს, ჩამოხტა ერთი ბებრის ეზოში და შესძახა: დედი, სტუმარი არ გინდაო?—რატომ შვილო, სტუმარი ღვთისაა, მაგრამ არა მაქვს რა და ჰატივი რით გცეო? ალიამ უთხრა: ნუ გეშინიან დედი, ყველაფერი მე მაქვსო. ამოლო ერთი თუმანი და მისცა ბებერს: წადი და, რაც გინდოდეს, იყიდე და მოიტანე ვახშმადაო. ბებერმაც რასაკვირველია კარგი ვახშამი მოამზადა. როცა დასხდენ ვახშმად, ალიამ ჰკითხა ბებერს: რა ამბავი არის ამ თქვენ ქალაქშიო? ახლა ბებერმა უთხრა: ჩვენმა ხენწიფემ ერთი მზეთ-უნახავი ქალი მოიყვანა საილდაც და მთელი სახელმწიფოს ხალხი მისს სანახავად მოდის ყოველ დღე. ეგამდინ ვადა აქც და ზეგ კი ჯვარი უნდა დაიწეროს ხენწიფემაო. შენ არსად ყოფილხარ სანახავადო? ჰკითხა

ალიამ ბებერს მე საწყალი ვარ შეილო, რით უნდა მივი-
დეო. მეორე დღეს ალიამ, გაუკეთა თავისი ბექედი ბე-
ბერს: „წადი და კიბესთან რომ მიხვიდე, ბექედნიანი ხელი
მალლა აიშვირე, ასე რომ ქალმა დაგინახოსო. მართლაღ.
ბებერი ასთე მოიქცა; მივიდა კიბესთან თუ არა, აიშვირა
ხელი; ამ დროს შემოჰკრა ხელის ტალღამ და საბრალო
ბებერი კიბილამ ძირს ჩამოვარდა. ბებერმა მორთო ყვი-
რილი: ვაიმე მკლავი მომტყდაო, და თან ბექედნიანი ხე-
ლი მალლა აქვს აშვერილი. ყვირილზედ ქალი გამოვიდა
და ბექედს თვალი მოჰკრა. ქალმა დაიბარა ხელმწიფე და
საყვედური უთხრა: რა არის რომ, მაიმუნათ გამხადე და
ამოდენა ხალხს აგროვებ ჩემს სანახავადო? ბარემ მომამბი-
ჯინჯილი ყელზედ, გამიყვანე გარედ და მაიმუნით
მათამაშეო; მომიყვანეთ საწყალი ბებერი ვნახო რა ეტ-
კინაო? ეს ამდენი ხანი ჯერ ხმა არ გაეცა ხენწიფის-
თვის; ხენწიფეს ძრიელ გაეხარდა ქალის ხმის გაცემა
და მოაყვანიდა ბებერი საჩქაროდ. ქალმა ხენწიფეს სთხო-
ვა, რომ გარედ გასულიყო რომ ბებერი გაესინჯა თა-
ვად ქალს. ხენწიფე რომ გარეთ გავიდა, ბებერს გამოჰ-
კითხა ქალმა: ვინ მოგცა ეგ ბექედიო? ერთი მშვენიერი
ყმაწვილი სტუმრად მოვიდა ჩემთან და ბექედი მისი
არისო, მოახსენა ბებერმა. ქალმა ბებერი დაასაჩუქრა და
უთხრა: წადი და იმ ყმაწვილს უთხარი ჩემს მაგივრად-
ზეგ ჯვარი უნდა დაიწეროს ჩემზედ ხენწიფემ და თუ
შეგიძლიან რამე, შენ იცითქო. მოვიდა ბებერი და
ალიას უამბო. წამოდგა ალია მაშინვე და გამოსწია ხენ
წიფის სასახლისაკენ; უინც რომ შეხვდება გზაზედ,
ჭღლეჯს თავს წიწილსავით და ისვრის აქეთ იქით ხენ-
წიფეს მოახსენეს. შეჰყარა ჯარი ხენწიფემ და გამოგზავ-

ნა ალიასკენ საომრად. ალია გამობრუნდა და მოვიდა თავის რაშთან. უთხრა თავის რაშს, ასეა საქმე და რა ექნაო? რაშმა მიუგო: შენ ოღონდ მაგრად შემჯექი და ხრმალი ამუშავე და ფიქრი ნუ გაქვს, მე ვიციო: ალია მოახტა თავის რაშს და გამოსწია ჯარისკენ, მიჰყო ხელი და რასაც თავად ხმალით ხოცავს, ორ იმდენს რაში ფეხითა ხოცს, ასე რომ სულ გასწყვიტეს ჯარი. თავის სახენწიფო სულ მოაგროვა ხენწიფემ, მაგრამ ველარავინ ბედავდა ალიას შებრძოლებას. მერე უბრძანა ხენწიფემ თავის ნაზირ ვეზირს: აღარავინ არის კაცბ ჩემს სახენწიფოში?—აღარა დიდებულო ხენწიფე, მარტო ერთი კოჭლი გლახა-ლა გახლავთო. წადით, მომიყვანეთ ჩქარაო. მოიყვანეს გლახაც. ხენწიფემ უბრძანა: გლახა, თუ აგერ იმ მეომარ ყმაწვილს მოჰკლავ, ამ ქალსაც შენ მოგცემ და ჩემს ხენწიფობასაცო. ახლა გლახამ მოახსენა: იმოდენა ჯარი გაწყვიტა და მე სად შემიძლიან, შენი ქირიმე, მაგის შებრძოლებაო?—სცადე, იქნება მოერიოო, ხენწიფემ უბრძანა გლახას. თქვენი ნება ასრულდესო, მაგრამ თუ ვინიცობაა დამძალოს, ჩქარა მომაშველეთ ვინმეო, მოახსენა გლახამ. გავიდა გლახა მოედანზედ. გამოვიდა ალიაც. ეცნენ ერთმანეთს. ხან ერთი მოიქნევს და ხან მეორე; ისეთი ამბავია, რომ სულ დედა-მიწას ზანზარი გააქვს ამათის ბრძოლით; საღამომდე ასე იბრძოლეს, ბოლოს მოიქნია გლახამ და დასცა გულალმა ალია; მერე ამოიღო ხელად დანა და ის იყო უნდა გამოეჭრა ყელი, ამ დროს მიაძახა ალიამ: დაიცა, ერთი ორი სიტყვა მათქმეინე მაინცაო. სთქვიო, უთხრა გლახამ. ახლა ალიამ სთქვა: ჰაი დედასა, სადა ხარ ჩემო

ძმაო, ალი-მირზა, რომ მე გლახა ზევიდან მაზის, ყელსა მკრის და შენ-კი ვერა ხედავო?! კიდევ განიმეორე ვგ სიტყვაო, უთხრა გლახამ. ალიამ კიდევ განიმეორა თავისი სიტყვა. ალია ხარ შენაო? ჩაეკითხა გლახა, — ბარემ ვარო, უთხრა ალიამ. — ოჰ, შენი ქირიმე, ძმაო, მეც ხომ ალი-მირზა ვარო და დაეკონა თვალეებში და დაუწყო კოცნა. ხელმწიფეს ეგონა უთუოდ მოჰკლა და სისხლსა სვამსო; მოვიდა და ეუბნება: გლახა, აბა ერთი მეც დამალევინე მაგისი სისხლიო. წამოვარდა ალი-მირზა, მოჰგლიჯა თავი ხელმწიფეს და გადისროლა. ალია და მისი რაში, აქამდე თუ ორნი იყვნენ, ახლა სამნი გახდენ. მიჰყვნენ ამ ხალხს და სულ მუსრი გაავლეს. მერე ორი-სამი მოხუცნი წამოდგნენ და უთხრეს ალიას და ალი-მირზას; თქვე დალოცვილებო, ხალხისა რა ბრალია, ვინც ეს ქალი მოიყვანა ბარემ ის მოჰკლათო? გამოიყვანეს ახლა ბებერი, შუბზედ ააგეს და სულ ლუკმა-ლუკმად აკუწეს. რასაკვირველია, ძმებმა წამოიყვანეს ქალი, გამოსწიეს და წამოვიდნენ. იარეს და მოადგნენ აოხრებულ ქალაქს. ალი-მირზამ, აოხრებული ქალაქი რომ დაინახა, შეუღონდა გული. როგორც იყო მოაბრუნეს და ჰკითხეს: რა იყო, რა ამბავიაო? რაღა რა ამბავიაო, ეს ქალი მამი-ჩემისაა, მე ერთი და მჰყვანდა, გველვეშაპი სთხოვდა მამა-ჩემს, მამა-ჩემმა ჩემი დის მაგივრად მე მიმცა, და ახლა აღბად გველვეშაპს აუოხრებია ეს ქალაქიო. როგორც გაათავა ლაპარაკი და ახლა ქალს შეუღონდა გული. როგორც იყო ძმებმა მოაბრუნეს ქალი და ჰკითხეს: რა იყო, რა ამბავიაო? რაღა რა ამბავია, შენ ხომ ჩემი ძმა ყოფილხარ, მე ვარ ის ქალიო. რასაკვირველია, და-ძმანი გადაეხვივნენ ერთმანეთს. ალი-მირზამ თავისი და

ალიას მიათხოვა, დიდი ქორწილი გამართეს და დაიწყეს ცხოვრება. ერთ დღეს ალი-მირზამ უთხრა ალიას: წავიდეთ ძმაო, ახლა მამა-შენი ვნახოთო, დაიწყეს სიარული და გაუდგნენ გზას. იარეს და, რომ მიატანეს ალიას მამის ქალაქს, შეხედეს რომ ქალაქს შავი აქვს გადაკრული. რასაკვირველია, ხელმწიფეს კაცი გაუგზავნეს, შენი შვილები მშვიდობით მოდიანო. ხელმწიფემ მაშინვე სამგლოვიარო გადახადა ქალაქს და სამხიარულო გადააკრა. ძმები მოვიდნენ, ნახეს რომ ხელმწიფე ღრმად მოხუცებულა. რასაკვირველია, დიდი მხიარულობა გამართა ხელმწიფემ, ალი-მირზასაც ცოლი შერთო, შვიდი დღე და ღამე ქორწილი ჰქონდათ. მერე ხელმწიფემ ხელმწიფობა ალიას დაულოცა. როცა ალია სადმე იყო, ხელმწიფის მაგიერობას ალი-მირზა ეწეოდა და ძმები ამნაირად მშვიდობით და ტკბილად უვლიდენ სახელმწიფოს.



ფშაური ლექსები.

(შეკრებილი გრ. აფშინაშვილის მიერ).

უნდა გაზარდოს დედამა
ვაჟ ზაზისთანა ხმლიანი.
დუმანხოს ჩადგა სსსხლე,
შიგ ვეფხი ჩაჯდა ბჭკლიანი;
წამოვა სთავჭკვაოდა
სეეტლო-ნსიბიანი;
წელს შამაირტყა ფრანგული
ვადაზე ოქროიანი;
ჩამოვა ანანურშია,
ბატონ დაჭხვდება უმიანი:
— რამ შეგაწუნსა, ზაზილო,
აქ ხომ გზა არი მტრიანი?
— რა მოგახსენო, ბატონო,
ამბავი მამდის — ზიანი!
გაშაუცვავდა ხალათი
სამკლავე-საფუხრისანი;
ხელს მისცა ბუსტამბრის წიგნი
დადიან-ბეჭედისანი...
ჩამოვა გოდორეთსედა,
ხვადი *) ჭყავ შირ-ოფლიანი;

*) ცხენი.

წამოაუარეს ლეკებმა,
ტუფიას მათქვის წკრიალი;
ერთი იმანაც ესროლა,
ლეკმა დაიწყო ღრიალი;
რა იღბლიანი ყოფილა,
ერთიც არ მავხვდა ტიალი!..

კა ემა შავაკოთ, ბიჭებო,
ამბავი მოდის ცდისაო:
ივანე დაიაურთი,
მკელი მკამელი ცხვრისაო...
კადუდის ტებულაზედა
ლაშქარი ფშავლებისაო.
წინავ მოასწრო მდეგარმა,
ბრძანება იქნა ღვთისაო!
უძახეს ლაშარი ჭვარსა—
შუელა კარკ იცი ემისაო
აიღეს თოფის ცხვირითა,
ხევებ აავსეს მკვდრითაო!..
ლაშქრით ნუ დაგვლეკ, ივანე,
ერთხელ გამუსვენდ უზირსაო;
ან შინ წავგასხა ცოლადა,
ან ბეგარ დაგვლეკ ცხვრისაო.
აკაღდაშეებ ავაგსეთ
თქვენის ნახოცის მკვდრითაო;
აკაღდაშაიქ კარები—
ქალის ნაჭანნის თმითაო!..
მოგვწუინდა მკლავიარობა,
ქალებ ავისხამთ დიღსაო!..

ვინა ხარ, ვინ იარები,
დიკლას*) ვინ ბრუნავ პანსედა?
ეტყობი გულ-ჭირიანი,
თავ-გამოშვებულ ძმაზედა;
სამთარს ჩამოჭლევე ჭირითა,
გასაფხუფს წახვალ მთაზედა...
ღამით დაცხვენ საკაღნი,
შამუდეგ ხაშმის წყალზედა.
ქართლით მაუდის ტევეები,
მოტირის ქალი ძალზედა!
— ქალო, ნუ სტირო ბეჩაო,
გიგლია გიზის გზაზედა;
თუ ლეკებს წაგაუვანინოს,
წვერიმც ნუ ჰსხავის უბაზედა...
ჰერ კი იომის თოფითა,
მემრ ხელ გაიკრის ხმალზედა!

ახუნს.***) მოფიდა ლაშქარი—
სერემიული წინაო;
აფხუშოს ჩამაიძრახნა:
ლუხუშთ ვინა ხართ შინაო?
— შინა ვართ ბიძა-ძმისწულნი,
სახლი არ გაგვიწირაო;
აქით ჩვენ გაჭმევთ სადილსა,
იქ ჩარგაღელნი შინაო!..
ხევ და ხევ ჩამოტიროდა
ჰაბანის ქალი თინაო:

*) სოფელია თუშეთში.

***) ჩარგლის მთა.

ვაჭმე, მამიკველენ მამასა,
ვინ-ღა შამიშეებს შინაო!
ვინ-ღა მჰჰლალავს სტუმრებსა,
ვინ მასუძღვება წინაო!..

ვინა თქვა:—ენამც გაჭხმება—
ჩარგალში ცუდნი უმანია!
აფხუშოს—ჭიჭახევაზე
სამოც ლეკს მასჭრეს თავია;
აფხუშურასზე გამოდის
სისხლისა ალაზანიას;
წინ მასქეს ფარი და ხმალი,
უკვენ ლეკების თავია!..

დიდუეთს არის ურილობა,
დიდია საუბარია...
კადმოდის საყორნეზედა
დოდის ურჯულას ჯარია;
წინ უდგა კომპაიშიფილი,
სამარ ეტყვის მხარია:
—ჩქარა ჩავიდეთ, ლეკებო,
ამოვიუფანოთ ცხვარია...
ხუთშაბათს თეებაზედა
ხაშარს დავხურნეთ ცანია!..
თათარავ უორიაულო,
ვაცხონე შენი მკვდარია;
მარტუას კაკიმაგრებაფ
ხაშარში ქახის კარია...
ჩოლაგურთ გულებათო,
ღმერთმა ვაცხონოს მკვდარია!

რო მოგვრეს მარჯვენა ხელი,
მარცხნივ იხმარე ხმელთა;
როცა შავეთში შაკაგდეს,
შაჭუვირნე, როგორც ხარია!
შამოგებებს უკლანი, *)
ხელთ მოგვს კელაპტარია...
მადლა ნუ მიხვალ, უორანო,
დაბლა დახარე თავია:
გაჭხედე ბაჩლის ქალათა,
სისხლისა გადის წყალთა!..

საკინამ გიორ-წმინდელმა
ლუდი ადუღა სვიანთა:
იწივნა ჯალაბაურნი,
მამით შვილამდე მტრიანნი.
ორშაბათ დილას მოუვლენ
სამოც-და-სამი ხმელთანი;
მაჭუვება დელა-კაცები—
ქალი და რძალი თმინი;
რამ დააფერა ერთ-ერთსა—
სუუველა ნამუსიანი!..
თასთ მრიგე წამაყენეს
სამოცში ნაწილთანი;
ორნ დაუეენეს გვერდზედა
იმხარზე შინზილთანი;
მხარზე დროშეებ აასხეს,
ციდამ ჩამოდის ურიალი!
ხალხ დასხეს, ჩამაურიგეს;

*) ამიერ-სოფლიდამ მიცვლილნი.

ლუდია შარბათიანი;
მემრ ღვინო ჩამოარიგეს,
ღვინოა დედის რძიანი...
ამ დროს მოცვივდენ ფშავლები,
ფშავლები დალატიანი!
მაუძღვა ნაკვეთაური —
წელს ხმალი ვადაცვრიანი;
წინ-წინ საგინა იკითხა:
— დღე გაკვითენდა მზიანი!
წინ-წინ თასთმრავეს დაუკრეს
ისარ არწივის ფთიანი;
მემრე დაჭრიეს ისრები,
დადგა მშვილდების ძკრიალი,
სისხლისა წყალი გაქანდა,
დარჩა სახლ-კარი ტიალი!
ერთი ძმა დარჩა დასთანა,
ეგეც ხო ბეჩავი არი;
მოდო, ემაგას ნუ მოვკლავთ,
ბეკარ დავადვით ცხვრიანი.
მოდო წამოდო ჩვენთანა,
ჩვენც ხარები გვყავ რქიანი;
ჩვენცა გვაქვს დედულ-მამული,
სახნავ სათესი მთიანი;
გამოფუებთ ჯიგრაულთასა,
ქერ მოდის ჩარათიანი...
საგინავ, შვილიმც გექნება
ბედინ-დავლათიანი!
სერობას *) დაშარს შახლოდეს,

*) ლაშარიჯვრის დღეობა.

მიწა დაკმიტოს შტერიანი;
საგინავ, შენავ მოგწონდეს
ხაფხი ი დავლათიანი.
ლაშარს რა ჟაღანდარია, *)
იმიჲდ ნადებ-კი არი.

დავხატრი დაბადებასს
ხომარას ხახისასს. 2)
ანსხამს იარადებსა,
ანგელოზსა ჰკავს ცისასა,
მხარხედ იბძანებს დროშასს
ჯადის ლაშარი-ჯვრისასს..
ქერიგოს ლაშქართ ავრუებს,
კამკეს იეითხავს გზისასს,
აფშინას ამარჩევენ,
მანძილას ჭიუხისასს;
ჭუჭასს ელუღათასს,
არწივს მადლის მთისასს;
მისრიათ გამიხარდისა,
ვეფხვსა მაკ საღი კლდისასს!
სად-რა წაკვიხვალთ რჯულადნო,
ავიდებთ ბაუს ცხვრისასს;
მოგაკვლევინებთ 3) ნაკალსა
მაკ თქვენი ცხვარ-ძროხისასს..

*) უზარმაზარი ბორკილია.

2) ხახა „ლალი ლაშარიჯვრის თავი ხე
ვის ბერი ყოფილა და პირველი კაციც იმ
დროის ფშავლებში.

3) მოგადებინებთ.

ლაშარს საყარყუმოს⁴⁾ იღებენ
უღლადი ხარებისსა.

პირველად დმერთი ვახსენით,
მემრე „ბატონი“⁵⁾ ჩვენია...
დაძრულა დაღისტნიდანა
დიდის ურჯულს ჯარია:
გულხადარა⁶⁾ ჭევა ბელადი,
აღასანს ჩამამდგარია.

— ხაშარს წავიდეთ, ლეკებო,
იქ არი ქალი-დ-რძალია.
მადლა რად მიხვალ, ყოჩანო,
დაბლა დახარე თავია;
დაჭკვლიე⁷⁾ ბაჩლის ჭალასა,
სისხლისა გადის წეალა!
ვინ არის მაგის მოქმედი?
— ჯიხო, ნადირო ძმანია.
მხედარაულის გულბათო,
დმერთმა გაცხონოს მკვდარია:
თორმეტ ლეკ შემოგებია,
კალთდ გალეწე მკვდარია;
მარჯვენა მოგჭრეს ლეკებმა,
მარცხენა უფრო ჩქარია!
ბელადრის ამეედინა:

⁴⁾ საყარყუმო-საფაშაკო.

⁵⁾ ლაშარი ჯვარი.

⁶⁾ სხვა თემის ლეკი უნდა იყოს, როგორც
დიდო.

⁷⁾ ნახე ამ ლექსის ვარიანტი.

ყემიმც მსახური ხარია!.. *)
ი რა მახვედი შავეთსა,
შაჭუფინე, როგორც ხარია;
შადგანდგარე ²⁾ შავეთი,
სამხეოს ³⁾ გახდა ხარია!
შავეთში მოშავეთეთა
დაგიდგეს ოქროს სკამია;
წინ ოქროს ხონია დაგიდგეს,
დააკრეს კელაპტარია..
თათარავ ეორიაულა,
დმერთმა გაცხონოს მკვდარია!
მარტუას გავიმავრებავ
ხაშარსა ქახის კარია.
გულბათის დარეჯანამა
არ მაყივლა გვარია:
ლეკებს დასტატა თოფები,
შამაირბინა მთანია;
შამოხდა დიდსა მთაზედა,
ჭინოს ჩაუარსა ხმანია:
— გვიშველეთ, ჭინუელებო,
ხაშარს დაეტნეს ცანია;
ბევრ წაიყვანეს თანატა,
ბევრსაც აქ მასჭრეს თავია;

*) მთიელების რწმენით, როგორც აქ არის უფროს-უმცროსობა; ისე საიქიოს არის. ამიტომაც კარგია, მტვრმა მტერს, როცა ჰკლავს, უთხრას: ჩემიმც მსახური ხარ იმ სოფელსო.

²⁾ შასძარ.

³⁾ ჩვენი წუთი სოფელი.

ახლა ისწავნის იქნება
 მანდიურ ქალი-დ-რძალია...
 აიხვნეს საბეჭადოში
 ეკ. დარჩიანის ქალწია!..

—
 რაშაბათ დილა გათენდა,
 ჯარდან მოვიდა მთაზუდა:
 — ავიღებ საბაღასესა
 ახადელების ცხვარსედა.
 — თუ საბაღასე რადო,
 წვერიმც ნუ გვსხავის უბაზუდა;
 ნუმც შსგვიშეებენ შაგეთსა,
 სწორნიმც ნუ დაგვსხმენ ჯარსედა!.. *)
 მიდგებ-მოდგება ჯარდანა,
 სახელმწიფო მხარსედა.
 ბერსა მა ციხელიშვილი
 სიათა ჭკიდავ მხარსედა;
 წაჭყუა-წამოჭყუა ჯარდანსა,
 გასტეგრება გუნებაზუდა!
 ეკ ნახე, ძაღლო ჯარდანო,
 ვერ დაგუდაა თაზუდა;

*) ეს სიტყვა ფშაურ ლექსებში ბევრჯერ
 იხსენიება. როცა რამე სათემო, სასოფლო
 დღესასწაული აქვთ, მაშინ ყველა თავის
 შესაფერ ადგილს იკერს: უფროსი უფროს-
 თან, უმცროსი უმცროსთან, სწორი სწორ-
 თან და სხვა. ამ კრებას ეძახიან ჯარს.
 ვინც შერცხვენილია, ამ კვებაში ვერ მიი-
 ლებს მონაწილეობას.

წითელ მაუდის შარვალზე
ჩამოკახვია თავზედა!.

შატლით ამბავ მუაღის:
— სად იმალები კარა?
მაჩნე იწეინა კარმა,
ფშავისხვე დასარა;
შაქარა ფშაველიშვილები,
ბორცლა *) გადიარა..
კისტანს ატირდა ბებერი:
— ჯართთ სად მიხვალ, კარა?!
— შატლის მივდივარ, ბებერო,
ვარდანამ დამიბარა;
მე-დამან უნდა ვიომთო,
უნდა იჭეხნოს ცამა;
კვკერდ უნდა გადაიქციოს
ვარდანის ციხის ქვამა;
ცრემლით ჰირ უნდა იბანოს
შუქამ, ვარდანის ქალმა;
ხმა მადლა უნდა იძახოს
ჩემის ღრმისაის ზარმარა!..
— კარჩი გამოდო, ვარდანავ,
ნუ შავითვრალე თავსარა!..
— გამუალ, ალუდის მზემა,
გამოვიმდვარე ხმალსარა;
საკაცით წაგაღებინე
უელ-ღილიანის ქმარსარა!..

*) მთის სახელია მათურაში.

ბედიაწიმიც დაჯდება
ლიქოს ლიქოკელთ ჯარსება:
თავში უსხედან უფროსნი,
სძრახდებიან ჭკვაზედა;
ქვემოთით ხალხუხლები,
ხელი მიუდის ხმალზედა;
ერთმანეთს ეუბნებიან:
გავიდეთ დასწრობაზედა.
ჩაგვბოცოთ აწნაურები *)
ქვემო-აგუშოს წუაღზედა.
ეხილოდ არ გაივადის
სისხლისა აღასანზედა.
ცხენმა დახია მკერდითა
მხედარს სწვდა აკუანტაზედა. 2)

თუთილთ წასქვილში ატირდა
ნანა, თორღვიან ქალია:
შამოტვიცვივდენ ლეკები,
ღამით გაგვიდეს კარია;
მამიკლეს შინში 3) ლეფანი,
დაბრუნდეს სისხლის ტბანია!
ხელნ დაჰჭრნეს, ჯიბეს ჩამისხნეს,
იმით დავიჭრენ თმანია.

*) აქ ზურაბ ერისთავი და იმისი მხლებ-
ლები იგულისხმებიან.

2) უზანგი.

3) შინში მარტო დედიდაშვილია, სხვა
არა ნათესავს შინშიად არ იხსენიებენ მთიელი
ქართველები.

საღეგოს გადასვალს
უკუღმ მბრუნებს ქარია.
დავტეხენ საყურ-ბეჭედნი,
იმით დაეღიშნენ გზანია...

ზეცდომის განწორება.

პვერ.	სტრაქ.	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
19	9 ქვ.	სამკვიდრო	სამკვიდრო
26	2 ზემ.	წელწედ	წელზედ
43	5 ზემ.	ხმოსნათ	ხმასთან



დ ა ნ ი ზ ე ზ დ ა

და გამოვიდა გასასყიდლად

უბის წიგნად

ა კ ა ტ ი ს

ბ ა უ ნ - ა რ შ უ კ ი

ისტორიული მითხრობა

ავტორის გამოცემა

ფასი ეჭვსი ზაუკი

წიგნის მოპოება შეიძლება:

ჰვირილაში „კრებული“-ს რედაქციაში,

ჭუთაისში ლაგბაშიძის სტამბაში

ღ მიტროფანე ლალიძესთან.

ვინც **რცხე** მეტს გამოიწერს, წიგნი დაეთმობა
ხუთ ზაუკად.